

# ქალადობის მსხვერპლი ქალაბის დაცვა საქართველოში

სტრატეგიული სამართალწარმოების  
შედეგები

კარლო ნიკოლეიშვილი

2024

# ქალადობის მსხვერპლი ქალების დაცვა საქართველოში სტრატეგიული სამართალდარღოვანის შედეგები

## ანგარიშის ავტორი: პარლო ნიკოლეგიძილი

©2024, „უფლებები საქართველო“, ყველა უფლება დაცულია

დოკუმენტი მომზადდა უფლებები საქართველოს მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის დაფინანსებით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია უფლებები საქართველო და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.



EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE



## სარჩევი

შესავალი.....	4
1. კვლევის მეთოდოლოგია.....	6
2. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები .....	7
3. სამართალდამცავი ორგანოების როლი ოჯახში ძალადობის და ფემიციდის თავიდან ასარიდებლად და უმოქმედობის შედეგები .....	14
4. სამართალდამცავი უწყებების საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები და მათი პასუხისმგებლობა.....	24
5. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულის ამსრულებელი სამართალდამცავები/პოლიციელები.....	30
6. ძალადობის მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.....	35
7. დაზარალებულის/მისი ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების და გამოთხოვის უფლება.....	43
8. გენდერული მოტივის გამოკვეთა და დადგენა დანაშაულის კვალიფიკაციის დროს .....	59
9. დაზარალებულის დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისაგან.....	67
9.1. ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაცია გამოძიების ეტაპზე.....	68
9.2. დაზარალებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემების და პირადი რეპუტაციის დაცვა.....	74
9.3. დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვა სასამართლო განხილვის ეტაპზე.....	79
10. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვები .....	84
10.1. ძალადობის/ფემიციდის თვითმხილველი ბავშვების დაზარალებულად ცნობა .....	87
10.2. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვა გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპზე.....	89
11. მამობის დადგენა .....	96
12. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა შვილების საგანმანათლებლო მიგრაცია 100	
13. ზიანის ანაზღაურება.....	103
13.1. ზიანის ანაზღაურება დანაშაულის ჩამდენი პირისგან.....	104
13.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ .....	111

## შესავალი

21-ე საუკუნეში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა კვლავ გვევლინება თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოწვევად, მათ შორის განვითარებული სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყნებში. საკითხი და თანმდევი პრობლემები მით უფრო მწვავეა საქართველოში, სადაც პატრიარქალური გარემო, რელიგიური, კულტურული და მორალური სტერეოტიპებით გაჯერებული საზოგადოება, ქალებისთვის ხშირად გაუსაძლის მასტიგმატიზირებელ სოციალურ რეალობას ქმნის და მათ ძალადობის მსხვერპლად აქცევს.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა, რომელიც მიმართული იყო როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის საერთაშორისო დადგენილ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისკენ. თუმცა, გამოცდილებამ აჩვენა, რომ დღის წესრიგში ჯერ კიდევ დგას ისეთი საბაზისო გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება, ერთი მხრივ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და შემდგომი რეაგირებისას სამართალდამცავი უწყებების უმოქმედობას ან არაეფექტური მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის კვალიფიკაციისას გენდერული მოტივის გამოკვეთას, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასა და საქმის მასალების ასლების მოპოვების შესაძლებლობას. ამასთან, სამართლებრივი კულტურის განვითარებამ, გამოავლინა ახალი ტენდენციები, რომლებიც შეეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ძალადობის მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის პრობლემებს, დამნაშავისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას და სხვა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და, ამ მხრივ, სამართლებრივი კულტურის განვითარების პროცესში, საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უფლებადამცველი ორგანიზაციები. 2022 წლის ივლისიდან არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ახორციელებდა პროექტს - „ძალადობის მსხვერპლი ქალების გაძლიერება სტრატეგიული სამართალწარმოების

გზით“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის, სექსუალური და სხვა ძალადობრივი, ასევე, გენდერულად მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვა და მხარდაჭერა. სტრატეგიული სამართალწარმოების უმთავრესი ამოცანა დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის შეცვლა და საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო ევროპული გამოცდილების შესაბამისი, გენდერ-სპეციფიკურ გარემოებებზე მორგებული, სენსიტიური, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული და ვიქტიმოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის დამკვიდრებაა.

თუმცა, ცალკე აღებული სტრატეგიული სამართალწარმოება ვერ იქნება ეფექტური, თუ საქართველოში არ განვითარდება ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და სამართლებრივი კულტურა. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში სამოსამართლო სამართალი აქტიურად არ გამოიყენება და, მეტიც, სასამართლო გადაწყვეტილებების უდიდესი ნაწილი ხელმისაწვდომიც არ არის (რომ არაფერი ითქვას ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკაზე), მნიშვნელოვანია, სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგები სხვა გზით გახდეს ცნობილი პრაქტიკოსი იურისტებისთვის და სფეროს განვითარებაში ჩართული დაინტერესებული აქტორებისთვის. ამ ანალიტიკური ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფართო აუდიტორიისთვის გახდეს ცნობილი სტრატეგიული სამართალწარმოებით მიღწეული პროგრესი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახლად დამკვიდრებული პრაქტიკის კიდევ უფრო განმტკიცებას.

## 1. კვლევის მეთოდოლოგია

ანალიტიკური ნაშრომის მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება სამართლებრივ პოზიტივიზმს და დოგმატიკას, რაც, პირველ რიგში, მოიცავს ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების და უსაფრთხოების მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზს. ერთი მხრივ, ნაშრომში მიმოხილულია საქართველოსთვის მბოჭავი ძალის მქონე, ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და მათი ავტორიტეტული განმარტებები, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი მექანიზმები. მათ შორის, „უფლებები საქართველოს“ ჩართულობით წარმოებული სტრატეგიული საქმეები და მათი შედეგები გაანალიზებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ევროსაბჭოს სტანდარტების მიხედვით.

ნაშრომში განვითარებული ანალიტიკური მსჯელობები, ასევე, აგებულია ვიქტიმოლოგიურ თეორიებზე, რადგან პროექტის ფარგლებში სტრატეგიული სამართალწარმოების ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციის ეფექტების შემცირება და მართლმსაჯულების სისტემაში გენდერულად მგრძნობიარე და მსხვერპლთა ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. შესაბამისად, კრიმინოლოგიის ამ დარგში განვითარებული ხედვების და თეორიების ჭრილში საქმეების გააზრების გარეშე, შეუძლებელია სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგების სრულყოფილად გაანალიზება და წარმოდგენა.

საერთო ჯამში საერთაშორისო სტანდარტების, ადგილობრივი კანონმდებლობის, მეორადი კვლევების და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვის, განმარტების, ინტერპრეტაციისა და შინაარსის განსაზღვრის დროს გამოყენებულია ჰერმენევტიკული მეთოდი, რაც ანალიტიკურ ნაშრომს თვისობრივი შინაარსობლივი ანალიზის ფორმასაც აძლევს.

## 2. ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მომუშავე ადვოკატებმა და უფლებადამცველებმა ფემიციდის პრევენციის ან დამდგარ შედეგებზე რეაგირების კუთხით ყურადღება უნდა გაამახვილონ რამდენიმე სტრატეგიაზე. პირველ რიგში, თუ საქმე კულმინაციურ ეტაპამდე არ არის მისული, მათ უნდა გამოავლინონ აქტივიზმი და მიმართონ ყველა შესაძლო მექანიზმს ძალადობის განმეორების რისკების დროულად და ეფექტიანად შესაფასებლად, ასევე რეალური დამცავი მექანიზმების ასამოქმედებლად. მეორე მხრივ, თუ უკვე სახეზეა ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა, შესაძლებელია სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყება მატერიალური ან/და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, სახელმწიფო სამართალდამცავი უწყებების მიერ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის. გარდა ამისა, თუ სამართალდამცავი უწყებების უმოქმედობას, უუნარობას ან/და გულგრილობას შედეგად მოჰყვა ქალის სიცოცხლის ხელყოფა ან ამგვარი საფრთხის შექმნა, მნიშვნელოვანია, შესაბამისი პოლიციელების ან სხვა მოსამსახურეების სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სამართალწარმოების დაწყება და შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვა.
- სამართალდამცავი უწყებების მხრიდან გამოვლენილი დაუდევრობის თუ უმოქმედობის შემთხვევებში, მნიშვნელოვანია, პოლიციის და პროკურატურის წარმომადგენლების წინააღმდეგ
- სისხლისსამართლებრივი გამოძიების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების დაწყების მიზნით უფლებადამცველებმა მიმართონ შესაბამის უფლებამოსილ უწყებას. აღნიშნულს, განსაკუთრებით საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ე.წ. „მსუსხავი“ ეფექტი ექნება სამართალდამცავი უწყებების მხრიდან უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის მიმართ და ხელს შეუწყობს ეფექტიანობის და გულისხმიერების გაზრდას.
- არსებული საკანონმდებლო რეგულირებით ადმინისტრაციულსამართლებრივი დაცვის მექანიზმები სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილ

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დანაყოფების უფლებამოსილებას მიეკუთვნება. შესაბამისად, შემაკავებელი ორდერების გამოცემას, ასევე შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესრულების კონტროლს სამართალდამცავების მიერ ჩადენილ ძალადობაზე უზრუნველყოფს არა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, არამედ – პოლიცია. ამ შემთხვევაში ვლინდება რისკი, რომელიც უკავშირდება პოლიციის თანამშრომელთა მიკერძოებას და მხარდაჭერას სამართალდამრღვევი კოლეგების მიმართ. სწორედ ამიტომ, სტრატეგიული სამართალწარმოების კუთხით, მნიშვნელოვანია ეს საკითხი მომავალში სადავო გახდეს როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

- საერთაშორისო სტანდარტებით და პრაქტიკით დადგენილი მიდგომისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული წესით და მიღებული მემკვიდრეობის შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა პირის დაზარალებულად ცნობას უკავშირებს არა ზიანის მიყენების ფაქტს, არამედ მისთვის გარკვეული სტატუსის ოფიციალურად მინიჭებას, რაც სრულად პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. სამართალწარმოების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაზარალებულად დროულად ცნობა და შესაბამისი უფლებებით გამოძიების დაწყებიდანვე აღჭურვა გამოწვევას წარმოადგენს და, როგორც წესი, ამისთვის ადვოკატების დამატებითი ჩარევა და მხარდაჭერა არის საჭირო. მნიშვნელოვანია დაზარალებულად ცნობის არსებული მოდელი სტრატეგიული სამართალწარმოების ობიექტი გახდეს მომავალში იმის გათვალისწინებითაც, რომ ის ასეთი ფორმით არ გვხვდება არც საერთო და არც კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიუხედავად, დაზარალებულისა და ადვოკატებისთვის პრაქტიკაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს საქმის მასალების ასლების ხელმისაწვდომობა. სამართალდამცავი ორგანოები თბილისში როგორც წესი უპრობლემოდ და დაუბრკოლებლად გასცემენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუმცა, სხვა რეგიონებში ხშირია უარი, სრულიად დაუსაბუთებელი და ფორმალური მიდგომების

საფუძველზე. სტრატეგიული კუთხით, მიზანშეწონილია, რომ უფლებადამცველებმა სამართალდამცავ უწყებას მიმართონ საკანონმდებლო რეგულირებასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებზე დაფუძნებული დასაბუთებული განცხადებით. ხოლო უარის შემთხვევაში საკითხი გაასაჩივრონ როგორც ზემდგომ პროკურორთან, ისე სასამართლოში.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული განმარტებების საფუძველზე და საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის სულისკვეთებიდან გამომდინარე, დაზარალებულის ინფორმირების და საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლების შინაარსი მოიცვას სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიას, მათ შორის, საქმის წარმოებას სასამართლოში და შემაჯამებელი განაჩენის გამოტანის შემდგომ პერიოდსაც. ამასთან, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებულთა ხელმისაწვდომობა სასამართლო სხდომის ოქმებზეც.
- სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში როგორც გამოძიების, ისე სასამართლო კვალიფიკაციის ეტაპზე კვლავ არსებით გამოწვევად რჩება გენდერული მოტივის გამოკვეთა. საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი განმარტებების და საუკეთესო გამოცდილების შესაბამისი პრაქტიკის დასამკვიდრებლად, კვლავ აუცილებელია ადვოკატების მხრიდან სტრატეგიული მხარდაჭერის განხორციელება.
- გამოძიების ეტაპზე, სამართალდამცავ უწყებებთან კომუნიკაციის დროს, დანაშაულის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა შეფასდეს, როგორც არამატერიალური ზიანი. დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასების და მეორეული ვიქტიმიზაციის დადასტურების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სტრატეგიული სამართალწარმოება წარიმართოს ადმინისტრაციული წესით, სამართალდამცავი ორგანოს წინააღმდეგ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.
- სამართალწარმოების პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულები სხვადასხვა უკანონო გზით, მათ შორის მუქარის გამოყენებით, ცდილობენ გავლენა მოახდინონ დაზარალებულზე სამართალდამცავ ორგანოებში

შეტანილი განაცხადის უკან გამოსათხოვად ან/და გამოვითხვის ფარგლებში მიწოდებული ინფორმაციის შესაცვლელად. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოსთვის მიმართვა, რათა დაიწყოს გამოძიება სულ მცირე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს გამოსაკითხ პირზე, მოწმესა და დაზარალებულზე ზემოქმედების განხორციელების დასჯადობას. საქმის აღმდეგ სტრატეგიულად შემაკავებელია არამხოლოდ ბრალდებულის შემდგომი ქმედებების მიმართ, არამედ - ე.წ. „მსუსხავი“ ეფექტი აქვს სხვა მოძალადეებისთვისაც.

- პრაქტიკაში გამოვლინდა მოძალადეების მიერ მსხვერპლი ქალების პერსონალური მონაცემების უკანონო მიზნების მისაღწევად გამოყენების ფაქტები. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ერთი მხრივ, დაზარალებულმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიმართოს განცხადებით, რომელშიც სრულად იქნება ასახული მის ხელთ არსებული ინფორმაცია, ხოლო სხვა აუცილებელი და მისთვის მიუწვდომელი ინფორმაციის მოსაპოვებლად მოთხოვნილი იქნება ინსპექტირების ჩატარება. მეორე მხრივ, უფლებადამცველებმა უნდა მიმართონ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157<sup>1</sup> მუხლებით<sup>1</sup> გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტების გამოსაძიებლად. აღნიშნული სამართალწარმოებები იქნება ეფექტიანი, როგორც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმის გამოძიების პროცესში, ასევე „მსუსხავ“ ეფექტს შექმნის მომავალში ძალადობის მსხვერპლთა პირადი ცხოვრებით მანიპულაციის თავიდან ასარიდებლად.
- საგამოძიებო ორგანოების შენობების ინფრასტრუქტული მოწყობა და არსებული საერთო სივრცეები არ იძლევა კონფიდენციალურობის დაცვის, ასევე, გამომძიებელსა და დაზარალებულს შორის ნდობითი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას. ასეთ პირობებში კი გაზრდილია დანაშაულის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები. თუმცა სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად პრაქტიკაში დამკვიდრდა ძალადობის მსხვერპლი ქალების, არა პოლიციის

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფისთვის, ხოლო 157<sup>1</sup> მუხლი - პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის გამო.

შენობებში, არამედ სხვა სივრცეში (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში) გამოკითხვის შესაძლებლობა.

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაზარალებულები მეორეული ვიქტიმიზაციის მსხვერპლები ხდებიან არამხოლოდ საგამოძიებო ორგანოებთან შემხებლობისას, არამედ მოსამართლეების მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამოც საქმის სასამართლოში განხილვისას. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სტრატეგიული სამართალწარმოება დაინიცირდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში, თანასწორობის პრინციპის დარღვევის და დისკრიმინაციული მიდგომის გამო მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.
- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს წარმოადგენენ ფაქტის შემსწრე არასრულწლოვანი შვილებიც, რომელთა დაზარალებულად ცნობასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინტერესებისათვის, ასევე მომავალში მათ მიერ ზიანის ანაზღაურების მოსათხოვად. ერთი მხრივ, არასრულწლოვანების დაზარალებულად ცნობა უკავშირდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებრივი გარანტიებით აღჭურვას და მნიშვნელოვან ბაზისს ქმნის ბავშვის დასაცავად პროცესის დროს მეორეული ვიქტიმიზაციისგან. მეორე მხრივ, ეს შეიძლება გახდეს საფუძველი მიყენებული ზიანის განსასაზღვრად არასრულწლოვანისთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად და კომპენსაციის მისაღებად.
- სტრატეგიული სამართალწარმოების საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგად, შესაძლებელი გახდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვა და მათი ტელეფონებიდან ინფორმაციის ამოღება განხორციელებულიყო არა პოლიციის შენობაში, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში. ამ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანომ მხედველობაში მიიღო ადვოკატების მოთხოვნა და გაითვალისწინა, რომ ორგანიზაციის სამუშაო სივრცე ბავშვებისთვის ნაცნობი იყო და ისინი არაერთხელ ნამყოფები იყვნენ ოფისში. შესაბამისად, არასრულწლოვანების პირველადი გამოკითხვა და ასევე მობილური ტელეფონიდან ინფორმაციის ამოღება განხორციელდა „უფლებები საქართველოს“ ოფისში, მათ ინტერესებზე მორგებულ

ინფრასტრუქტურულად და პროფესიონალურად დაცულ, ნაკლებად მატრავმირებელ გარემოში. აღნიშნულმა ხელი შეუწყო ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.

- სტრატეგიული სამართალწარმოების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შედეგია, არასრულწლოვანი მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით, სასამართლო დაკითხვის განხორციელება დისტანციურად, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის შექმნილი ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრიდან (ე.წ. „ბარნაჰუსიდან (Barnahus)).
- საქართველოში ადრე დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მამობის დადგენის მსურველ და სამართალწარმოების ინიციატორ ქალს ეკისრებოდა აუცილებელი საექსპერტო ხარჯების გადახდის ვალდებულება. თუმცა სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად, შესაძლებელი გახდა მშობლობის უარყოფის მტკიცების ტვირთი და შესაბამისი ხარჯების გაღების ვალდებულებაც დაკისრებოდა პოტენციურ მამას. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ შექმნა უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი, რომლის თანახმადაც, მამობის დადგენის საქმეში, როდესაც სავარაუდო და პოტენციური მამა არ ცნობს სარჩელს და საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, მანვე უნდა გაიღოს ხარჯი იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც მისი რწმენით უზრუნველყოფს გენეტიკური მშობლობის არ არსებობის დადასტურებას. ასეთ შემთხვევაში კი სავარაუდო მამას, როგორც თავად მტკიცებულების წარდგენის ინიციატორს, დაეკისრება ექსპერტიზისთვის საჭირო თანხების გადახდევინების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.
- სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შესაძლებელი გახდა მშობლის უფლების შეზღუდვა, საგანმანათლებლო მობილობის განხორციელების ნაწილში, დროებითი განკარგულების მეშვეობით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ ეფექტიანი მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვამ შესაძლებელი გახადა არამხოლოდ უშუალოდ ბავშვის

განათლების უფლების განხორციელება და პიროვნული განვითარება, არამედ უზრუნველყო მისი მორალური და ფსიქოლოგიური ტრავმირების თავიდან აცილება.

- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მიერ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით. ახლად დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა უშუალოდ დამნაშავისგან მორალური ზიანის ანაზღაურების მიღება როგორც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შედეგად მიყენებული ფიზიკური ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ასევე მიყენებული ფსიქოლოგიური ტანჯვისთვის და ძალადობის შემდგომ განვითარებული ფსიქოტრავმისთვის.
- საქართველოში მიღებული უახლესი ნორმატიული რეგულირებით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის შესაძლებელი გახდა სახელმწიფო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. ნორმატიული აქტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ფემიციდის მსხვერპლის არასრულწლოვანი შვილებისთვის ზიანის ანაზღაურებას 10000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, შესაძლებელია, სახელმწიფომ აანაზღაუროს ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის მიყენებული ზიანი, თუ დანაშაულის ჩამდენი პირისგან შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, თუ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში ვერ მოხდა ზიანის ანაზღაურება ასანაზღაურებელი თანხის არანაკლებ 40%-ით მაინც.

### **3. სამართალდამცავი ორგანოების როლი ოპარატი ძალადობის და ფეხიციდის თავიდან ასარიღებლად და უმოქმედობის შედეგები**

თანამედროვე და განვითარებულ მსოფლიოში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნებისათვის სამართალდამცავ უწყებებს განსაკუთრებული როლი აქვთ. მაშინ როდესაც ასეთ დანაშაულებს განმეორებითობა ახასიათებთ და მრავალშრიანი განვითარების ტენდენცია აქვთ, სამართალდამცავი ორგანოების დროული და ეფექტური ჩარევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, პრაქტიკამ გამოავლინა, რომ გატარებული რეფორმების და ღონისძიებების მიუხედავად, უფლებამოსილი უწყებების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვის ვალდებულების შესრულება კვლავ გამოწვევად რჩება და სახელმწიფოს უმოქმედობა სავალალო შედეგებს იწვევს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები პირდაპირ და ცალსახად მიუთითებენ ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვის სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია<sup>2</sup> მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ქმედების ჩადენისგან და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, პასუხისმგებელი წარმომადგენლები, დაწესებულებები და სხვა პირები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით გამოდიან, მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად. მეორე მხრივ, კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გამოიჩინონ სათანადო ყურადღება და გულისხმიერება, რათა აღკვეთონ, გამოიძიონ, დასაჯონ და გაითვალისწინონ კომპენსაცია არასახელმწიფო პირების მიერ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების ჩადენისთვის.<sup>3</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სტამბოლის კონვენციის მე-6 თავი, რომლის დასაწყისშივე მითითებულია, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო

<sup>2</sup> შემდეგში, ასევე, სტამბოლის კონვენცია.

<sup>3</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 5.

ზომა, რათა გამოძიება და სასამართლო საქმის წარმოება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით ხორციელდებოდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და, ამასთან, მხედველობაში მიიღებოდეს მსხვერპლის უფლებები სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი დანაშაულების ქმედითი გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა.<sup>4</sup> პასუხისმგებელი სამართალდამცავი უწყებები სწრაფად და სათანადოდ უნდა რეაგირებდნენ ძალადობაზე მსხვერპლისთვის ადეკვატური და დაუყოვნებლივი დაცვის შეთავაზების გზით. ისინი უნდა ახორციელებდნენ ძალადობის პრევენციასა და მისგან დაცვას, მათ შორის, პროფილაქტიკური ოპერატიული ზომების გამოყენებას და მტკიცებულების შეგროვებას.<sup>5</sup> სახელმწიფომ ყველა ზომას უნდა მიმართოს ძალადობის მსხვერპლთა, ასევე მათი ოჯახების დაშინების, შურისძიებისა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად.<sup>6</sup> ამასთან, კონვენცია პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, ძალადობის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის ამკრძალავი, შემაკავებელი და დამცავი ორდერები. თუმცა ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული დამცავი მექანიზმები, პრაქტიკული კუთხით უნდა იყოს ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული და არა მხოლოდ ფორმალური ხასიათის.<sup>7</sup>

ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვის პოზიტიური ვალდებულება და სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღების და გულისხმიერების გამოჩენის პასუხისმგებლობა, ასევე, ინტეგრირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო დოკუმენტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში. მათ შორის, აღსანიშნავია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, გენერალური ასამბლეის 1993 წლის დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის

<sup>4</sup> იგივე, მუხლი 49.

<sup>5</sup> იგივე, მუხლი 50.

<sup>6</sup> იგივე, მუხლი 56.1.ა.

<sup>7</sup> იგივე, მუხლი 52-53.

აღმოფხვრის შესახებ,<sup>8</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №35 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, რომელიც აახლებს №19 ზოგად რეკომენდაციას, აგრეთვე ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec(2002)5 ქალთა ძალადობისგან დაცვის შესახებ და სხვა.<sup>9</sup>

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ N35 ზოგადი რეკომენდაცია განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუკი ისინი ვერ გაატარებენ ყველა საჭირო ზომას, არასახელმწიფო აქტორების მიერ მოქმედებით თუ უმოქმედობით ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის განხორციელების თავიდან ასაცილებლად, ასევე, ძალადობის შემთხვევაში, გამოძიების, ბრალის წაყენების, დასჯის და შემდგომი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფად. სათანადო გულისხმიერების ვალდებულების საფუძველზე, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ მრავალმხრივი ღონისძიებები არასახელმწიფო აქტორების მიერ ქალთა მიმართ გენდერზე დაფუძნებულ ძალადობასთან გასამკლავებლად. მათ შორის, სახელმწიფოებში უნდა მოქმედებდეს ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი ნორმატიული აქტები, ინსტიტუციები და სისტემები, რომლებისთვისაც უზრუნველყოფილია პრაქტიკაში ეფექტურად მუშობის შესაძლებლობა და მხარს უჭერს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა. სახელმწიფოს უუნარობა, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ქმედებათა პრევენციისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა იციან ან უნდა იცოდნენ ამ სახის ძალადობის რისკის არსებობის შესახებ, ან უუნარობა, გამოიძიონ, ბრალი დასდონ და დასაჯონ მოძალადები და უზრუნველყონ ზიანის ანაზღაურება ამგვარი ქმედებების მსხვერპლთათვის, იძლევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ჩადენის ნაგულისხმევ ნებართვას ან ახალისებს მის ჩადენას.<sup>10</sup>

<sup>8</sup> UN General Assembly Declaration on the Elimination of Violence against Women, A/RES/48/104, 23 February 1994, article 4.

<sup>9</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, para. 58.

<sup>10</sup> Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, CEDAW/C/GC/35, 26 July 2017, para. 24.

ცალკე განხილვას საჭიროებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც მნიშვნელოვან სამართლებრივ პრეცედენტებს ადგენს სახელმწიფოს მიერ ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შინაარსის განსაზღვრის კუთხით. ამ მხრივ, საქმე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey), უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებად და ევროსასამართლოს მუდმივ სახელმძღვანელო სტანდარტად მიიჩნევა. ამ საქმეში სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით სასამართლო განმარტავს, რომ პოზიტიური ვალდებულებების მასშტაბი იმგვარად არ უნდა განიმარტოს, რომ შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი დააკისროს სახელმწიფოს. იმისათვის, რომ დადგეს პოზიტიური ვალდებულება, უნდა დამტკიცდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა პირის სიცოცხლისადმი მესამე პირის სისხლისსამართლებრივი ქმედებით გამოწვეული რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობა მოცემულ დროს და რომ მან, ამ საფრთხის არსებობის მიუხედავად, არ მიიღო მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ზომები, რომლებიც, გონივრულობის ფარგლებში, მოეთხოვებოდა საფრთხის თავიდან ასარიდებლად.<sup>11</sup>

სასამართლოს აზრით, როდესაც არსებობს პრეტენზია, რომ ხელისუფლებამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, თავიდან აეცილებინა პირის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენა, უნდა შეფასდეს, თუ რამდენად იცოდა ან უნდა სცოდნოდა სახელმწიფოს კონკრეტულ დროს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მესამე მხარის სისხლისსამართლებრივი ქმედებებით შექმნილი რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობის შესახებ და თუ რამდენად გამოიყენა მისი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული ზომები, რომლითაც, გონივრული შეფასებით, შესაძლებელი იქნებოდა საფრთხის თავიდან არიდება. ასევე, მომჩინის მხრიდან საკმარისია იმის ჩვენება, რომ ხელისუფლებამ არ გააკეთა ყველაფერი, რაც მას გონივრულობის ფარგლებში მოეთხოვებოდა, რათა თავიდან აეცილებინა სიცოცხლის წინააღმდეგ არსებული რეალური და დაუყოვნებელი საფრთხე, რომელიც იცოდა ან უნდა სცოდნოდა.<sup>12</sup>

<sup>11</sup> Opuz v. Turkey, European Court of Human Rights, Application no. 33401/02, 9 June 2009, para. 129.

<sup>12</sup> იგივე, პარა. 130.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სასამართლოს მითითება, რომ სახელმწიფოების უმეტესობის მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესების და პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოს უუნარობა - განუზრახველიც კი - დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისგან, არღვევს მათ უფლებას, სარგებლობდნენ კანონის დაცვის თანაბარი მექანიზმებით.<sup>13</sup>

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შინაარსი კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ თხელიძის საქმეში (Tkhelidze v. Georgia).<sup>14</sup> სასამართლომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე სახელმწიფოს უმოქმედობის შეფასებისას ყურადღება გაამახვილა სამი გარემოების დადგენაზე: არსებობდა თუ არა რეალური და მყისიერი საფრთხე იდენტიფიცირებული პირის მხრიდან, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ თუ არა ამ საფრთხის შესახებ და ამ ორ შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა გამოავლინეს თუ არა განსაკუთრებული გულისხმიერება საფრთხეზე პასუხის გაცემისას.<sup>15</sup>

ნიშანდობლივია, რომ თხელიძის საქმეში სასამართლომ, ასევე, იმსჯელა ოჯახში ძალადობის სისტემურ ხასიათზე და მიუთითა, რომ რამდენიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანომ, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, დაადასტურა საზოგადოებაში არსებული გამოწვევა და განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები უკავშირდება, მათ შორის, დისკრიმინაციულ გენდერულ სტერეოტიპებსა და პატრიარქალურ დამოკიდებულებებს, რასაც თან ახლავს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული გულმოდგინების ნაკლებობა. შესაბამისად, ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა სიტუაციის სიმძიმე, რომელიც ქვეყანაში ბევრ ქალს ეხებოდა; მას უნდა გამოევლინა განსაკუთრებული გულმოდგინება და გაეზარდა სახელმწიფო დაცვა ამ ჯგუფის მოწყვლადი წევრებისთვის. ევროპულ სასამართლოს მხოლოდ დასკვნის გაკეთება შეუძლია, რომ ოჯახში ძალადობის

<sup>13</sup> იგივე, პარა. 191.

<sup>14</sup> Tkhelidze v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 33056/17, 8 July 2021.

<sup>15</sup> იგივე, პარა. 52.

ბრალდებების მიმართ ზოგადი და დისკრიმინაციული პასიურობა, რომლის ნათელი ილუსტრაციაა თხელიძის საქმე, ქმნიდა ხელშემწყობ კლიმატს ქალთა მიმართ შემდგომი ძალადობის განხორციელებისთვის. ამრიგად, საქართველოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლის მიმართ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების განუხორციელებლობამ, განურჩევლად იმისა, იყო ეს განზრახი, თუ დაუდევარი მიდგომის შედეგი, ძირი გამოუთხარა მომჩივნისა და მისი ქალიშვილის კანონის წინაშე თანაბარი დაცვის უფლებას.<sup>16</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დამატებითი სტანდარტები და განმარტებები, მათ შორის პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქმეში A. და B. საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia).<sup>17</sup> სასამართლომ თხელიძის საქმეზე დადგენილ პრეცედენტზე დაყრდნობით მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში პოლიციამ ვერ გამოიჩინა საჭირო მონდომება და დაუშვა ისეთი მნიშვნელოვანი ხარვეზები საკუთარ საქმიანობაში, როგორიცაა არაზუსტი, არასრული ან თუნდაც შეცდომაში შემყვანი მტკიცებულებების შეგროვება. ის არ ცდილობდა ჩაეტარებინა სათანადო ანალიზი, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ძალადობის პოტენციური გამომწვევი ფაქტორები. ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ ოჯახში ძალადობის ხსენებული ინციდენტის საპასუხოდ, მტკიცებულებების შეგროვების ხარვეზებმა შეიძლება გამოიწვიოს რეალურად ჩადენილი ძალადობის დონის არასაკმარისი შეფასება, ჰქონდეს მავნე ზეგავლენა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების პერსპექტივაზე და ხელიც კი შეუშალოს ოჯახურის ძალადობის მსხვერპლებს, რომლებიც ხშირად უკვე საზოგადოების ზეწოლის ქვეშ არიან, რომ მომავალში შეატყობინონ მოძალადე ოჯახის წევრის შესახებ ხელისუფლებას.<sup>18</sup>

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა, სამართალდამცავი უწყებების არაეფექტიანობა და უუნარობა კვლავ რჩება სისტემურ გამოწვევად საქართველოში, რაც გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები

<sup>16</sup> იგივე, პარა. 56.

<sup>17</sup> A and B v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 73975/16, 10 February 2022.

<sup>18</sup> იგივე, პარა. 47.

საქართველოს“ ჩართულობით მიმდინარე თ.ჭ.-ის ფემიციდის მცდელობის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეში. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ყოფილმა მეუღლემ დღის საათებში ავტობუსის გაჩერებასთან, განსაკუთრებული სისასტიკით, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ცივი იარაღით 10 ჭრილობა მიაყენა თ.ჭ.-ს, რომელიც გარშემომყოფების დახმარებით და დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

დადგენილია, რომ ქალი მეუღლის მხრიდან დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელსაც ასევე ესწრებოდა მათი არასრულწლოვანი შვილი. ნიშანდობლივია, რომ ფემიციდის მცდელობამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, დაზარალებულმა, ერთ-ერთი ძალადობის შემდეგ, დახმარებისთვის მიმართა სამართალდამცავ უწყებებს, რის შედეგადაც დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მოძალადის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. თუმცა, ამ შემთხვევაში, სამართალდამცავმა უწყებებმა არ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება და გულისხმიერება, რათა საფუძვლიანად გამოეკითხათ დაზარალებული, მისი შვილი და სხვა პირები, რომ მოეპოვებინათ სრული ინფორმაცია ძალადობის წინარე ისტორიის შესახებ და გაეტარებინათ შემდგომში ფემიციდის მცდელობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ღონისძიებები.

ამასთან, სამართალდამცავმა უწყებებმა არ გაითვალისწინეს დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური პრობლემები, ასევე არ შეისწავლეს ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგები, ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების მეშვეობით. მათმა გულგრილობამ, რისკების არასათანადოდ და არაადეკვატურად შეფასებამ, შედეგად გამოიწვია ის გარემოება, რომ მოძალადის მიმართ მხოლოდ ფორმალურად გამოიცა შემაკავებელი ორდერი და არ მომხდარა ელექტრონული სამაჯურის გამოყენება, რაც თ.ჭ.-ის სიცოცხლის უფლების დასაცავად საკმარისი არ აღმოჩნდა.

მოცემულ საქმეში ცალსახად გამოიკვეთა სახელმწიფოს მხრიდან სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა, რადგან მრავალწლიანი ძალადობის

ისტორიის გათვალისწინებით, არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე, რომ თ.ჭ.-ს მიმართ სიცოცხლისთვის საშიში თავდასხმა ყოფილი მეუღლის მხრიდან განხორციელდებოდა. ამასთან, სამართალდამცავ უწყებებს ფემიციდის მცდელობამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მტკიცებულების და ინფორმაციის სრულად და ზუსტად შეგროვებით, შეეძლოთ შეფასებინათ ძალადობის ხარისხი, ინტენსივობა და განმეორებითობის რისკები. მათ ამ საფრთხეების და რისკების დასაბალანსებლად მინიმუმ შეეძლოთ გამოყენებინათ ელექტრონული სამაჯური, რაც ფემიციდის მცდელობის თავიდან აცილებას რეალურს გახდიდა.

ამ საქმესთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება რისკების შეფასების კომპონენტზე, რაც კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოში. სწორედ რისკების არაადაკვეტურად და არასრულად შეფასებამ გამოიწვია ის მოცემულობა, რომ სამართალდამცავმა უწყებამ საჭიროდ არ ჩათვალა ელექტრონული სამაჯურის და სხვა დამატებითი პრევენციული მექანიზმების გამოყენება და მხოლოდ შემაკავებელი ორდერის ფორმალურად გამოცემით შემოიფარგლა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სტამბოლის კონვენციის 51-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა უზრუნველყონ ფატალური რისკის, სიტუაციის სერიოზულობისა და ძალადობის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასება ხდებოდეს ხელისუფლების ყველა შესაბამისი ორგანოს მიერ რისკის მართვისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხოებისა და დახმარების კოორდინირებულად უზრუნველყოფის მიზნით.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის<sup>19</sup> მიერ საქართველოზე მომზადებულ ანგარიშში მითითებულია, რომ GREVIO მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოში შემოღებულია რისკების შეფასების სისტემა, რომელიც ოჯახში ძალადობის საქმეების მართვის განუყოფელ ნაწილად იქცა.<sup>20</sup> თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებს, რომ მათი ყურადღება მიიპყრო

<sup>19</sup> შემდეგში, ასევე, GREVIO.

<sup>20</sup> Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence, GREVIO's (Baseline) Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention), Georgia, GREVIO/Inf(2022)28, 13 October 2022, para. 323.

სხვადასხვა ანგარიშში ასახულმა ისეთმა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც, პოლიციის თანამშრომლები სრულად და გულმოდგინედ არ ასახავენ მსხვერპლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მათ შორის, ისეთი ფაქტების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია დამამძიმებელი გარემოების ან გენდერულად მადისკრიმინირებელი მოტივის გამოსაკვეთად. ეს კი, საერთო ჯამში, იწვევს ქმედების ნაკლები სიმძიმის დანაშაულად კვალიფიკაციას. ასევე, გამოვლინდა, რომ პოლიციელები მსხვერპლებს არ უსვამენ რისკების შეფასების კითხვარში მითითებულ ყველა რელევანტურ შეკითხვას და კითხვარის გარკვეულ ნაწილს თავისით ავსებენ. ამან კი შეიძლება, შეაფერხოს რისკების ეფექტიანად იდენტიფიცირება და დაზარალებულის დაცვა.<sup>21</sup> რაც შეეხება GPS სისტემით კონტროლირებად ელექტრონულ სამაჯურს, რომელიც გამოიყენება მაღალი რისკის საქმეებში,<sup>22</sup> ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა მათი პრაქტიკაში გამოყენების სიმცირეზე.<sup>23</sup>

ყოველივე აღნიშნულისა და საქართველოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მომუშავე ადვოკატებმა და უფლებადამცველებმა, სტრატეგიული სამართალწარმოების კუთხით, ყურადღება გაამახვილონ რამდენიმე მიმართულებით:

- თუ საქმე კულმინაციურ ეტაპამდე არ არის მისული, მათ უნდა გამოავლინონ აქტივიზმი და მიმართონ ყველა შესაძლო მექანიზმს ძალადობის განმეორების რისკების დროულად და ეფექტიანად შესაფასებლად, ასევე რეალური დამცავი მექანიზმების ასამოქმედებლად.

---

<sup>21</sup> იგივე, პარა. 326.

<sup>22</sup> მაღალი რისკის საქმეების ინდიკატორებად მიიჩნევა სამართალდამრღვევის მიერ წარსულში ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები, შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერების დარღვევის ისტორია და იარაღის გამოყენება.

<sup>23</sup> Group of Experts on Action against Violence against Women and Domestic Violence, GREVIO's (Baseline) Evaluation Report on legislative and other measures giving effect to the provisions of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention), Georgia, GREVIO/Inf(2022)28, 13 October 2022, para. 328.

- თუ სახეზეა ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა, შესაძლებელია სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყება მატერიალური ან/და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, სახელმწიფო სამართალდამცავი უწყებების მიერ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.
- თუ სამართალდამცავი უწყებების უმოქმედობას, უუნარობას ან/და გულგრილობას შედეგად მოჰყვა ქალის სიცოცხლის ხელყოფა ან ამგვარი საფრთხის შექმნა, მნიშვნელოვანია, შესაბამისი პოლიციელების ან სხვა მოსამსახურეების სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სამართალწარმოების ინიციირება და შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვა.

## **4. სამართალდამცავი უწყებების საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები და მათი პასუხისმგებლობა**

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში ან/და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას სამართალდამცავი უწყებების მხრიდან გამოვლენილი დაუდევრობის თუ უმოქმედობის შემთხვევები პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად კი, მნიშვნელოვანია, პოლიციის და პროკურატურის წარმომადგენლებისთვის სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, რასაც მომავალში ე.წ. „მსუსხავი“ ეფექტი ექნება სამართალადამცავი უწყებების მხრიდან უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის მიმართ და ხელს შეუწყობს ეფექტიანობის და გულისხმიერების გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანიც გახდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ორ საქმეში. სასამართლომ შეაფასა პროცედურული პოზიტიური ვალდებულების დაცვის საკითხი იმ პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლებრივი გამოძიების წარმოების კონტექსტში, რომელთაც არ გამოიჩინეს გულმოდგინება ოჯახში ძალადობის საქმის მიმართ დროული და ეფექტიანი რეაგირების კუთხით. თხელიძის საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან შესაძლო გულგრილობის შედეგად დამდგარ გარდაცვალებასთან მიმართებით, ყველა შემთხვევაში, აუცილებლად არ მოითხოვება სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. თუმცა, განსაკუთრებულ გარემოებებში მხოლოდ ეფექტიანმა სისხლის სამართლის გამოძიებამ შეიძლება დააკმაყოფილოს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური პროცედურული ვალდებულების მოთხოვნები. ასეთი გარემოებები შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, როდესაც სასიკვდილო შედეგი დადგა ან მსხვერპლის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა საჯარო მოხელის იმ ქმედების შედეგად, რომელიც სცდება შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს. ის ფაქტი, რომ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაზე პასუხისმგებელ საჯარო უწყების

წარმომადგენლებს ბრალი არ წარედგინათ ან მათ მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა იყოს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, როდესაც დადგენილია, რომ სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოს გულგრილობა სცდება შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს, ვინაიდან ხელისუფლებამ ვერ მიიღო რისკის თავიდან ასაცილებლად საჭირო და საკმარისი ზომები, მიუხედავად ზიანის ანაზღაურების ნებისმიერი სხვა საშუალებისა, რომელსაც ინდივიდმა საკუთარი ინიციატივით მიმართა.<sup>24</sup>

საბოლოოდ, სასამართლომ ამ საქმეში მიუთითა, რომ ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობასთან ასოცირებული დისკრიმინაციული მოტივების გათვალისწინებით, არსებობდა მწვავე საჭიროება, ჩატარებულიყო საგულისხმო მოკვლევა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და წინასწარი განწყობის/მიკერძოების შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით, რაც ასევე იყო პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის განმსაზღვრელი ფაქტორი. იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების ერთ-ერთი მიზეზი და ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლისთვის არსებული მაღალი რისკების თაობაზე, თუ ის ვერ შეასრულებდა საპოლიციო მოვალეობებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი გულგრილობა გასცდა უბრალო შეცდომას ან დაუდევრობას. ამასთან, პროკურატურამ უგულებელყო მომჩივნის არაერთი სისხლისსამართლებრივი საჩივარი და არც კი უცდია დაედგინა პოლიციელთა ვინაობა, დაეკითხა ისინი და დაეკისრებინა მათთვის პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ უპასუხეს გენდერული ნიშნით ძალადობის არაერთ ინციდენტს, რაც, საბოლოოდ, მსხვერპლის მკვლელობით დასრულდა. პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოებაც კი არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი წარდგენილი იყო პოლიციელთა დისციპლინური ზედამხედველობის ორგანოში.<sup>25</sup>

სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა და დაუდევრობა იყო ერთ-ერთ მთავარი მიზეზი, რის გამოც ოჯახში

<sup>24</sup> Tkhelidze v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 33056/17, 8 July 2021, para. 59.

<sup>25</sup> იგივე, პარა. 60.

ძალადობა იქნა გამწვავებული და, საბოლოოდ, ძალადობის მსხვერპლის მკვლელობით დასრულდა საქმეში ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ. ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მაღალი რისკის შესახებ, რომელსაც დაზარალებული შეხვდებოდა თუ პოლიცია არ შეასრულებდა მოვალეობებს და, ამრიგად, შეეძლო დაედგინა, იყო თუ არა მოძალადე წარსულში ჩართული მსგავს ინციდენტებში ან ჰქონდა თუ არა ძალადობისკენ მიდრეკილება. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი უმოქმედობა და დაუდევრობა გასცდა უბრალო შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს. შესაბამისად, მომჩივნების მიერ ეროვნულ დონეზე გამოყენებულ დაცვის საშუალებებს შორის, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის, ყველაზე აქტუალური იყო სისხლის სამართლის საქმისწარმოება, რომელიც დაიწყო პოლიციის თანამშრომლებისა და პროკურორების წინააღმდეგ.<sup>26</sup>

სტრასბრუგის სასამართლო შეშფოთებით აღნიშნავს, რომ კომპეტენტური საგამოძიებო ორგანო არა მხოლოდ თავს იკავებდა პოლიციის თანამშრომლებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისგან მათი მხრიდან დაზარალებულის მკვლელობამდე მომხდარი გენდერული ძალადობის მრავალ ინციდენტზე არასათანადო რეაგირებასთან დაკავშირებით და არამედ, ასევე, არ ჩაუთვლია საჭიროდ, მომჩივნისთვის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭებინა. პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის ფაქტზე არც დისციპლინური წარმოება დაწყებულა.<sup>27</sup>

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხის გაფართოება და სისხლისსამართლებრივად ან დისციპლინური წესით დასჯა იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ ვერ უზრუნველყვეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე ფემიციდის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიება და მათ მიერ დაშვებულ საგამოძიებო შეცდომებს შედეგად მოყვა საქმეების გაუხსნელობა, მოძალადეების დაუსჯელობა,

<sup>26</sup> A and B v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 73975/16, 10 February 2022, para. 43.

<sup>27</sup> იგივე, პარა. 44.

მათი ქმედებების უფრო ნაკლებად მძიმე დანაშაულად კვალიფიკაცია ან უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება.

საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის საქმეებზე გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშში მიუთითებს ცალკეულ შემთხვევებზე, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების არასწორმა მოქმედებებმა, დაუდევრობამ და გულგრილობამ, ასევე უმოქმედობამ, მნიშვნელოვნად დააზიანა გამოძიების და მოძალადის ბრალდების/მსჯავრდების პროცესი. მაგალითად, 2014-2018 წლების ფემიციდის საქმეების მონიტორინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ გამოძიებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის დაზიანების სათანადო დოკუმენტირება და იმგვარი მტკიცებულების შეკრება, რაც სამედიცინო ექსპერტიზას შესაძლებლობას მისცემდა, დაედგინა, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები რა საგნით წარმოიშვა.<sup>28</sup> ასევე 2020 წლის ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებს თუ რა ნეგატიური გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგებზე იმ გარემოებამ, რომ ფემიციდის საქმესთან კავშირში მყოფი ყველა პირისთვის არ მომხდარა ნიმუშების აღება.<sup>29</sup>

ამასთან, როგორც წინა თავში აღინიშნა, საქმეებში თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ და ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს საქმის მსვლელობაზე ფემიციდის გამოძიებისას დაშვებულ შეცდომებს და სამართალდამცავი ორგანოების გულგრილობას. ერთი მხრივ, მსგავსმა ხარვეზებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ძალადობის დონის სწორად შეფასებასა და გამოძიების დაწყების პერსპექტივაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ისედაც საზოგადოების ზეწოლის ქვეშ მყოფმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა შეიძლება მომავალში თავი შეიკავონ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინებაზე.<sup>30</sup>

<sup>28</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2014-2018, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020, 13.

<sup>29</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2021, 21-24.

<sup>30</sup> Tkhelidze v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 33056/17, 8 July 2021, § 54. A and B v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 73975/16, 10 February 2022, para. 47.

საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლების დანაშაულებრივი ქმედებები, ასევე, გამოიკვეთა სტრატეგიული სამართალწარმოების ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეშიც, რომელშიც დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესებს „უფლებები საქართველო“ იცავდა. სამწუხაროდ, არასრულწლოვანი გოგოს შესაძლო მკვლელობის საქმეში საგამოძიებო ორგანოებმა დაუშვეს არაერთი შეცდომა, არ გამოიჩინეს სათანადო გულისხმიერება საქმის ეფექტიანად გამოსაძიებლად და გასახსნელად. კერძოდ, მათ დაუშვეს, რომ შემთხვევის ადგილი დაუცველი აღმოჩნდა და ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს მიეცათ შესაძლებლობა მოესუფთავებინათ დანაშაულის ჩადენის ადგილი, გაეჩეხათ ხე-ბუჩქები და მოეშალათ არსებული განლაგება. შედეგად შეუძლებელი აღმოჩნდა შემთხვევის ადგილის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მაშინ, როდესაც აღნიშნულ ადგილზე შემდგომ პერიოდშიც არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების განხორციელება გახდა საჭირო. გარდა ამისა, გამომძიებლებს შემთხვევის ადგილიდან არ ამოუღიათ ყველა ნივთმტკიცება, რომლებიც დაუდევრობის შედეგად დაიკარგა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლის გულგრილობის შედეგად, ერთ-ერთ პაკეტში მოთავსებული ბიოლოგიური ნიმუშები დაზიანდა და მასში არ აღმოჩნდა საკმარისი კონცენტრაციის დნმ კვალი.

სტრატეგიული კუთხით აღსანიშნავია, რომ „უფლებები საქართველოს“ ადვოკატების ინიციატივით, ამ გადაცდომებზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება. ხოლო განსაკუთრებით ნიშანდობლივია უკანასკნელი შემთხვევა, რომელთან დაკავშირებითაც სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტს ბრალი წარედგინა. პროკურატურამ 2023 წლის ოქტომბერში ექსპერტს თავდაპირველად ბრალი სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე წარუდგინა (სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ექსპერტი ჯარიმის დაკისრებით ან შინაპატიმრობითაც გაეთავისუფლებინა. თუმცა ოჯახისა და „უფლებები საქართველოს“ ადვოკატების არაერთი მიმართვის შემდეგ, 2024 წლის 9 იანვარს, პროკურატურამ ბრალი დააზუსტა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

370-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გადაკვალიფიცირა, რაც გულისხმობს მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას, რაც ექსპერტის მიერ გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობაში გამოიხატა. აღნიშნული ქმედება კი სასჯელის სახით მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აქვე ნიშანდობლივია, რომ ამ უკანასკნელი მუხლით ქმედების პვალიფიკაცია იშვიათ პრეცედენტულ შემთხვევას წარმოადგენს პრაქტიკაში, რადგან, როგორც წესი, პროკურატურა მსგავს შემთხვევებს სამსახურებრივი გულგრილობად აფასებს.

ამასთან, ექსპერტის სისხლის სამართლებრივი წესით პასუხისგებაში მიცემა საერთო ჯამში უნდა შეფასდეს სტრატეგიული სამართალწარმოების მნიშვნელოვან შედეგად, რადგან მას მომავალში მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქცია და ე.წ. „მსუსხავი“ ეფექტი ექნება მსგავსი შემთხვევების განმეორების თვიდან ასარიდებლად.

ცალკე აღსანიშნავია, რომ „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს სახალხო დამცველს, გაუზიარეს ა.ი.-ის საქმის მასალები, სთხოვეს გამოძიების მიმდინარეობის ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისი წინადადებების მომზადება. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, არასრულწლოვანის მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება ვერ აკმაყოფილებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. კერძოდ, არ იყო ჩატარებული მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ნაწილის ჩატარებაც, უკვე უპერსპექტივო ან მნიშვნელოვნად გართულებული იყო. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა, მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომ დაიწყოს შემოწმება საქმის მწარმოებელი გამომძიებლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულების ფაქტზე (გაჭიანურებული ან/და ჩაუტარებელი, ასევე, ხარვეზიანი საგამოძიებო მოქმედებების ფაქტებზე).

## 5. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულის ამსრულებელი სამართალდამცავები/კოლიციები

წინა თავებში აღინიშნა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებენ არამხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ ვალდებულებებზეც. სახელმწიფოებს განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვებათ და ვალდებულება ეკისრებათ, რომ რეაგირება მოახდინონ თავად სამართალდამცავი უწყებების და პოლიციის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე. გარდა სტამბოლის კონვენციის ზემოთ მიმოხილული რეგულირებისა, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის<sup>31</sup> მე-2 მუხლის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მართლმსაჯულების ინსტიტუტები ვალდებული არიან თავი შეიკავონ ქალის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა თუ მოქმედებისაგან, ისევე როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობისგან და ზედმიწევნით გამოიყენონ სისხლის სამართლის კანონის ყველა დებულება, რომელიც ასეთ ძალადობას სჯის. ხოლო, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ №35 ზოგად რეკომენდაციაში ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორების მოქმედებასა და უმოქმედობაზე. კერძოდ, 23-ე პარაგრაფის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან მათი ორგანოებისა და წარმომადგენლების გენდერულად ძალადობრივი ქმედებებისა თუ უმოქმედობის პრევენციაზე, მათ შორის ტრენინგებისა და სამართლებრივი ნორმების, ადმინისტრაციული რეგულაციებისა და ქცევის კოდექსების მიღების, განხორციელებისა და მონიტორინგის გზით.<sup>32</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეში ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ,

<sup>31</sup> შემდეგში ასევე CEDAW კონვენცია.

<sup>32</sup> Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 35 (2017) on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19 (1992), CEDAW/C/GC/35, 26 July 2017, para. 23.

რომელიც სწორედ პოლიციელის მიერ ჩადენილ ფემიციდს შეეხებოდა. ევროპული სასამართლოს მითითებით, განსაკუთრებით შემაშფოთებელია და გამოძიებისას განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, რადგან შესაძლებელია, სამართალდამრღვევ პოლიციელს ჰქონდეს დაუსჯელობის მოლოდინი და მსხვერპლის/მისი ოჯახის წევრების მიმართ იყენებდეს შესაბამის სამსახურებრივ სტატუსს და ატრიბუტიკას, მაგალითად, ემუქრებოდეს ცრუ ბრალდების წარდგენით ან/და სამსახურებრივი იარაღის გამოყენებით.<sup>33</sup> ასევე, შესაძლებელია, სამართალდამცავი უწყებები განზრახ თვალს ხუჭავდნენ და მდუმარებით ხვდებოდნენ საკუთარი კოლეგის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს.<sup>34</sup>

შესაბამისად, ლოგიკურად, ევროპული სასამართლო წევრი სახელმწიფოებისგან მოელის, რომ გამოძიებისას უფრო მკაცრები იყვნენ და, საჭიროების შემთხვევაში, დასაჯონ სამართალდამცავები სერიოზული დანაშაულის ჩადენისათვის, მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და ზოგადად ქალთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის. სასამართლო ასევე მოელის, რომ კოლეგის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას სამართალდამცავები მეტად მკაცრები იყვნენ ჩვეულებრივ დამნაშავეებთან შედარებით, რადგან საქმე ეხება არა მხოლოდ მოძალადეების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, არამედ სახელმწიფოს მოვალეობას, შეებრძოლოს დამნაშავეების მიერ საკუთარი თანამდებობის გამო განცდილ დაუსჯელობის გრძნობას და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი.<sup>35</sup>

საქართველოში მრავალწლიან პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი უწყებების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების საკითხი. საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა პოლიციასა და პენიტენციურ უწყებაში თანამშრომელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და

<sup>33</sup> A and B v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. 73975/16, 10 February 2022, paras. 44, 48.

<sup>34</sup> იგივე, პარა. 45.

<sup>35</sup> იგივე, პარა. 48.

დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევებზე არასათანადო სამართლებრივი რეაგირების პრობლემა და სამართალდამცავ უწყებებში გაბატონებული დაუსჯელობის სინდრომი. პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა გამოძიების არდაწყების ან დაწყების და შემდგომ „თაროზე შემოდების“ პოლიტიკა.<sup>36</sup> საკითხი მუდმივი დაკვირვების საგანს წარმოადგენდა, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე – ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის განმახორციელებელი საერთაშორისო აქტორების მხრიდან.<sup>37</sup> განსაკუთრებული პრობლემა იკვეთებოდა იმ კუთხით, რომ ერთი ქოლგის ქვეშ იყვნენ მოქცეული სამართალდამრღვევები და საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირები; არსებული ინსტიტუციური კავშირების გათვალისწინებით გამომძიებლებს ხშირად უწევდათ თავიანთი კოლეგების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება. სწორედ ამიტომ იკვეთებოდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება.<sup>38</sup>

ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე მრავალწლიან ადვოკატირებას 2019 წლის მაისში შედეგად მოჰყვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბაზაზე დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს დაფუძნება, რომელსაც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მიერ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულებზე უნდა განეხორციელებინა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება. მოგვიანებით

<sup>36</sup> ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავდა გამოძიების ცალმხრივად, მიკერძოებულად, ფორმალურად და არაეფექტურანად ჩატარებას და სხვა. იხილეთ: დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში, მიღწევები და არსებული გამოწვევები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 19. (ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/NOQyP> ნანახია: 23.05.2024).

<sup>37</sup> მაგალითად იხილეთ: Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Manfred Nowak, Civil and Political Rights, Including: The Questions of Torture and Detention, 23 September 2005, E/CN.4/2006/6/Add.3. Report by Thomas Hammarberg Commissioner for Human Rights of the Council of Europe Following his visit to Georgia from 18 to 20 April 2011, Administration of justice and protection of human rights in the justice system in Georgia, CommDH(2011)22, Strasbourg, 30 June 2011 (ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/kw5b4a> ნანახია: 23.05.2024); თომას ჰამარბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, 2013. ევროსაბჭოს ფარგლებში საკითხი ასევე არაერთხელ მოექცა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშებში და გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი. მაგალითისთვის იხილეთ: Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 42, 15 December 2015. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე იხილეთ: <https://shorturl.at/huNUX> (ნანახია: 05.12.2023).

<sup>38</sup> იგივე.

კი გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და ამავე მიზნებისთვის ცალკე ინსტიტუციად შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური. „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მოქმედი რედაქცია დამოუკიდებელი სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებად განსაზღვრავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს. მათ შორის ნიშანდობლივია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობა ვრცელდება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილ ოჯახში ძალადობის დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლით.<sup>39</sup>

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილება სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მიერ ოჯახში ძალადობის და მასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებაზე, რა თქმა უნდა, ეფექტიანობის და მიუკერძოებლობის მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ არასამთვრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებულ ერთ-ერთ სტრატეგიულ საქმეში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზი ძალადობის მსხვერპლი ქალების უსაფრთხოების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად უზრუნველყოფის კუთხით. კერძოდ, მართალია, სისხლისსამართლებრივი გამოძიების ქვემდებარეობა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციაში გადავიდა, მაგრამ ადმინისტრაციულსამართლებრივი დაცვის მექანიზმები სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, კვლავ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დანაყოფების უფლებამოსილებას მიეკუთვნება. შესაბამისად, შემაკავებელი ორდერების გამოცემას, ასევე შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესრულების კონტროლს სამართალდამცავების მიერ ჩადენილ ძალადობაზე უზრუნველყოფს არა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, არამედ – პოლიცია.<sup>40</sup> აღნიშნულიდან

<sup>39</sup> „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>40</sup> „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> პუნქტები, ასევე მე-16 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც კვლავ ვლინდება ყველა ის ზემოთ აღნიშნული რისკი, რომელიც უკავშირდება პოლიციის თანამშრომელთა მიკერძოებას და მხარდაჭერას სამართალდამრღვევი კოლეგების მიმართ. გარდა ამისა, ადმინისტრაციულსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების სხვადასხვა უწყებების ქოლგის ქვეშ მოქცევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირების შესაძლებლობასაც.

სტრატეგიული სამართალწარმოების კუთხით, ეს საკითხი შესაძლებელია გახდეს სადაც როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. თუმცა ამისთვის აუცილებელია შესაბამისი პირები აღმოჩნდნენ უფლების დარღვევის ობიექტები. ორგანიზაციის მიერ წარმოებულ საქმეზე, მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, თუმცა მისი გამოცემა მოხდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოძიების დაწყებიდან მეორე დღეს და ამ ერთი დღის განმავლობაში მოძალადე პოლიციელი ფსიქოლოგიურად ძალადობდა მსხვერპლზე.

## 6. ძალადობის მსხვერპლისთვის დაგარალებულის სტატუსის მინიჭება

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს ადამიანის ღირსების, როგორც ამსოლუტური ღირებულების დაცვის ვალდებულებას. დანაშაულის მსხვერპლებთან მიმართებაში, ადამიანის ღირსების პატივისცემა, პირველ რიგში, გულისხმობს მისი მორალური და სამართლებრივი სტატუსის აღიარებას. ამის დასტურია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6 მუხლიც, რომელიც განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება ცნონ და აღიარონ მისი სამართალსუბიექტობა. თავის მხრივ კი, დაზარალებულის სამართალსუბიექტობის კანონით აღიარება წარმოადგენს მართლმსაჯულების პროცესში ჩართულობის და სხვა საპროცესო უფლებებით უზრუნველყოფის წინაპირობას.<sup>41</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაზარალებულისთვის მართლმსაჯულების პროცესზე წვდომა გარანტირებულია მე-13 მუხლით, რომელიც მოიცავს სამართლებრივი დაცვის ქმედით და ეფექტიან საშუალებებზე ხელმისაწვდომობას ეროვნულ დონეზე. ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში გაიმეორა, რომ მსხვერპლს უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე და საგამოძიებო პროცესზე ხელმისაწვდომობის უფლება,<sup>42</sup> რაც თავის თავში მოიცავს მართლმსაჯულების პროცესში შესაბამისი როლის თამაშის და აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარმოდგენილი იყოს და საკუთარი პოზიცია გაახმიანოს პროცესის ნებისმიერ ეტაპსა თუ სტადიაზე.

დაზარალებულის სამართალსუბიექტობას აღიარებს საქართველოს კონსტიტუციაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დაზარალებული არის პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ფიზიკური, მორალური თუ ქონებრივი ზიანი. ის საკუთარ თავზე განიცდის ამა თუ იმ დანაშაულის მავნე/უარყოფით შედეგებს - ზიანი ადგება მის ჯანმრთელობას, საკუთრებას,

<sup>41</sup> Wemmers, J.A.: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, Temida, June 2012, 80.

<sup>42</sup> Husayn (Abu Zubaydah) v. Poland, European Court of Human Rights, Applications no. 7511/13, 24 July 2014, § 541; Aksoy v. Turkey, European Court of Human Rights, Applications no. 21987/93, 18 December 1996, § 98.

ღირსებას ან შესაძლოა, მისი ოჯახის წევრი გახდა მკვლელობის მსხვერპლი და სხვა. მაშასადამე, დაზარალებული მთელი სიმწვავით განიცდის კონკრეტული დანაშაულის შედეგად ფიზიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ სტრესს, განსაცდელს, ტკივილს ან/და მატერიალურ დანაკარგს. შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ დარღვეული უფლებების (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსების, საკუთრების და სხვა უფლებების) აღდგენის, დაცვის, ზიანის ანაზღაურების ინტერესი აქცევს დაზარალებულს სამართლიანი სასამართლოს უფლების სუბიექტად.<sup>43</sup>

დანაშაულის მსხვერპლის ღირსების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულად პირის აღიარება არ უკავშირდებოდეს მისთვის რაიმე ფორმალური სტატუსის მინიჭებას ან სასამართლოს მიერ ბრალდებულის საბოლოოდ დამნაშავედ ცნობას. აუცილებელია, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების საწყისივე ეტაპიდან ჰქონდეს შესაძლებლობა ჩაერთოს პროცესში და ისარგებლოს შესაბამისი უფლებებით.<sup>44</sup> დანაშაულისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ 1985 წლის გაეროს დეკლარაციაც ადგენს, რომ პირი დაზარალებულად შეიძლება განიხილებოდეს იმის მიუხედავად, დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი არის თუ არა იდენტიფიცირებული, სისხლისსამართლებრივად დევნილი, დაკავებული, ბრალდებული ან მსჯავრდებული.<sup>45</sup>

<sup>43</sup> საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/8/594, 2016 წლის 30 ექტემბერი, II, 8.

<sup>44</sup> დეტალურად იხ.: თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნამრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 86. ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.05.2024.

<sup>45</sup> Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Adopted by General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985, § 2.

ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/sites/default/files/victims.pdf> ნანახია: 23.05.2024.

იგივე შინაარსს მოიაზრებს ევროკავშირის დირექტივაც. იხ.: Victims' Directive, Recital 19; European Commission: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, 10.

აქვე, ნიშანდობლივია, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ არაერთ საქმეში ერთმანეთისგან არ განასხვავა პირები, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ დაზარალებულის სტატუსი და პირები, რომლებიც აღნიშნული სტატუსით არ სარგებლობდნენ და განმარტა, რომ სავარაუდო მსხვერპლებისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობამ განმცხადებლებს წაართვა შესაძლებლობა, გამოეყენებინათ იერარქიული და სამართლებრივი ზომები, რათა გაესაჩივრებინათ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე გამოძიების გაჭიანურება და გამოძიების პროგრესის არარსებობა და კვალიფიკაციის შეცვლა.<sup>46</sup>

სამწუხაროდ, საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მიდგომისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა პირის დაზარალებულად ცნობას უკავშირებს მისთვის გარკვეული სტატუსის მინიჭებას, რაც სრულად პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. გაურკვეველი მიზეზებით საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული წესით და მიღებული მემკვიდრეობის შედეგად, დღემდე პირი დაზარალებულის სტატუსს იძენს მხოლოდ პროკურორის დადგენილებით მისი დაზარალებულად ცნობის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი არ გვხვდება არც საერთო და არც კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში. არამედ სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის დაშვება ხდება მხოლოდ დაზარალებულის ცნების მიხედვით. როგორც წესი, მსხვერპლი დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთების შემდეგ ითვლება დაზარალებულად და იგი დამატებით აღიარებას, სტატუსის ოფიციალურად მინიჭებას არ საჭიროებს.<sup>47</sup>

<sup>46</sup> Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. [71156/01](#), 3 May 2007, §§ 122-123. Begheluri and Others v. Georgia, European Court of Human Rights, Application no. [28490/02](#), 7 October 2014, § 140.

<sup>47</sup> დეტალურად იხ.: თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 89. ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.05.2024.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. ამრიგად, პროკურორი ამ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, როდესაც საკუთარი ინიციატივით უნდა მიიღოს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება, საერთოდ არ არის ვადებში შეზღუდული. პროკურორი ვადებში მხოლოდ მაშინ იზღუდება, როდესაც მსხვერპლი თავად მიმართავს ამის შესახებ და პროკურორი ვალდებული ხდება, მიიღოს გადაწყვეტილება 48 საათში პირის დაზარალებულად ცნობის ან დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ამის შესახებ სავარაუდო დაზარალებულს უნდა განუმარტონ მისი უფლებები, რაც სტატუსის მინიჭებამდე არ ხდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტულ წინაპირობას, რაზე დაყრდნობითაც პროკურორს აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ. 56-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული „სათანადო საფუძველი“, იმთავითვე ბუნდოვანი და განუჭრებულია, რაც უფლებამოსილ პირს განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებს. ამის გათვალისწინებით, ამგვარი ჩანაწერის არსებობა თავისთავად მიუღებელია. თუმცა, უკეთეს შემთხვევაში, „სათანადო საფუძვლის“ შინაარსი უნდა განიმარტოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის შინაარსობრივი კომპონენტების შეფასებით, რომლის თანახმადაც, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან

იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ბუნდოვანების და განუჭვრეტელობის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ სამართალწარმოების პრაქტიკა პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით სრულიად არაერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია. ეს შეეხება როგორც დაზარალებულად ცნობის საფუძველს, ასევე დროს. საფუძვლებთან მიმართებით, ნიშანდობლივია, რომ ცალკეულ შემთხვევებში ის უკავშირდება ზიანის მიყენების ფაქტს, ხოლო სხვა შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის ფაქტს. დროის კუთხით, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების საწყის ეტაპზევე, ხოლო სხვა შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ. ამ ორი შემთხვევიდან, რა თქმა უნდა, პირველი უფრო მართებულ მიდგომას წარმოადგენს, რადგან, ხშირად, ბრალდებულად ცნობა გამოძიების დაწყების ეტაპიდან დიდი დროით არის დაშორებული და დანაშაულის მსხვერპლი უფლებო მდგომარეობაში ძალიან დიდი ხნით რჩება. თუმცა, ხშირად გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის გამოკვეთა და მისთვის სტატუსის მინიჭება საერთოდ არ ხდება.<sup>48</sup>

ამგვარი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებითად აისახება დანაშაულის მსხვერპლთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ეროვნული ნორმატიული სტანდარტის შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლი მართლმსაჯულების პროცესში ყველა უფლებით აღჭურვილი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც პროკურორი შესაბამის სტატუსს მიანიჭებს და მის უფლებებს განუმარტავს. მანამდე კი მას არანაირი უფლება არ გააჩნია, მათ შორის, არ შეუძლია გაეცნოს საქმის მიმდინარეობის დეტალებს, გამოითხოვოს მასალები და სხვა. მსხვერპლი სრულად გარიყულია გამოძიების მიმდინარეობისგან, ვიდრე პროკურორი მიიჩნევს, რომ „სათანადო საფუძველი“ არ

<sup>48</sup> მაგალითისთვის იხ.: თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 96. ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.05.2024.

არსებობს. უფლებებით სარგებლობისთვის კი აუცილებელია, დაზარალებული ინფორმირებული იყოს ამის შესახებ. ამასთან, ინფორმირებულობა დაზარალებულს უღვივებს აღიარების შეგრძნებას და ხელს უწყობს მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვას. იმ პირობებში კი, როდესაც ზოგიერთ დაზარალებულს გამოძიების საწყის ეტაპზე განემარტება უფლებები, ზოგს დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი პირის ბრალდებულად ცნობის მომენტიდან, ხოლო ზოგს კი საერთოდ არ განემარტება, არსებითად ზიანდება მისი ინტერესები და რისკის ქვეშ დგება სამართალსუბიექტობა. მაგალითად, შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს დაზარალებულისთვის გამოძიების დაწყების ეტაპიდან დაცვის სპეციალური საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა.<sup>49</sup> ასევე, დაზარალებულისთვის ან მისი უფლებამონაცვლისთვის არსებითად მნიშვნელოვანია საწყისი ეტაპიდანვე ხელი მიუწვდებოდეს საქმის მასალებზე და ინფორმირებული იყოს გამოძიების მიმდინარეობაზე. მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაც კი დაადგინა იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის არაპირდაპირ მსხვერპლს დიდი ხნის განმავლობაში არ აწვდიდნენ მის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და ის ცალკეულ საკითხებზე ინფორმაციულ ვაკუუმში იყო.<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ყველა შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახის წევრი ჩართული უნდა იყოს გამოძიების მიმდინარეობაში იმ დოზით, რაც საჭიროა მისი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად. გარდაცვალების ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა დარღვევა, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის წევრს არ მიეცა შესაბამისი დონით ჩართულობის შესაძლებლობა, კერძოდ, არ ჰქონდა წვდომა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე და არ იყო ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობის შეახებ,

<sup>49</sup> თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, წიგნში: თუმანიშვილი გ., ჯიშვარიანი ბ., შრამი ე., ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, 324. ხელმისაწვდომია: <https://icl.ug.edu.ge/publications/pub8.pdf> ნანახია: 23.05.2024.

<sup>50</sup> Kurt v. Turkey, European Court of Human Rights, Application no. 15/1997/799/1002, 25 May 1998, § 133.

არ მიეცა შესაძლებლობა სათანადო პირობებში გამოეკვლია სისხლის სამართლის მასალები.<sup>51</sup>

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაზარალებულად დროულად ცნობა და მათთვის შესაბამისი უფლებებით გამოძიების დაწყებიდანვე აღჭურვა არსებული პრაქტიკის გამოწვევას წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებული საქმეების უმეტესობაში იკვეთება ეს პრობლემა და, როგორც წესი, დაზარალებულის სტატუსის მოსაპოვებლად ადვოკატების დამატებითი ჩარევა და მხარდაჭერა არის საჭირო. მაგალითისთვის შეიძლება ე.ა.-ის სტრატეგიული საქმის განხილვა, რომელშიც ორგანიზაცია 2023 წლის თებერვლიდან ჩაერთო. ნიშანდობლივია, რომ დანაშაულის მსხვერპლმა სამართალდამცავ ორგანოებს ორგანიზაციის საქმეში ჩართვამდე ორ წლით ადრე მიმართა, რაც გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ ე.ა.-მ 2020 წელს სოციალური ქსელის მეშვეობით გაიცნო ბიჭი, რომელთანაც ჩამოუყალიბდა ვირტუალური ურთიერთობა, რაც მოიცავდა გარკვეული ინტიმური ფოტოების გაზიარებასაც. ამ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ე.ა.-ის პერიოდულად, სხვადასხვა სახელით შექმნილი სოციალური ქსელის გვერდებიდან წერდნენ და ემუქრებოდნენ ამ ფოტოების გავრცელებით და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებით. ერთ-ერთი შემთხვევისას, ფოტოსურათების გასაჯაროების თავიდან ასაცილებლად, მოთხოვნის შესაბამისად, მან სხეულზე თვითდაზიანებაც კი მიიყენა. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა ის მოცემულობა, რომ ე.ა. როგორც დანაშაულის ჩადენის, ასევე გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში იყო არასრულწლოვანი. სამწუხაროდ, სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვიდან და გამოძიების დაწყებიდან ორ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგაც დამნაშავის იდენტიფიცირებისთვის და პასუხისგებაში მისაცემად საგამოძიებო ორგანოებს არაფერი ჰქონდათ გაკეთებული. მეტიც, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების

<sup>51</sup> Oğur v. Turkey [GC], European Court of Human Rights, Application no. 21594/93, 20 May 1999, § 92; ასევე, Betayev and Betayeva v. Russia, European Court of Human Rights, Application no. 37315/03, 29 May 2008, § 88, ასევე, Mezhiyeva v. Russia, European Court of Human Rights, Application no. 44297/06, 16 April 2015, § 75.

მსხვერპლს დაზარალებულის სტატუსიც კი არ ჰქონდა მინიჭებული. შესაბამისად, ე.ა.-სთვის არც უფლებები განუმარტავთ და მას არც გამოძიების მიმდინარეობაზე თვალის მიღევნების შესაძლებლობა მისცემია. მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ საქმეში ჩართვის შემდეგ, ადვოკატებმა განცხადებით მიმართეს ზედამხედველ პროკურორს, რის შედეგადაც ე.ა.-ს 2023 წლის თებერვლის ბოლოს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი და გამოძიება აქტიურ რეჟიმში გაგრძელდა.

## **7. დაზარალებულის/მისი ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის და გამოთხოვის უფლება**

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის უფლებების დაცვას და მისი ინტერესების გათვალისწინებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესში წარმმართველი სახელმწიფოსა და სავარაუდო დამნაშავეს შორის ურთიერთობაა. დანაშაულმა მსხვერპლში შეიძლება გამოიწვიოს დაუცველობის, საზოგადოებისაგან იზოლაციის, შიშისა და აგრესიის შეგრძნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ დაზარალებულს არ გაუჩნდეს შეგრძნება, რომ მისი პრობლემა დარჩება რეაგირების გარეშე, ესა თუ ის უფლება/ინტერესი დაირღვევა. ამასთან, სახელმწიფომ დაზარალებულს თავიდან უნდა ააცილოს შიში, რომ სამომავლოდაც ის შეიძლება დადგეს იმავე/ახალი პრობლემის პირისპირ. ყველა ადამიანს სჭირდება განცდა, იმედი და გარანტია, რომ სახელმწიფო არის ეფექტური და ქმედითი მისი უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად.<sup>52</sup> ადამიანს არ უნდა დარჩეს დაუცველობის განცდა ან შეგრძნება, რომ სახელმწიფო არ არის მონდომებული, მოტივირებული და ეფექტიანი ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უმთავრესი ფუნქციის შესრულებისას.<sup>53</sup>

ამ პროცესში, დაზარალებულის ინტერესების რეალიზებისა და უფლებების დაცვისთვის, გამოძიების მიმდინარეობის საწყის ეტაპზევე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მსხვერპლის მიერ ინფორმაციის დროულად მიღებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ზოგადად, დაზარალებულისათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისა და საქმის მასალებთან წვდომის უფლება ემსახურება მნიშვნელოვან ინტერესებს. კერძოდ, შესაბამისი ინფორმაცია დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას, იქონიოს წარმოდგენა საქმის მსვლელობაზე, უფლებამოსილების ფარგლებში ჩაერთოს მასში, მოახდინოს

<sup>52</sup> საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/8/594, 2016 წლის 30 სექტემბერი, II, 9.

<sup>53</sup> იგივე, 10.

ეფუქტიანი კონტროლი გამოძიების ეტაპზე პროცესურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაზე. ასევე, ჩამოიყალიბოს საკუთარი პოზიციები დამდგარ ზიანთან, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, იზრუნოს ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან თავის დაცვაზე, ან მიიღოს სხვა შესაბამისი გადაწყვეტილებები.<sup>54</sup> რაც მეტად ინფორმირებულები არიან დაზარალებულები საქმეზე, მით უფრო უჩნდებათ ნდობა სისტემის მიმართ, მეტად თანამშრომლობენ საგამოძიებო ორგანოებთან და ჩართულები არიან პროცესში.<sup>55</sup> დაზარალებულების კმაყოფილების მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია და ისინი თავს უფრო აღიარებულად გრძნობენ, როდესაც საგამოძიებო ორგანო პატივისცემას ავლენს და ზრუნავს ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე.<sup>56</sup> ხოლო, ინფორმაციის მიუწოდებლობა დაზარალებულებში იწვევს გაურკვევლობას, უპატივცემულობას და ცალკეულ შემთხვევაში ტანჯვასაც, რომელიც მეორეული ვიქტიმიზაციის მანიშნებელია.

პოლიციაში განცხადების შეტანის შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებული მუდმივად ინფორმირებული იყოს მის საქმესთან დაკავშირებით განხორციელებული მოქმედებების შესახებ. რეგულარული ინფორმაციული განახლების გარეშე, მას შეიძლება შთაბეჭდილება შეექმნას, რომ მისი განაცხადი სერიოზულად არ აღიქვეს და საქმის გამოსაძიებლად არაფერი ხდება. მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულმა დაინახოს პროგრესი საქმეში, რათა იგრძნოს პროცესში თანამონაწილეობის მნიშვნელობა და მიუხედავად განაცხადის შეტანის და დაკითხვის ტრავმული გამოცდილებისა, აქტიურად ჩაერთოს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მაშინაც კი, როდესაც გამოძიების პროცესში წინსვლა არ არის, ბევრი

<sup>54</sup> სამსონ თამარიანი, მაღხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/5/1355,1389, 2023 წლის 27 ივლისი, II, 20.

<sup>55</sup> Antonsdóttir H.F.: ‘A Witness in My own Case’: Victim-survivors’ Views on the Criminal Justice Process in Iceland, Fem Leg Stud 26, 2018, 326.

<sup>56</sup> Van Dijk J.J.M., Groenhuijsen M.S.: Benchmarking Victim Policies in the Framework of European Union Law, published in: Walklate S. (ed.): Handbook of Victims and Victimology, New York, 2007, 372.

დაზარალებულისთვის იმის ცოდნაც კი მნიშვნელოვანია, რომ პროცესი მიმდინარეა.<sup>57</sup>

ამასთან, „გარდა იმისა, რომ გამოძიების მიმდინარეობის პროცესზე ინფორმაციის მეშვეობით დაზარალებულმა შესაძლოა თავი აარიდოს ხელახალ ვიქტიმიზაციას, აღნიშნული ინფორმაცია თავისთავად წარმოადგენს მისი მხრიდან სახელმწიფო ორგანოების კონტროლის მნიშვნელოვან ბერკეტს. გამოძიების მიმდინარეობის მსვლელობაზე ინფორმაციის ფლობა დაზარალებულს, ერთი მხრივ, აძლევს შესაძლებლობას ზედამხედველობა გაუწიოს მიმდინარე პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის სახელმწიფო ორგანოთა ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას, რომლის პირობებშიც თავისთავად მცირდება საქმისადმი გულგრილობის რისკები.“<sup>58</sup>

დაზარალებულის ინფორმირების უფლება აისახა სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტში. დანაშაულისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ 1985 წლის გაეროს დეკლარაციის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღინიშნა, რომ დაზარალებულთა საჭიროებებზე რეაგირება მოიცავს დანაშაულის მსხვერპლთა ინფორმირებას მათი როლისა და სტატუსის ფარგლების, პროცესის დროითი განაწილების და განვითარების/პროგრესის, ასევე, საქმის განხილვის შესახებ. ინფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე შეეხება მძიმე დანაშაულს ან დაზარალებული თავად ითხოვს ინფორმაციას.<sup>59</sup> დაზარალებულის უფლება, იყოს ინფორმირებული როგორც პოლიციისგან და პროკურატურისგან, ასევე სასამართლოსგან, აისახა სისხლის სამართლისა და პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის

<sup>57</sup> Victim Support Europe, EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, 24-25. ხელმისაწვდომია: [https://victimssupporteurope.eu/activeapp/wp-content/files\\_mf/1385974688NewVersionVSEHandbookforImplementation.pdf](https://victimssupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1385974688NewVersionVSEHandbookforImplementation.pdf) ნანახია: 23.05.2024.

<sup>58</sup> სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/5/1355,1389, 2023 წლის 27 ივლისი, II, 38.

<sup>59</sup> Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Adopted by General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985, § 6 a.

ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/sites/default/files/victims.pdf> ნანახია: 23.05.2024.

რეკომენდაციაში<sup>60</sup> და მოგვიანებით ევროკავშირის ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებში.<sup>61</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ დანაშაულის გამოძიება და გახსნა, უპირველესად, სახელმწიფოს ინტერესის სფეროს წარმოადგენს და სწორედ მისი ვალდებულებაა, რომ უზრუნველყოს დაზარალებულის მართლმსაჯულების სისტემასთან უმტკივნეულო და მსუბუქი შემხებლობა. შესაბამისად, მსხვერპლს არ უნდა დასჭირდეს ძალისხმევის დახარჯვა ინფორმაციის მოსათხოვად და მისაღებად. დაზარალებულებმა ხშირად არ იციან ან ვერ იაზრებენ მათი საპროცესო უფლებების შინაარსს. ამიტომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, პროაქტიულად მიაწოდოს ინფორმაცია დაზარალებულს ან, სულ მცირე, შეატყობინოს მას, რა ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი და ჰქონით სურს, თუ არა ამ ინფორმაციის გაცნობა.<sup>62</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები ცალკე არ გამოყოფენ დაზარალებულის მიერ საქმის მასალების გაცნობისა და გამოთხოვის უფლებას. თუმცა, აღნიშნული არსობრივად წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლის ინფორმირების უფლების შემადგენელ კომპონენტს.<sup>63</sup> საქმის მასალების გაცნობის უფლება ეროვნული კანონმდებლობის დონეზე განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ, 57-ე მუხლის პირველი ნაწილის

---

<sup>60</sup> Council of Europe, Recommendation No. R (85) 11 of the Committee of Ministers to Member States on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure (Adopted by the Committee of Ministers on 28 June 1985 at the 387th meeting of the Ministers' Deputies).

<sup>61</sup> ob.: council Framework Decision of 15 March 2001 on the Standing of Victims in Criminal Proceedings (2001/220/JHA), article 4.

ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001F0220> ნანახია: 23.05.2024.

სსევე: Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, article 4, 6.

ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32012L0029> ნანახია: 23.05.2024.

<sup>62</sup> Victim Support Europe, EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, 9. ხელმისაწვდომია: [https://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files\\_mf/1385974688NewVersionVSEHandbookforImplementation.pdf](https://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1385974688NewVersionVSEHandbookforImplementation.pdf) ნანახია: 23.05.2024.

<sup>63</sup> თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო თაბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 128. ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.02.2024.

„თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ხოლო „კ“ ქვეპუნქტი აზუსტებს, რომ დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობის უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა. ამ ორი პუნქტის ურთიერთმიმართება იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა დაზარალებული ყოველ შემთხვევაში უნდა იღებდეს საქმის მასალებს. ამდენად, ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა მხოლოდ დროებით ხასიათს უნდა ატარებდეს.<sup>64</sup>

პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ წლების განმავლობაში საქმის მასალების გაცნობის უფლება სიტყვა-სიტყვით განიმარტებოდა და დაზარალებულებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მხოლოდ ადგილზე, ხშირად ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, გასცნობოდნენ საქმეს. სხვა ყველაფერი საქმის პროკურორის კეთილგანწყობასა და დაყვედრებულ გულისხმიერებაზე იყო დამოკიდებული.<sup>65</sup> ამ პრაქტიკის საპირისპიროდ, ჯერ კიდევ 2013 წელს მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დაზარალებულის უფლებას გასცნობოდა სისხლის

<sup>64</sup> ამგვარი პრაქტიკული განმარტება იხილეთ: სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/5/1355,1389, 2023 წლის 27 ივლისი, II, 21. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის ამ არგუმენტის საპასუხოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულის ინტერესი, „ინფორმაციის ფლობის საჭიროება, არსებობს გამოძიების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე. მეტიც, რამდენადაც დაზარალებულის განცდები, ემოციები, შიში ხელახალი დანაშაულისა და დაუცველობის მიმართ მეტია დაზარალებულად ცნობის საწყის ეტაპზე, შესაძლოა, იმავდროულად, მომეტებული იყოს ინფორმაციის დროულად მიღების სურვილიც და აუცილებლობაც. აღნიშნულთან ერთად, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია, საქმეზე გამოძიება შეწყდეს ისე, რომ არ მოხდეს წინასასამართლო სხდომის გამართვა ან გამოძიება გაგრძელდეს ხანგრძლივი ვადით თვეების, წლების განმავლობაში და დაზარალებულს საერთოდ არ მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში, კანონის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, დაზარალებულს საქმის მასალებზე წვდომა წინასასამართლო სხდომამდე 10 დღით ადრე ეძღვევა, არ ქმნის იმგვარ პროცესუალურ გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესს - დროულად გააჩნდეს წვდომა საქმის მასალებზე და ადეკვატურად დაიცვას საკუთარი ინტერესები.“ (შემდეგი პარაგრაფი, 22).

<sup>65</sup> ერთ-ერთ ადვოკატთან ინტერვიუ იხ.: თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 130. ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.05.2024.

სამართლის საქმის მასალებს და მიეღო მათი ასლები სრულად ან ნაწილობრივ. თუმცა, სამწუხაროდ, საბოლოოდ, კოდექსში ეს ცვლილება არ განხორციელდა.<sup>66</sup>

საკითხი, მოიცავს თუ არა საქმის მასალების გაცნობის უფლება ასლების გამოთხოვის შესაძლებლობას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. 2020 წლის 18 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტან მიმართებით არაკონსტიტუციურია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე: „ჩვეულებრივ, სწორედ დაზარალებული წარმოადგენს გამოძიების სათანადოდ წარმართვით ყველაზე მეტად დაინტერესებულ სუბიექტს, ვინაიდან დანაშაული მისი ინდივიდუალური უფლებების ხელყოფის, მნიშვნელოვანი ტრავმისა თუ ტრაგედიის მიზეზია. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც დანაშაულზე სათანადო რეაგირება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთია, დაზარალებული და სახელმწიფო მოკავშირეები არიან და საერთო მიზანი აქვთ, გამოვლინდეს პასუხისმგებელი პირი, განხორციელდეს მართლმსაჯულება, დაისაჯოს დამნაშავე, აღდგეს სამართლიანობა. თუმცა, ინტერესთა თანხვედრა არათუ არ გამორიცხავს დაზარალებულის მხრიდან საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის კონტროლის საჭიროებას, არამედ ცალკეულ შემთხვევაში სასარგებლოსა და აუცილებელსაც კი ხდის მას. იმავდროულად, კონტროლის აუცილებლობას ზრდის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა - გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან შეცდომის დაშვების ანდა თვითნებობის რისკი. უდავოა, რომ გამოძიების მასალების გაცნობისას, დაზარალებული, გარდა იმისა, რომ თავის

<sup>66</sup> კანონის პროექტი იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0> ნანახია: 23.05.2024.

ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებს, იმავდროულად, ახორციელებს გამოძიებაზე კონტროლს და გეგმავს სამართალწარმოების პროცესში საკუთარი ინტერესების დაცვის სტრატეგიასა და ტაქტიკას.“<sup>67</sup>

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული ადამიანის უფლების - გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას - მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის მარტოოდენ წაკითხვა ან შესაბამისი დოკუმენტების ვიზუალური დათვალიერება. მისი დანიშნულება იმგვარი მექანიზმის შექმნაა, რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს, სათანადოდ, გულდასმით შეისწავლოს ინფორმაცია, გამოიკვლიოს მისი სისწორე, გააანალიზოს, გააკეთოს დასკვნები, გაავრცელოს ან/და გამოიყენოს იგი სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით. ამდენად, ბუნებრივია, რომ ცაიტნოტურ ვითარებაში, მით უმეტეს, სხვისი თანდასწრებით წერილობითი ინფორმაციის წაკითხვა, დოკუმენტების ზეპირი გაცნობა თუ ვიზუალური დათვალიერება, თუნდაც ამონაწერების გაკეთების შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევაში არათუ ვერ უზრუნველყოფს უფლებით სრულყოფილად სარგებლობას, არამედ, პრაქტიკულად, შინაარსს უკარგავს მას და სრულიად არარეალიზებადს ხდის. ამგვარად, ინფორმაციის სათანადო ფორმით გაცნობა წარმოადგენს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალური განხორციელების *sine qua non* პირობას.“<sup>68</sup> „სისხლის სამართლის მასალების მარტოოდენ ადგილზე გაცნობის და თუნდაც წერილობითი ჩანაწერების ხელით გაკეთების შესაძლებლობა დაინტერესებული პირისათვის (დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლისათვის) ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის ეფექტიანი, სრულფასოვანი გაცნობის შესაძლებლობას, აკნინებს ინფორმაციის

<sup>67</sup> კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/3/1312, 2020 წლის 18 დეკემბერი, II, 42.

<sup>68</sup> იგივე, 10.

ხელმისაწვდომობის უფლების რეალურ შინაარსს, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა, სრულიად აზრს მოკლებულს ხდიდეს მას.“<sup>69</sup>

ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო დაზარალებულის მიერ საქმის მასალების ასლის ფორმით მიღების შესაძლებლობას არ განიხილავს აბსოლუტურ უფლებად და ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევაში, უშვებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლად მიაჩნია, კანონმდებლობით ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელთა ფარგლებშიც, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს შეფასების საგანი გახდება, თუ რამდენად არსებობს მასალების ასლის სახით გავრცელების შედეგად, გამოძიების ინტერესების დაზიანების რისკი. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გაცემის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება გამოძიების ინტერესების დაცვის რეალურ საჭიროებაზე და არა ჰიპოზეტურ რისკებსა თუ ბლანკეტურ აკრძალვებზე.“<sup>70</sup> ამასთან, სასამართლო ცხადად მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიწოდებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებს ინფორმაციის გაცემის პრეზუმაცია და უარის თქმის შესაძლებლობა მხოლოდ გამონაკლისი იშვიათი შემთხვევაა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ დაზარალებულს, როგორც წესი, უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალები. ხოლო, გამონაკლის შემთხვევაში, პროკურორს დადგენილებით შეუძლია უარი თქვას დაზარალებულისთვის საქმის მასალების მიწოდებაზე, როდესაც ეს ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობა გამოძიების ინტერესებთან უნდა იყოს ინდივიდუალურად დასაბუთებული და არა – ჰიპოთეზურად შეფასებული და შაბლონურად შემუშავებული შინაარსით განსაზღვრული, როგორც პროკურორის თვითნებობის შედეგი. გამოძიების

<sup>69</sup> იგივე, 21.

<sup>70</sup> იგივე, 48.

ინტერესებთან საწინააღმდეგოდ, მაგალითად, შეიძლება შეფასდეს ბრალდებულისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, მოწმეებზე ძალადობის ან სხვაგვარად უკანონოდ ზემოქმედების რისკი და სხვა. რაც მთავარია, აღნიშნული უნდა იყოს ინდივიდუალურად პირისთვის საკუთარ თავზე ინფორმაციის წვდომის უფლების შეზღუდვის აუცილებელი და პროპორციული საშუალება. აქვე ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პროცესურორი უარს ეტყვის დაზარალებულს ინფორმაციის მიწოდებაზე და მასალების გაცნობაზე, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, ხოლო მოგვიანებით აღნიშნული უარის თქმის საფუძველი აღმოიფხვრება, იგი ვალდებულია დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებული სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეებიდან ვლინდება, რომ პრაქტიკა კვლავ არაერთგვაროვანია და საქმის მასალების ასლების ხელმისაწვდომობა ხშირად წარმოადგენს პრობლემას დაზარალებულისა და მისი ადვოკატებისთვის. სამართალდამცავი ორგანოები ხშირად უპრობლემოდ და დაუბრკოლებლად გასცემენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, განსაკუთრებით თბილისში, თუმცა, სხვა რეგიონებში ხშირად უარს ამბობენ სრულიად დაუსაბუთებელი და ფორმალური მიდგომების საფუძველზე. ორგანიზაციის სტრატეგიულ მიდგომით, ამ შემთხვევაში, ადვოკატები დასაწყისშივე შესაბამის უწყებას მიმართავენ უკვე დასაბუთებული განცხადებით, რომელიც ეფუძნება ოფიციალურ საკანონმდებლო რეგულირებას, ასევე – საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებს.

ამ კუთხით საინტერესოა რამდენიმე მაგალითის მიმოხილვა. მ.ხ.-ის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეში „უფლებები საქართველოს“ ადვოკატები ადრეული ეტაპიდანვე ჩაერთნენ და დასაწყისშივე მოითხოვეს საქმის მასალების ასლების გადმოცემა, თავიანთი მოვალეობების ეფექტიანად განსახორციელებლად. თუმცა, საქმის პროცესურორმა უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ის დადგენილებაში დაეფუძნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ

ნაწილს, რომლის თანახმადაც, „გამოძიების წარმართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს ტვირთი, მათ შორის, გამოძიების მასალების, მისი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის სათანადო დაცვასაც მოიაზრებს. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სწორედ საგამოძიებო ორგანოების დისკრეციას განეკუთვნება ინფორმაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტა, მისი გასაჯაროების თანმდევი რისკების შეფასება.“<sup>71</sup> პროკურორმა მასალების ასლების გადაცემაზე უარის თქმის დასაბუთებაში, ასევე, მიუთითა, რომ მასალების გასაჯაროებას შეიძლება შედეგად საგამოძიებო პროცესის ხელშეშლა და მასში ჩარევა, ასევე, მოწმის სახით გამოსაკითხი პირების დაშინება და ნივთმტკიცებების განადგურება მოჰყოლოდა. გამოძიების მოცემულ ეტაპზე დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ იყო დაწყებული და იგი კვლავ თავისუფლების პირობებში იმყოფებოდა, რის გამოც საქმის მასალების გასაჯაროების შემდგომ შესაძლოა მას წებისმიერი ხერხით ზემოქმედება მოეხდინა საქმის მოწმეებზე, მათ შორის დაზარალებულზე და გაენადგურებინა მისი მამხილებელი მტკიცებულებები. მდგომარეობას ართულებდა ის მოცემულობაც, რომ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში მხილებული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო.

ნიშანდობლივია, რომ პროკურორის დასაბუთების ცალკეული ასპექტები საჭიროებდა ყურადღებას, თუმცა უმეტესობა მათგანი იყო არარელევანტური. პირველ რიგში, ამავე დადგენილების გადმოგზავნის წერილში უკვე მითითებული იყო ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების და მტკიცებულებების შეგროვების შესახებ ინფორმაცია და მათი დაზიანების/განადგურების რისკი, შესაბამისად, უკვე აღარ არსებობდა. ხოლო, სავარაუდო დამნაშავის მხრიდან მომავალ რისკებზე აპელირება უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ამის თავიდან აცილება, უპირველესად, დაზარალებულის ინტერესებში შედიოდა და, ბუნებრივია, ის ამ რისკების დასაზღვევად თავად არ გაასაჯაროებდა საქმის მასალებში არსებულ ინფორმაციას.

<sup>71</sup> კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, №1/3/1312, 2020 წლის 18 დეკემბერი, II, 34.

ამის გათვალისწინებით, „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა დადგენილება გაასაჩივრეს ზემდგომ პროკურორთან, რომელმაც, მართალია, ერთი მხრივ, არ დააკმაყოფილა საჩივარი და დაადგინა, რომ ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება იყო კანონიერი და სამართლიანი უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების დროს. თუმცა, მეორე მხრივ, გასაჩივრების პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, დააკავეს და პატიმრობა შეუფარდეს სავარაუდო დამნაშავეს და უკვე აღმოფხვრილი იყო უარის თქმის საფუძვლები. ამის გათვალისწინებით ზემდგომმა პროკურორმა მიიჩნია, რომ დაზარალებულის ადვოკატს გადასცემოდა საქმეზე დართული ყველა მტკიცებულების ასლი.

ცალკე განხილვას საჭიროებს არასრულწლოვანი გოგოს, ე.ა.-ის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმე, რომელშიც „უფლებები საქართველოს“ ადვოკატები გამოძიების დაწყებიდან თითქმის სამი წლის გასვლის შემდეგ ჩაერთნენ, მანამდე კი საქმე ფაქტობრივად „თაროზე იყო შემოდებული“. საქმის მასალების ასლების გადაცემაზე ადვოკატებს უარი ეთქვა, როგორც პროკურორის, ისე ზემდგომი პროკურორის მიერ. საქმის პროკურორმა საქმის მასალების ასლების გადაცემაზე უარი ადვოკატებს უთხრა არა დასაბუთებული დადგენილების, არამედ წერილის ფორმით. ამ დოკუმენტში უარის საფუძვლად მხოლოდ მშრალად, რეალური არგუმენტაციის გარეშე იყო მითითებული, რომ მასალების გადაცემა არ იყო მიზანშეწონილი, რადგან გამოძიება მიმდინარეობდა არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე, საქმის სენსიტიურობისა და დაზარალებულის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ასლების გადაცემის შემთხვევაში, შესაძლო იყო მათი გასაჯაროება, მათ შორის პირადი და პერსონალური მონაცემების ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნება, რითაც საქმეზე მიმდინარე გამოძიებას შეეშლებოდა ხელი.

პროკურორის აღნიშნული დასაბუთება არსობრივად სრულიად არარელევანტურია, რადგან პერსონალური მონაცემები შეეხება თავად არასრულწლოვანს და, შესაბამისად, მას და ასევე მისი თანხმობით, ადვოკატს<sup>72</sup>, აქვს უფლება, რომ საჯარო

<sup>72</sup> ამ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნები.

გახადოს ისინი. გარდა ამისა, პროკურორის მიერ მითითებული საფუძველი მთელი პროცესის განმავლობაში იქნება სახეზე და ამ შინაარსით არ აღმოიფხვრება არც ერთ ეტაპზე. შესაბამისად, მთლიანი სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის ფარგლებში დაზარალებულს და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატებს არ ექნებათ შესაძლებლობა ასლის ფორმით გაეცნონ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რაც საფუძველს გამოაცლის საჯარო დაწესებულებაში საკუთარი თავის შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას.

ეს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა როგორც ზემდგომი პროკურორის დადგენილებით, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგის მოსამართლის განჩინებით, რაც რაიმე ახალ ან განსხვავებულ დასაბუთებას არ მოიცავდა და იმავე არგუმენტაციას ეფუძნებოდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე.ა.-ის საქმის ის ასპექტი, რომ დაზარალებულისთვის და მისი ადვოკატებისთვის საქმის მასალების ასლების გადაცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება გასაჩივრდა სასამართლო წესით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებდა პროკურორის უარის გასაჩივრების შესაძლებლობას მხოლოდ ერთჯერადად და ისიც ზემდგომ პროკურორთან. თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აღნიშნული ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე და ასლების მიღებაზე უარის თაობაზე ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობას.<sup>73</sup> ამ საქმეში კი შეიქმნა პრეცედენტი, რომ არსებული რეგულირების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით, ზემდგომი პროკურორის უარი შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

<sup>73</sup> სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/5/1355,1389, 2023 წლის 27 ივლისი, III, 1, ა.

ზემოაღნიშნულ ორ საქმეში მითითებულ საქმის მასალების მომავალში გასაჯაროების რისკზე, როგორც უფლების შეზღუდვის საფუძველზე, ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება: „ვერ გამოვრიცხავთ დაზარალებულის ინტერესს, ინფორმაცია გამოიყენოს საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, საქმისადმი ყურადღების მისაპყრობად, რაც, თავის მხრივ, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლოა, მეტი კონტროლის, საჯარო განსჯისა და კრიტიკის შესაძლებლობას აჩენდეს. ამგვარი საჯაროობის, კონტროლის მნიშვნელობა კი, შესაძლოა, მომეტებული ინტერესით არსებობდეს ან იზრდებოდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საკუთრივ დაზარალებული მოკლებულია უფლებათა სრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობას, მაგალითისთვის, მაშინ, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანია და იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და სხვა.“<sup>74</sup>

სისხლის სამართლის საქმის გაცნობის და მასალების ასლების მიღების უფლება რელევანტური და მნიშვნელოვანია არამხოლოდ გამოძიების ეტაპზე, არამედ საქმის სასამართლოში განხილვისას და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც. ხშირად დაზარალებულისთვის ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო სხდომის ოქმებზე ხელმისაწვდომობაც, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული არ არის, თუმცა არსობრივად, ასევე, გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის სულისკვეთებიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ უმრავლეს სახელმწიფოებში უზრუნველყოფილია დაზარალებულებისთვის სასამართლო სხდომის ოქმების გაცნობის უფლება.<sup>75</sup> არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებულ საქმეებში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც დაცვის უფლების ეფექტიანად განსახორციელებლად და, ასევე, ეთივის თუ დისციპლინურ კომისიებში საჩივრების შესატანად აუცილებელი გახდა არამხოლოდ საქმის მასალების, არამედ სასამართლო პროცესების სხდომის ოქმების გამოთხოვაც. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ, ამ მხრივაც, პრაქტიკა არაერთგვაროვანი აღმოჩნდა.

<sup>74</sup> ოგივე, II, 38.

<sup>75</sup> იხ.: <https://fra.europa.eu/en/content/victims-rights-trial> ნანახია: 23.05.2024.

კერძოდ, თბილისში დაზარალებულისთვის სასამართლო სხდომის ოქმებზე ხელმისაწვდომობა არ დაბრკოლებულა, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლოს განხილვა არასრულწლოვანის მონაწილეობით მიმდინარეობდა. თუმცა, გორის რაიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ სტრატეგიულ საქმეზე უარი თქვა სასამართლო სხდომის ოქმების გაცემაზე. ამ შემთხვევაში უარის თქმის საფუძვლად მოსამართლის თანაშემწის წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებული იყო უზრუნველეყო იქმის მხარეებისთვის გაცნობის შესაძლებლობა, ხოლო ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-5-7 ნაწილების შესაბამისად, დაზარალებული არ წარმოადგენდა მხარეს. ორგანიზაციის ადვოკატების მიერ აღნიშნული ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა სასამართლოს მენეჯერთან, თუმცა, ამ უკანასკნელმა სრულიად გაურკვეველი საფუძვლით, საჩივარი შემდგომი რეაგირებისთვის კვლავ გადაუგზავნა საქმის განხილველ მოსამართლეს. ამ შემთხვევაში, საგულისხმო და ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ სტრატეგიული საქმის სისხლისსამართლებრივი წესით შემდგომი განხილვა გაგრძელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ზემდგომ ინსტანციაში საქმის განხილვისას „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა განცხადებით მიმართეს ამჯერად უკვე სააპელაციო სასამართლოს პალატას და მოითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვის სხდომის ოქმები, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და დაზარალებულის ინტერესების დამცველ ადვოკატებს გადაეცათ გორის რაიონული სასამართლოს საქმის განხილვის აუდიო ოქმები. დამატებით აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულს სხდომის ოქმები სჭირდებოდა ბრალდებულის ადვოკატის ქმედებების საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთივის კომისიაში გასასაჩივრებლად, რადგან პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მისი ქმედებები, ერთი მხრივ, უშუალოდ მიმართული იყო დაზარალებულის ადვოკატების პროფესიული დისკრედიტაციისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალოდ ქმნიდა დანაშაულის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეებს.

ცალკე განხილვას საჭიროებს შემთხვევები, როდესაც დაზარალებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა საქალაქო სასამართლოს მიმართეს იმ საქმის

მასალების ასლების გამოსათხოვად, რომელიც დასრულდა და შემაჯამებელი განაჩენი იყო გამოტანილი. საქმის მასალების ასლების გამოთხოვა საჭირო გახდა ძალადობის მსხვერპლის მიერ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების დავის ეფექტიანად საწარმოებლად. მსგავს შემთხვევებში „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებს დაბრკოლება არ შეხვედრიათ, გარდა ცაგერისა და ზესტაფონის სასამართლოებისა, რომელთაც არ დააკმაყოფილეს დაზარალებულის და ადვოკატის მოთხოვნა სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დასრულებული საქმის მასალების ასლების გაცემის თაობაზე. სამწუხაროდ, მოცემულ შემთხვევაში ორგანიზაციამ ვერ გაასაჩივრა სასამართლოს ამგვარი მიღებისა, რადგან თავად დაზარალებულმა განაცხადა უარი სამართალწარმოების შემდგომ გაგრძელებაზე.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოს განმარტების შედეგად, სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება გამოძიების ეტაპზე უზრუნველყონ დაზარალებულის ინფორმირება და მისთვის საქმის მასალების გაცნობა, მათ შორის ასლების მიწოდების ფორმით. აღნიშნული უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, სადაც გათვალისწინებული იქნება საქმის ინდივიდუალური გარემოებები, რომელიც უფლებაში ჩარევის პროპორციულობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს გამორიცხავს. პროკურორის მხრიდან საქმის მასალების გაცნობაზე დაუსაბუთებელი უარის თქმისგან დამცავ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება არამხოლოდ ზემდგომ პროკურორთან, არამედ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უკვე სასამართლოშიც. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული განმარტებების და საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის სულისკვეთებიდან გამომდინარე, დაზარალებულის ინფორმირების და საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლების შინაარსი უნდა გაფართოვდეს და მოიცვას სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადია, მათ შორის, საქმის წარმოება

სასამართლოში და შემაჯამებელი განაჩენის გამოტანის შემდგომი პერიოდიც. ამასთან, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაზარალებულთა ხელმისაწვდომობა სასამართლო სხდომის ოქმებზეც. მისასალმებელია, რომ ცალკეული გამონაკლისების გარდა, სამართალწარმოების პრაქტიკამ უკვე აჩვენა არსებული საკანონმდებლო რეგულირებების ამგვარად განმარტების დადებითი ტენდენცია.

## 8. გენდერული მოტივის გამოკვეთა და ფაზგენა ფანაშაულის კვალიფიკაციის დროს

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარის გამოკვეთას. დანაშაულის მოტივი და მიზანი, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ასპექტი, არსებით გავლენას ახდენენ კვალიფიკაციაზე. მათ შორის მოტივი შეიძლება იყოს, როგორც სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამფუძნებელი გარემოება, ასევე – პასუხისმგებლობის დამამდიმებელი მაკვალიფიცირებელი ნიშანი.<sup>76</sup>

ამ ანალიტიკური ნაშრომის მიზნებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოიყოს გენდერული შეუმწყნარებლობის მოტივი, როგორც დანაშაულის სპეციალური მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში იწვევს დანაშაულის დამძიმებას, ხოლო სხვა შემთხვევებში გაითვალისწინება სასჯელის დანიშვნისას. კერძოდ, დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენა არის პასუხისმგებლობის დამამდიმებელი სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშანი განზრახ მკვლელობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), თვითმკვლელობამდე მიყვანის (115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების (117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი) შემთხვევაში. ხოლო სხვა დანაშაულებთან მიმართებაში გენდერული მოტივის გამოკვეთა უნდა შეფასდეს, როგორც სასჯელის დამამდიმებელი გარემოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე.

ქმედების გენდერული შეუმწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულად კვალიფიკირისთვის, მნიშვნელოვანია, თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებების შესწავლა და შეფასება. თუმცა, ამ შემთხვევაში გენდერის ნიშნის განსაზღვრაში და მისი შინაარსის დადგენაში, მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ

<sup>76</sup> მაგალითისთვის იხ.: ცქიტიშვილი თემური, მოტივი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2021, 116-134. ხელმისაწვდომია: <https://dgstz.de/storage/documents/uGNqPMtL8g2C6Rse98td3ME9P0JirrLtnRi5w6ZX.pdf> ნანახია: 23.05.2024.

ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტება. პრეამბულაშივე კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები აღიარებენ გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას და იმას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი მიზეზი, რაც ქალებს აიძულებთ დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა.<sup>77</sup>

სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი განმარტავს „ქალთა მიმართ ძალადობას გენდერული ნიშნით“ და მიუთითებს, რომ ეს გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან ქმედებას, რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე. გენდერულ ძალადობაში იგულისხმება ნებისმიერი ზიანი, რომელიც ქალს მიადგა და ერთდროულად არის ქალთა და მამაკაცთა შორის ძალაუფლების არათანაბარი განაწილების მიზეზიც და შედეგიც. იგი განპირობებულია წარმოდგენებით ქალთა და მამაკაცთა უთანასწორო მდგომარეობის შესახებ, რაც იწვევს ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას როგორც კერძო, ისე – საჯარო სფეროები. ამ ტიპის ძალადობა ღრმად არის ფესვგადგმული სოციალურ და კულტურულ შრეებში, ასევე, საზოგადოებისგან მართულ ნორმებსა და ღირებულებებში.<sup>78</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ვალდებულებას ადგენს უფრო ფართო კონტექსტში, ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მისაღწევად, ავტორებმა მიიჩნიეს, რომ მნიშვნელოვანია ტერმინ „გენდერის“ განმარტებაც.<sup>79</sup> სტამბულის კონვენციის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ცალკე განმარტავს, თუ რას გულისხმობს ტერმინი „გენდერული“ და მიუთითებს, რომ ის გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და

<sup>77</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, preamble.

<sup>78</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, § 44.

<sup>79</sup> იგივე, § 43.

მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.<sup>80</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ გენდერული როლების დასაძლევად, აგრეთვე, ძალადობის პრევენციის მიზნით, კონვენციის მე-12 მუხლი მოუწოდებს სოციალური და კულტურული ქცევის სტერეოტიპების, ასევე, ცრურწმენების, ჩვევების, ტრადიციებისა და სხვა პრაქტიკის შეცვლისაკენ, რომელიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას, ან ქალთა და მამაკაცთა სტერეოტიპულ როლებს.<sup>81</sup>

დანაშაულის მოტივის დადგენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება და, შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ამ მხრივ, უზრუნველყოს ეფექტიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის განხორციელება. მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, რომელიც, მართალია, შეეხება რასიზმის და სიძულვილის მოტივის გამოკვეთის პროცესში სახელმწიფოსთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, მაგრამ აღნიშნული სტანდარტი შეიძლება განზოგადებული იყოს ფემიციდის შემთხვევებზე და, ზოგადად, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის დადგენასთან დაკავშირებითაც. საქმეში ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria), ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა, რომ როდესაც საქმე შეეხება ძალადობრივ დანაშაულებს, განსაკუთრებით კი სიცოცხლის მოსპობას, სახელმწიფო ხელისუფლებას ეკისრება დამატებითი ვალდებულება, გამოააშკარაოს ნებისმიერი რასობრივი მოტივი. მოტივის დაუდგენლობა და ასეთი ძალადობისა და სისასტიკის ჩვეულებრივი დანაშაულების მსგავსად განხილვა, ნიშნავს დანაშაულის სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას, რაც ხელყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს. სასამართლომ ასევე განსაზღვრა, რომ დანაშაულის მოტივის დასადგენად სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა გონივრული შესაძლებლობა, მათ შორის, შეაგროვოს და დაიცვას მტკიცებულებები. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა პრაქტიკული საშუალება სიმართლის გასარკვევად, ყოველმხრივი, გონივრული, მიუკერძოებელი და ობიექტური

<sup>80</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 3, § c.

<sup>81</sup> ასევე იხ.: Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, § 44.

გადაწყვეტილებების მისაღებად. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი გარემოებები, რომლებიც სიძულვილის მოტივის არსებობაზე მიუთითებენ.<sup>82</sup>

საქმეში, სკორჯანეცი ხორვატიის წინააღმდეგ (Škorjanec v. Croatia), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ პრაქტიკაში ხშირად დიდ სირთულეს წარმოადგენს სიძულვილის მოტივის დადგენა. თუმცა, მოტივის გამოსარკვევად ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ყველა ზომა საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიძიოს ძალადობრივი ქმედების უკან მდგარი რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივი, მოიცავს ამ მოტივის დასადგენად შესაბამისი საშუალებების გამოყენებას და არა – შესაბამისი სპეციალური შედეგის დადგომის აუცილებლობას.<sup>83</sup>

დანაშაულის მოტივის დადგენის მიზნით ეფექტიანი გამოძიების წარმოების საერთაშორისო ვალდებულების მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ დაუძლეველია პრაქტიკაში ამ მხრივ არსებული პრობლემები. საქართველოს სახალხო დამცველი ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშებში რეგულარულად მიუთითებს გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენის კვალიფიკირებისას არსებულ გამოწვევებზე როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე – სასამართლოში გადაწყვეტილებების მიღებისას.

ანგარიშების თანახმად, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული დადებითი ტენდენციის მიუხედავად, გამოძიების ეტაპზე გენდერული მოტივის გამოკვეთა უფრო და უფრო რთული ხდება. ხშირად ეს იმით არის განპირობებული, რომ გენდერის ნიშანზე მიმთითებელი ერთადერთი მტკიცებულება ბრალდებულის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაა. ხოლო პასუხისმგებლობის დამძიმების შემდგომ, ბრალდებულები, საქმის სასამართლოში განხილვისას, ცვლიან ჩვენებას.<sup>84</sup>

<sup>82</sup> Nachova and others v. Bulgaria, European Court of Human Rights, Applications nos. [43577/98](#) and [43579/98](#), 6 July 2005, § 160.

<sup>83</sup> Škorjanec v. Croatia, European Court of Human Rights, Application no. [25536/14](#), 28 March 2017, § 54.

<sup>84</sup> მაგალითისთვის იხ.: საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2014-2018, 14-15. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2020070314085795380.pdf> ნახახია: 23.05.2024.

ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს სახალხო დამცველმა, ასევე, დააფიქსირა სამართალდამცავი ორგანოების არასათანადო მუშაობა და გამოძიების არაეფექტურა ანად წარმოება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში პროცესურის უგულისყურო მიდგომამ და გარემოებების უგულებელყოფამ შედეგად მოიტანა, რომ პირის მსჯავრდება არ მომხდარა სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშნით.<sup>85</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ასევე, მიუთითებს სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებაზე და გადაწყვეტილებებში აიდენტიფიცირებს გენდერული მოტივის დადგენისას არსებულ სხვადასხვა გამოწვევას. თუმცა, დადებითად არის შეფასებული ცალკეული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რადგან მათში დეტალურად არის განმარტებული გენდერის ნიშანი და მოსამართლეები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ასაბუთებენ დანაშაულის გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენას.<sup>86</sup> არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის საქმეებში გენდერის ნიშნის გამოკვეთასთან დაკავშირებით.<sup>87</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების ფონზე და სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნების პირობებში, გასაკვირი არ არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებულ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეებში გამოიკვეთა გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპზე გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის დადგენის და დანაშაულის სპეციალური ნიშნით კვალიფიკაციის პრობლემა.

„უფლებები საქართველოს“ ადვოკატები ბოდბეში მომხდარი ფემიციდის საქმეზე იცავდნენ დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და არასრულწლოვანი შვილების ინტერესებს როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე – სასამართლოში საქმის განხილვისას.

<sup>85</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2019, 16-17. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2021061415064722095.pdf> ნანახია: 23.05.2024.

<sup>86</sup> მაგალითისთვის იხ.: საქართველოს სახალხო დამცველი, 2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი, 25.

ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2023071314513662215.pdf> ნანახია: 23.05.2024.

<sup>87</sup> იგივე.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2022 წლის 4 სექტემბერს შ.ხ.-მ მეუღლე, მ.ა. ერთლულიანი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ცხადი იყო, რომ შ.ხ. მეუღლის მიმართ ავლენდა მესაკუთრის დამოკიდებულებას, კერძოდ, ქალს ნებისმიერი ქმედება წინასწარ უნდა შეეთანხმებინა შ.ხ-სთვის და დამორჩილებოდა მის მიერ დადგენილ წესებს. გარდაცვლილს სახლიდან გასვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ მეუღლის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადით. მოცემულ შემთხვევაშიც, მკვლელობამდე კონფლიქტი სწორედ იმის გამო წარმოიშვა, რომ თბილისში მშობლებთან სტუმრად მყოფი ქალი სახლიდან ისე გავიდა, რომ ამის შესახებ არ შეატყობინა შ.ხ.-ს.

მიუხედავად არსებული გარემოებებისა, 2022 წლის 6 სექტემბერს შ.ხ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-19-109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით, გენდერის ნიშანზე მითითების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ საქმის გარემოებები ცალსახად მიუთითებდნენ მკვლელობის გენდერის მოტივით ჩადენაზე, საქმეში ჩართვისთანავე „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა მიმართეს პროკურატურას ბრალდების ფორმულირების დაზუსტების მიზნით. სწორედ ამ მოთხოვნის პასუხად, 2022 წლის 4 დეკემბერს პროკურორმა გამოსცა პირის ბრალდების შესახებ ახალი დადგენილება, რომლითაც შ.ხ.-ის ქმედება გადაკვალიფიცირდა და მასში, ასევე, აისახა გენდერის ნიშანიც. აღნიშნული კვალიფიკაცია გაიზიარა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლემაც.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ ადვოკატები, ასევე, ჩართულები იყვნენ გორის მუნიციპალიტეტში ჩადენილი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეში, სადაც ასევე გამოვლინდა გენდერის მოტივის გამოკვეთის და დანაშაულის სწორად კვალიფიკაციის პრობლემა. კერძოდ, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გ.შ. თანაცხოვრების პერიოდში სისტემატურად ამცირებდა და შეურაცხყოფდა მეუღლეს, ა.ც.-ს, რაც გამოიხატებოდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, სიცოცხლის მოსპობის მუქარაში და ისეთ სასტიკ მოპყრობაში, როგორიცაა, ზამთრის ცივ დღეებში თხლად ჩაცმული ქალის სახლიდან გაგდება და ამ გზით საქონლის სადგომში ღამის გათენების იძულება. მოწმეების ჩვენებებით, ასევე, დასტურდებოდა, რომ გ.შ. თვლიდა, რომ მეუღლეს უნდა აეტანა

მისი ხშირი ალკოჰოლური/ნარკოტიკული სიმთვრალე და არ გამოეთქვა შენიშვნა ან პრეტენზია არსებული მდგომარეობის მიმართ. ქალს არ ჰქონდა დაშორების უფლება და თავისუფლად ცხოვრების შესაძლებლობა. მეუღლის ასეთმა ქმედებამ ა.ც. მიიყვანა თვითმკვლელობის ცდამდე. გარშემომყოფების და სამედიცინო პერსონალის დროული ჩარევის შედეგად მოხერხდა ქალის გადარჩენა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, პროკურორმა საქმეში სწორად გამოყო გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი და საბოლოოდ, გ.შ.-ის ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობდა პირის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას, მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ასევე 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში აშკარად იკვეთებოდა დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენა, გორის რაიონულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და მიიჩნია, რომ გენდერის ნიშანი არ დასტურდებოდა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, ვინაიდან გ.შ.-ის მხრიდან ა.ც.-ზე განხორციელებული ძალადობა განპირობებული იყო არა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, არამედ, ძირითადად, ჭარბი ალკოჰოლის მოხმარების შედეგად გამოწვეული არაერთგზისი კონფლიქტებით.

„უფლებები საქართველოს“ ადვოკატების მოთხოვნის და მხარდაჭერის საფუძველზე, პროკურატურამ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საპელაციო სასამართლოში. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ შეცვალა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, სწორი მსჯელობის და დასაბუთების საფუძველზე ა.ც.-ის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეში კვლავ გამოკვეთა გენდერული მოტივი. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ საქმეში დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდა გ.შ.-ის მიზანზე მოეხდინა ოჯახში საკუთარი თავის, როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დემონსტრირება. იგი თავის მეუღლეს მიიჩნევდა როგორც საკუთრებას და მასზე დაბლა მდგომს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ.შ-

ის არაერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მისი გულგრილი დამოკიდებულება დაზარალებულის ემოციური და ფსიქიკური მდგომარეობის მიმართ და სახლში ძილი იმ დროს, როდესაც მსხვერპლი სახლის გვერდით მდგომი საქონლის სადგომიდან ითხოვდა შველას, სხვა არაფერი იყო თუ არა მსჯავრდებულის აღქმა და მიდრევილება, რომ მეუღლეს შეუძლია ისე მოეპყროს, როგორც ნივთს, თუნდაც ეს უკანასკნელი თვითმკვლელობამდე მივიდეს.

## 9. დაზარალებულის დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისაგან

ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვისა და მხარდაჭერის პროცესი მრავალწახნაგოვანია და ყველა ასპექტი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ყოველმხრივი მიდგომა თავის თავში მოიცავს მსხვერპლის დაცვას მეორეული ვიქტიმიზაციისაგან, რომლის გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია იყოს არამხოლოდ უშუალოდ მოძალადე, არამედ სამართალწარმოების პროცესში ჩართული მოძალადის ადვოკატი, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი, პროკურორი და მოსამართლეც კი.

სამართალწარმოების პროცესში ჩართულობა ყველასთვის იწვევს დაძაბულობას და უხერხულობას, ხოლო ძალადობის მსხვერპლებისთვის ეს პროცესი კიდევ უფრო მძიმე და მატრავმირებელია. ამის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე გენდერულად მგრძნობიარე გარემოს შექმნა და ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებული მოპყრობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის სამართლებრივ გარანტიას კი, უპირველესად, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები ქმნიან. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები მიზნად უნდა ისახავდეს მეორეული ძალადობის თავიდან აცილებას და ითვალისწინებდეს მოწყვლადი პირების, მათ შორის, მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს და ეს ხელმისაწვდომი იყოს მათთვის.<sup>88</sup> ხოლო 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები ძალადობის მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების, მათ შორის, მათი როგორც მოწმეების განსაკუთრებული საჭიროებების დასაცავად საგამოძიებო და სასამართლო პროცესების ყველა სტადიაზე. ეს, ასევე,

<sup>88</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 18, § 3.

მოიცავს ძალადობის მსხვერპლი ქალების, მათი ოჯახების და მოწმეების დაცვას დაშინების, შურისძიებისა და განმეორებითი ძალადობისაგან.<sup>89</sup>

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს დანაშაულისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ დეკლარაცია,<sup>90</sup> რომელიც ასევე მოითხოვს, რომ მსხვერპლებს მოეპყრონ თანაგრძნობითა და პატივი სცენ მათ ღირსებას.<sup>91</sup> უფრო მეტიც, მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული მართლმსაჯულების პროცესი უნდა წარიმართოს ისეთი ზომების მიღებით, რომ მოხდეს მსხვერპლთათვის უხერხულობის მინიმალიზება, საჭიროების შემთხვევაში, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და ამ უკანასკნელთა, მათი ოჯახების თუ მოწმეების დაცვა დაშინებისა და შურისძიებისგან.<sup>92</sup>

მიუხედავად, სამართალდამცავ უწყებებში გატარებული არაერთი რეფორმისა და ღონისძიებისა, სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ადეკვატური, გენდერულად მგრძნობიარე და ნაკლებად მატრავმირებელი გარემოს შექმნა როგორც გამოძიების, ისე – სასამართლო განხილვის ეტაპზე.

#### **9.1. ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიზთიმიზაცია გამოძიების ეთაპზე**

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ განსაზღვრავს მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ინსტიტუტების ვალდებულებას, თავი შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე გენდერულად მადისკრიმინირებელი მოქმედებისაგან და ზედმიწევნით გამოიყენონ სისხლის

<sup>89</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 56, § 1, sub para-a.

<sup>90</sup> UN Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, General Assembly resolution 40/34, 29 November 1985. ხელმისაწვდომია:

<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/victimsofcrimeandabuseofpower.aspx> ნახია: 23.05.2024.

<sup>91</sup> იგივე, მუხლი 4.

<sup>92</sup> იგივე, მუხლი 6 „დ“. Council of Europe Committee of Ministers, Recommendation Rec(2002)5 of the Committee of Ministers to member states on the protection of women against violence, 30 April 2002, § 44.

სამართლის კანონმდებლობა ამის საწინააღმდეგოდ.<sup>93</sup> ამასთან, მათ უნდა უზრუნველყონ რომ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საქმეზე ნებისმიერი სამართლებრივი პროცესი იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი, გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი.<sup>94</sup>

მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ CEDAW კომიტეტის N33 ზოგადი რეკომენდაცია მნიშვნელოვან მითითებებს მოიცავს გამომიების ეტაპზე ძალადობის მსხვერპლთა მეორეული და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დასაცავად. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, როგორც მნიშვნელოვან ინსტრუმენტზე ქალების მიერ თავიანთი უფლებების, მათ შორის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებისათვის. ამ მიმართულებით კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ ეფექტიანი ზომები ქალთა მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას და განიხილონ სპეციალიზებული გენდერული დანაყოფების/ერთეულების შექმნა. ასევე, გამოიყენონ კონფიდენციალური და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა სტიგმატიზაციის და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, ძალადობის საქმეებზე, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დაკითხვის, მტკიცებულებების შეგროვების თუ სისხლის სამართლის გამომიებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების განხორციელებისას.<sup>95</sup>

<sup>93</sup> Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, United Nations General Assembly, 18 December 1979, article 2, §§ d and f.

<sup>94</sup> CEDAW, *Vertido v. Philippines*, § 8.9 (b); *R.P.B. v. Philippines*, § 8.3; Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 33 on women's access to justice, CEDAW/C/GC/33, 3 August 2015, § 18 (e), 26, 29.

<sup>95</sup> Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 33 on women's access to justice, CEDAW/C/GC/33, 3 August 2015, § 51 (c), (g). ასევე სექსუალური ძალადობის საქმეებზე იხილეთ: პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ეროვნული ნაწილი, საქართველო, მომზადებულია პროექტის ფარგლებში მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა), 37. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/training-manual-georgia-chapter-geo-pdf/16808e9a41> ნანახია: 23.05.2024.

თავის მხრივ, ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ქალთა ძალადობისგან დაცვის შესახებ რეკომენდაცია განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პოლიციამ და სხვა სამართალდამცავმა ორგანოებმა სათანადო წესების დაცვით, ადამიანის ღირსების დაცვითა და პატივისცემით, უნდა მიიღონ, მოეპყრონ მსხვერპლებს და დაეხმარონ მათ. ასევე, საჩივრების განხილვა უნდა მოხდეს კონფიდენციალურად. მსხვერპლს დაუყოვნებლად უნდა მოუსმინოს სპეციალურად გადამზადებულმა პერსონალმა იმ შენობებში, რომლებიც შექმნილია მსხვერპლსა და პოლიციელს შორის ნდობითი ურთიერთობის დასამყარებლად. ასევე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ძალადობის მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, მოუსმინონ ქალმა ოფიცრებმა.<sup>96</sup> სახელმწიფოებმა ასევე უნდა განიხილონ შესაძლებლობა ძალადობის მსხვერპლთა ან მოწმეთა დაკითხვა მოხდეს სპეციალურ პირობებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩვენების მიცემის გამეორება და შემცირდეს სამართალწარმოების ტრავმული შედეგები.<sup>97</sup> სახელმწიფოებმა ასევე უნდა შემოიღონ წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მსხვერპლთა და მოწმეთა დაუსაბუთებელი ან/და დამამცირებელი დაკითხვის თავიდან აცილებას, მათ მიერ მიღებული ტრავმის სათანადოდ გათვალისწინებით, შემდგომი ტრავმის თავიდან ასარიდებლად.<sup>98</sup> ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსხვერპლთა ეფექტიანად დაცვა მუქარისა და შესაძლო შურისძიებისგან.<sup>99</sup>

ეროვნულ დონეზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში გვხვდება მხოლოდ ზოგადი ხასიათის, პრინციპების დონზე განმტკიცებული რეგულირება დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის, ღირსების დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სპეციალურ ჩანაწერს ვხვდებით საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის მე-6.9 მუხლში, რომლის თანახმადაც, „პოლიციელი უნდა დაეხმაროს დანაშაულის მსხვერპლს უშუალოდ, საკუთარი ძალებით, მოექცეს მას გულისხმიერად და კორექტულად,

<sup>96</sup> Council of Europe Committee of Ministers, Recommendation Rec(2002)5 of the Committee of Ministers to member states on the protection of women against violence, 30 April 2002, § 29.

<sup>97</sup> იგივე, § 42.

<sup>98</sup> იგივე, § 43.

<sup>99</sup> იგივე, § 44.

პატივი სცეს მის ღირსებას, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი ინტერესები.<sup>100</sup> ხოლო აღნიშნული ნორმის დარღვევა პოლიციელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს.<sup>101</sup> მიუხედავად არსებული რეგულირებისა, საქართველოში დაზარალებულებთან პატივისცემით მოპყრობა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდება დიდი ხანია გამოწვევას წარმოადგენს.

სამართალდამცავ უწყებებთან შემხებლობისას დაზარალებულთან მოპყრობის მხრივ არსებული პრობლემები რომ გამოწვევას წარმოადგენს, დადასტურდა მ.ნ.-ის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეში, სადაც გამოძიების ეტაპზე მეორეული ვიქტიმიზაციის შემთხვევა დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი ქალის მეორეულ ვიქტიმიზაციას ადგილი ჰქონდა გამოძიების პროცესში სამართალდამცავ უწყებასთან ურთიერთობის დროს. საქმეს აწარმოებდა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რადგან დამნაშავე იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი.

ამ საქმეში გამოიკვეთა დაზარალებულის მძიმე და მწვავე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. მათ შორის, ჩატარებული საექსპერტო კვლევით დადგინდა ძალადობის შედეგად გამოწვეული დაზარალებულის ფსიქოლოგიური ტანჯვა. არსებულ ვითარებაში, სამართალდამცავ ორგანოებს მოეთხოვებოდათ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენა და გენდერულად მგრძნობიარე მიღება. თუმცა, სამწუხაროდ, როგორც ორგანიზაციულმა პრაქტიკამ ამ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში აჩვენა, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოკითხვისას, ძალადობის მსხვერპლი ქალი დაეჭვემდებარა მეორეულ ვიქტიმიზაციას. აღნიშნული შემდგომში დადასტურდა იმ ფსიქოლოგის შეფასებით, რომელიც, „უფლებები საქართველოს“ ორგანიზაციული ურთიერთობანამშრომლობის შედეგად, უზრუნველყოფდა დაზარალებულის

<sup>100</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.9.

<sup>101</sup> იგივე, მუხლი 8.

ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას მსხვერპლად ყოფნით გამოწვეულ ტრავმებთან გასამკლავებლად.

ამ შემთხვევაში ცალსახად გამოვლინდა დაზარალებულისათვის მიყენებული მეორეული ტრავმა, რომელიც სამართლებრივ ჭრილში, ასევე, უნდა შეფასდეს, როგორც მორალური ზიანი. როდესაც არსებობს დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება და მეორეული ვიქტიმიზაციის დადასტურებული შემთხვევა, მნიშვნელოვანია, სტრატეგიული სამართალწარმოება წარიმართოს ადმინისტრაციული წესით, სამართალდამცავი ორგანოს წინააღმდეგ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. თუმცა, მოცემულ საქმეში თავი იჩინა მოცემულობამ, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ქალები, განცდილი ტრავმის გათვალისწინებით და სისტემასთან შეჯახებისას მიღებული უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებით, უარს აცხადებენ ახალი სამართლებრივი დავის წამოწყებაზე. არსებული მოცემულობის დასაბალანსებლად კი მხოლოდ ის გახდა შესაძლებელი, რომ „უფლებები საქართველოს“ ადვოკატების მოთხოვნით, საქმის გამოძიება განაგრძო მდედრობით სქესის გამომძიებელმა, რომლის მხრიდანაც უზრუნველყოფილი იყო დაზარალებულის ინტერესებზე მორგებული, გენდერულად მგრძნობიარე გარემოს შექმნა.

ხშირ შემთხვევაში ბრალდებულები სხვადასხვა უკანონო გზებით, მათ შორის მუქარის გამოყენებით, ცდილობენ გავლენა მოახდინონ დაზარალებულზე სამართალდამცავ ორგანოებში შეტანილი განაცხადის უკან გამოსათხოვად ან/და გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის ფარგლებში უკვე მიწოდებული ინფორმაციის შესაცვლელად.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ წარმოებაში ჰქონდა რ.გ.-ის სტრატეგიული სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც დაფიქსირდა, რომ მოძალადე ბრალდებული, მესამე პირების ჩართულობით, შეეცადა დაპატიჟირებოდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს და მის არასრულწლოვან შვილებს, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში მათ პოზიციონირებაზე გავლენის მოსახდენად. ბრალდებულს ასევე ჰქონდა მცდელობა, რომ დახვედროდა სკოლიდან გამოსულ არასრულწლოვან

შვილებს და მათთან კომუნიკაციით გავლენა მოეხდინა სასამართლოში მისაცემი ჩვენების შინაარსზე. ამ საქმეში, პრაქტიკული თვალსაზრისით, სტრატეგიულად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დაზარალებულის მიმართვის საფუძველზე, სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს სისხლისსამართლებრივი გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს გამოსაკითხ პირზე, მოწმესა და დაზარალებულზე ზემოქმედების განხორციელების დასჯადობას. აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებზე დამატებით სისხლის სამართლის საქმის აღმდეგ სტრატეგიულად შემაკავებელი უნდა იყოს არამხოლოდ ბრალდებულის შემდგომი ქმედებების მიმართ, არამედ ე.წ. „მსუსხავი“ ეფექტი უნდა ჰქონდეს სხვა მოძალადებისთვისაც. თუმცა, ისიც ნიშანდობლივია, რომ ამგვარ შემთხვევებზე 372-ე მუხლით სამართალწარმოების დაწყების ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს პრეცედენტი, რომელიც „უფლებები საქართველოს“ მოთხოვნის საფუძველზე დამკვიდრდა ა.ც.-ის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეში და რომელიც გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტად უნდა შეფასდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დასაცავად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოსა და ინფრასტრუქტურას, სადაც გამოძიების ეტაპზე მისი გამოკითხვა ხორციელდება. სამწუხაროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოების შენობების მოწყობა ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვა განხორციელდეს უსაფრთხო გარემოში, სადაც შესაძლებელი იქნება გამომძიებელსა და დაზარალებულს შორის ნდობითი ურთიერთობის დამყარება. გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანოების შენობებში არსებული საერთო სივრცეები არ იძლევა კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობას. ა.ც.-ის საქმეში, რომელიც შეეხებოდა ქმრის მიერ ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას სასტიკი მოპყრობით, პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშვიდი, უსაფრთხო და კონფიდენციალური გარემოს შექმნას გამოძიების ეტაპზე გამოკითხვისას. ამ მიზნით, ორგანიზაციის ადვოკატებმა

საგამოძიებო ორგანოს მიმართეს და მოითხოვეს, რომ გამოკითხვა ჩატარებულიყო არა საგამოძიებო ორგანოში, არამედ – „უფლებები საქართველოს“ ოფისში. სამართალდამცავმა უწყებამ გაითვალისწინა ქალის მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ძალადობის შედეგად დატოვებული ტრავმა და ინფრასტრუქტული გარემოს მნიშვნელობა ძალადობის მსხვერპლი ქალის მიერ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გახსენებისა და მეხსიერების აღდგენის პროცესში, დააკმაყოფილა „უფლებები საქართველოს“ ადვოკატების მოთხოვნა და გამოკითხვა ორგანიზაციის ოფისში ჩატარა.

## 9.2. ფაზარალებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემების და პირადი რეკუსიაციის დაცვა

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, უფრო მეტად კი სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ხშირად მოიცავს პირადი ცხოვრების დეტალებსა და პერსონალურ მონაცემებს. საქართველოში დამკვიდრებული პატრიარქალური გარემო, ქალების მიმართ სტერეოტიპული და მასტიგმატიზირებული დამოკიდებულებებით გაჯერებული კულტურული და სოციალური რეალობა, ქალების პირად და ინტიმურ სფეროს ხშირად აქცევს ჯერ ინტერესის და შემდგომ კი გაკიცხვის ობიექტად. პირადი ცხოვრების საკითხები ხშირად ხდება საზოგადოებრივი და სოციალური განხილვის საგანი, რასაც მოსდევს ხოლმე ქალთა დადანაშაულება, შეურაცხყოფა და ღირსების შემლახველი არაადამიანური და დამამცირებელი დამოკიდებულებაც კი. შედეგად კი ძალადობის მსხვერპლი ქალები მეორეული ვიქტიმიზაციის მსხვერპლები ხდებიან.

სამწუხაროდ, მოძალადეები და საქმით დაინტერესებული პირები პერსონალურ მონაცემებს ხშირად იყენებენ მსხვერპლზე გავლენის მოსახდენად. ისინი პირადი ინფორმაციის გავრცელების მუქარით ცდილობენ დაიყოლიონ დაზარალებულები და მოწმეები სამართალდამცავ ორგანოში შეტანილი განაცხადის უკან გამოთხოვაზე, ჩვენების ან/და პოზიციის შეცვლაზე და სხვა უკანონო მიზნების მისაღწევად. ასეთ ვითარებაში, არსებითად მნიშვნელოვანია, ძალადობის მსხვერპლი ქალების

ინტერესების დასაცავად, სტრატეგიული სამართალწარმოების უზრუნველყოფა როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართალწარმოების მეშვეობით.

ამ საკითხის სიმწვავე გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებულ ერთ-ერთ კომპლექსურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საქმეში. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მ.ხ. პარტნიორის მხრიდან იყო ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ნიშანდობლივია, რომ დაზარალებული, არასრულწლოვან შვილებთან ერთად, ცხოვრობდა საკუთარ დედასთან და დასთან, რომელთაც არ იცოდნენ მ.ხ.-ის მოძალადესთან პარტნიორული ურთიერთობის შესახებ. აღნიშნული ფაქტორი აბრკოლებდა დაზარალებულს, რადგან მას ჰქონდა შიში, რომ გახდებოდა როგორც ოჯახის წევრების, ისე – ნათესავების და გარშემო საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის მსხვერპლი. ამის გათვალისწინებით, მ.ხ.-ისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოება წარიმართა მისი მოძალადე პარტნიორის მიმართ.

აღნიშნულით ისარგებლეს ბრალდებულმა და მისმა ახლობლებმა. კერძოდ, მათ მ.ხ.-ის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაცია მიაწოდეს დაზარალებულის ოჯახის წევრებს, ნათესავებს, დამსაქმებელს, ჟურნალისტს, ასევე შვილების სკოლის დირექტორს გაუზიარეს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები. საქმეში ნიშანდობლივ ფაქტორს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ თავად მოძალადე, მისი და, ძმა და მამა დასაქმებულნი იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და მათ სამსახურებრივად ხელი მიუწვდებოდათ დაზარალებულის შესახებ მნიშვნელოვან პერსონალურ მონაცემებზე.

დაზარალებულის უფლებადამცველებმა მიმართეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და მოითხოვეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავების გამო შესაბამისი პირების/უწყებების მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საქმე გაყო ორ ნაწილად. ერთ შემთხვევაში განაცხადი არ მიიღო წარმოებაში იმ მოტივით, რომ აღნიშნული წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების აშკარად პირადი მიზნებისთვის დამუშავებას და მასზე არ ვრცელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.<sup>102</sup> თუმცა, წარმოებაში მიიღო საქმის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებული პირების) მიერ მ.ხ.-ის პერსონალური მონაცემების შეგროვების და გავრცელების ფორმით დამუშავებას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დაზარალებულის განცხადების შესწავლისას გამოვლინდა უფლებამოსილების არაეფექტურიანად განხორციელების ცალკეული ნიშნები. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილმა პირებმა მაქსიმალურად გამოიყენეს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული ვადები, განცხადების წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით, ასევე ორჯერ დაადგინეს ხარვეზი სხვადასხვა საფუძვლით. აღნიშნულმა გამოიწვია განცხადების შეყოვნება და 2022 წლის 26 სექტემბერს დარეგისტრირებული განცხადება სამსახურმა წარმოებაში თითქმის ერთი თვის შემდეგ, 20 ოქტომბერს, მიიღო.<sup>103</sup> ასევე, ნიშანდობლივია, რომ სამსახურმა პირველი ხარვეზის დადგენისას განმცხადებელს დაავალა შემდეგი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზებში არსებულ რა ინფორმაციაზე განხორციელდა წვდომა და კონკრეტულად ვის მიერ და რა სავარაუდო თარიღებში. თუმცა, თავიდანვე ნათელი

<sup>102</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებივი მოვალეობის შესრულებასთან. პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტაქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც ამ საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება.

<sup>103</sup> აქ აღსანიშნავია, რომ პირველ შემთხვევაში ხარვეზის დასადგენად სამსახურმა სრულად გამოიყენა 10 დღიანი ვადა და 2022 წლის 26 სექტემბერს რეგისტრირებულ განცხადებაზე ხარვეზი 6 ოქტომბერს დაადგინა. ორგანიზაციის მხრიდან დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ სამსახურმა კვლავ დაადგინა ხარვეზი 17 ოქტომბერს და მხოლოდ 20 ოქტომბერს ნაწილობრივ მიიღო საქმე წარმოებაში.

იყო, რომ თავად განცხადებლის მიერ კონკრეტული ინფორმაციის შეგროვება წარმოუდგენელი იყო, თუნდაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზებზე ხელმიუწვდომლობის გამო. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაამკვიდრა უარყოფითი ტენდენცია და პრაქტიკა, რადგან განცხადების შესვლის შემდგომ შესაძლებელი იყო ინსპექტირების დაწყება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესასწავლად.<sup>104</sup> ეს კი გამოიწვევდა, ამ შემთხვევაში, არსებითად მნიშვნელოვანი დროის დაზოგვას.

მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ მ.ხ.-ის მიერ განცხადებით ასევე მოთხოვნილი იყო მისი ნათესავების, ახლობლების და ნაცნობების მაიდენტიფიცირებელი და საკონტაქტო ინფორმაციის დამუშავების კანონიერების შესწავლაც. სამსახურმა არც ამ ნაწილში მიიღო საქმე წარმოებაში, რადგან შეაფასა, რომ განაცხადი წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განცხადებაში მითითებული იყო საკითხის შესწავლა არა მხოლოდ განცხადების განხილვის ფარგლებში, არამედ საკუთარი ინიციატივით ინსპექტირების განხორციელების მეშვეობითაც. სამწუხაროდ, უწყებამ არ გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით არაგეგმური შემოწმების გზით განეხორციელებინა ინსპექტირება, რაც საქმის ერთიანობაში წარმართვის და ეფექტიანი შედეგის დადგომის კუთხით არსებითად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

საერთო ჯამში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პასიურობამ, ადმინისტრაციული წარმოების არაეფექტიანად წარმართვამ შედეგად მოიტანა ის მოცემულობა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის გათვალისწინებული ორთვიანი ხანდაზმულობის ვადა გავიდა და ადმინისტრაციულმა ორგანომ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.<sup>105</sup>

<sup>104</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ამის უფლებამოსილება ჰქონდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და 58-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

<sup>105</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2022 წლის 30 ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.“

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში განხორციელებული სტრატეგიული სამართალწარმოება არ აღმოჩნდა ეფექტური, სამართლებრივი შედეგიანობის კუთხით. თუმცა უფლებადამცველებისთვის გასათვალისწინებელია, გამოცდილება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში მსგავსი დავის წარმოებისას, ყურადღება გაამახვილონ განცხადებაში მათ ხელთ არსებული ინფორმაციის მაქსიმალურად ასახვაზე და მოითხოვონ ინსპექტირების დაწყება იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელზეც მათ ხელი არ მიუწვდებათ. ამგვარად, უფლებადამცველებმა არ უნდა მისცენ შესაძლებლობა სამსახურს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენისთვის გათვალისწინებული შემჭიდროებული ხანდაზმულობის ვადები გაიფლანგოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების განმცხადებლისგან მოპოვების მცდელობაში.

ამ სამართალწარმოების პარალელურად, მ.ხ.-ის უფლებადამცველებმა 2022 წლის 21 ნოემბერს მიმართეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომ გამოძიება დაწყებულიყო პირადი ცხოვრების საიდუმლოს ან/და პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებისთვის, შენახვისთვის, გამოყენებისთვის, გავრცელებისთვის ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფისთვის, შედეგად, 2022 წლის 5 დეკემბერს დაიწყო გამოძიება.<sup>106</sup> მოცემულ შემთხვევაში მოძალადის ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების ქმედებაში იკვეთებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 157<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე იყო შედეგად დამდგარი მნიშვნელოვანი ზიანი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის ფორმით. თუმცა მოცემულ შემთხვევაში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყო 157<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე და საქმეზე გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

<sup>106</sup> „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს დანაშაულებრივი ქმედება წარმოადგენს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ერთი მხრივ, ამ საკითხის ირგვლივ ორგანიზაციის ინიციატივით დაწყებული სტრატეგიული სამართალწარმოება ანალიტიკურ დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში არ იყო დასრულებული და, შესაბამისად, არც რეალური ხელშესახები შედეგი დამდგარა. თუმცა, მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ თავად სამართალწარმოების დაწყებას მნიშვნელოვანი შემაკავებელი ეფექტი ჰქონდა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციით მანიპულაციის საწინააღმდეგოდ და პრევენციული აღმოჩნდა მონაცემების უფრო ფართოდ გავრცელების აღსაკვეთად. ამასთან, მოსალოდნელია, რომ მსგავს შემთხვევებში იგივე სამართალწარმოების ინიციირება ე.წ „მსუსხავ“ ეფექტს შექმნის მომავალში ძალადობის მსხვერპლთა პირადი ცხოვრებით სამართალწარმოებაზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან ასარიდებლად.

### 9.3. დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა სასამართლო განხილვის ეთავაზვა

მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ CEDAW კომიტეტის N33 ზოგადი რეკომენდაცია ადგენს, რომ ქალებს უნდა ეიმედებოდეთ სტერეოტიპებისა და მითებისგან თავისუფალი მართლმსაჯულების სისტემა. მათთვის მოსამართლეები უნდა იყვნენ დასაყრდენები, რომელთა მიუკერძოებლობაზე ნეგატიურად არ იმოქმედებს ტენდენციური და მიკერძოებული აღქმები. მართლმსაჯულების სფეროში სტერეოტიპების აღმოფხვრა არის არსებითი მნიშვნელობის მსხვერპლთათვის სამართლიანობის და თანასწორობის უზრუნველსაყოფად.<sup>107</sup>

სტერეოტიპული დამოკიდებულები საფრთხის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების სისტემის მიუკერძოებლობასა და ერთიანობას სამართლის ყველა სფეროში, რაც შესაძლოა, დასრულდეს მართლმსაჯულების არასწორად განხორციელებით, მათ შორის განმცხადებლის მეორეული ვიქტიმიზაციით.<sup>108</sup> განსაკუთრებით მეტი

<sup>107</sup> Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 33 on women's access to justice, CEDAW/C/GC/33, 3 August 2015, § 28.

<sup>108</sup> იგივე, § 26.

მოეთხოვებათ მოსამართლეებს, რომლებიც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ძალადობის მსხვერპლთა დაცვის გარანტორებს უნდა წარმოადგენდნენ. მოსამართლეთა სტერეოტიპულ და გენდერულად მიკერძოებულ დამოკიდებულებებს ბევრად დამაზიანებელი შედეგი შეიძლება, მოჰყვეს სისხლის სამართალში, როდესაც ბრალდებული სწორედ ამ დამოკიდებულებების ფონზე არასწორად განმარტებული ან არასწორად გამოყენებული კანონის საფუძველზე შეიძლება გამართლდეს, რაც, თავის მხრივ, დაუსჯელობის სინდრომის გაღვივებას უწყობს ხელს.<sup>109</sup>

სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის პროცესში განსაკუთრებულ როლს უნდა ასრულებდნენ მოსამართლეები. ისინი, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოფდნენ გენდერულად მგრძნობიარე, დაზარალებულის მხარდამჭერი გარემოს შექმნას, ბრალდებულისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის თავდასხმებისგან გარიდებას და, მეორე მხრივ, თავად არ უნდა გახდნენ მეორეული ვიქტიმიზაციის გამომწვევები. მოსამართლემ გულდასმით და ყურადღებით უნდა მოუსმინოს მსხვერპლს და არ დაუსვას უსამართლოდ ინტრუზიული, შემარცხვენელი ან ზედმეტად განმეორებითი კითხვები. მან ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ ვერბალურ თუ არავერბალურ კომუნიკაციას და თავი შეიკავოს ისეთი მიმიკებისა და მოძრაობებისგან, რომლებიც მსხვერპლის ქცევისა თუ ნათქვამის შეფასებას ახდენს. მან უნდა გამოიჩინოს მოთმინება და თავი შეიკავოს იმედგაცრუების გამოხატვისგან მაშინაც კი, როდესაც მსხვერპლი არ თანამშრომლობს/უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე. მოსამართლე მოთმინებით უნდა მოეკიდოს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია მსხვერპლს დაავიწყდეს მნიშვნელოვანი დეტალები და მისცეს ამ უკანასკნელს ამბის საკუთარი სიტყვებით გადმოცემის შესაძლებლობა. მოსამართლემ ისე უნდა აუხსნას მსხვერპლს მისი ჩვენების მნიშვნელობის შესახებ, რომ არ დაადანაშაულოს.<sup>110</sup> მეტიც, ბრალდებულის ან/და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან

<sup>109</sup> იგივე.

<sup>110</sup> Anna Costanza Baldry and Elisabeth Duban, Improvement the Effectiveness of Law Enforcement and Justice Officers in Combating Violence Against Women and Domestic Violence, Training of Trainers Manual, Council of Europe, 1 June 2016, 52-52. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806acdfd> ნანახია: 23.05.2024.

მსხვერპლის დაკითხვა, რომელიც აღვივებს სტერეოტიპებს უნდა შეწყდეს პროკურორის მიერ პროტესტის გამოხატვით ან მოსამართლის პირადი ინიციატივით და გადაწყვეტილებით. მოსამართლემ და პროკურორმა ყურადღება უნდა მიაქციონ ნიშნებს, რომლებიც მეტყველებენ მსხვერპლის/მოწმის ნერვიულობაზე ან გადაღლილობაზე დაკითხვის დროს და მოითხოვონ მოკლე შესვენება.<sup>111</sup>

ასევე, მნიშვნელოვანია, გაკონტროლდეს ქცევა სასამართლო სხდომის დარბაზში და აღიკვეთოს მოძალადის მხრიდან მსხვერპლის მანიპულირების ან პროცესისთვის ხელის შეშლის შეშლელი ტაქტიკის გამოყენება (მაგ. მსხვერპლისთვის ჩვენების შეწყვეტინება ან მსხვერპლის დადანაშაულება). მოსამართლემ ამის თაობაზე უნდა აღნიშნოს საოქმოდ, ურჩიოს მოძალადეს შეწყვიტოს აღნიშნული ტიპის ქცევა და გაფრთხილოს სასამართლოს შეურაცხყოფის რისკების თაობაზე. ასევე, მკაფიოდ უნდა განემარტოს მხარეებს, რომ ემოციური აფეთქებები, მიმიკები თუ ჟესტები (მაგალითად, ამოოხვრა, თვალების გადატრიალება, ა.შ) არ დაიშვება და იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილება არ იქნება გათვალისწინებული, ისინი გაიყვანონ სასამართლო დარბაზიდან.<sup>112</sup>

სამწუხაროდ, ქალთა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პრაქტიკამ გამოავლინა, რომ დაზარალებულები მეორეული ვიქტიმიზაციის მსხვერპლნი ხდებიან არა მხოლოდ ბრალდებულის და მისი ადვოკატის აქტივობით, არამედ უშუალოდ მოსამართლეების მოქმედებით და უმოქმედობის გამოც. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ ნაწარმოებ მ.ხ.-ის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეში. კერძოდ, თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მოსამართლე განიხილავდა სააპელაციო საჩივარს, რომელიც შეეხებოდა მოძალადისთვის ელექტრონული მეთვალყურეობის გაუქმების მოთხოვნას. ეს განხილვა, რომელიც დისტანციურად მიმდინარეობდა, მოსამართლის მიერ წარიმართა ეთიკის ნორმების და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის უხეში

<sup>111</sup> იგივე, 59.

<sup>112</sup> იგივე.

დარღვევით, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებით.

სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას აპელანტი, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას, ცდილობდა მსხვერპლისა და მისი ადვოკატის დამცირებას, პროფესიულ დისკრედიტაციას, საუბრობდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ ეხებოდა საქმეს, თუმცა მიზნად ისახავდა ძალადობის მსხვერპლ ქალზე წეგატიურ ზემოქმედებას. მოსამართლე არ მიუთითებდა მოძალადე მხარის წარმომადგენელს პროფესიული ეთიკის ნორმებისა და სასამართლო წესრიგის დაცვისკენ. უფრო მეტიც, თავად შედიოდა კონფლიქტში მსხვერპლის ადვოკატთან, კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად გაჩუმებისკენ მოუწოდებდა და მიკროფონის გამორთვის შესაძლებლობაზე მიუთითებდა.

პროცესის მიმდინარეობისას დაზარალებული, მის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის გამო, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, უჭირდა თავისუფლად საუბარი, იყო დაძაბული და შეშინებული. ამასთან, მას მოძალადის თანდასწრებით უწევდა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება. მოსამართლე ასეთ მდგომარეობაში მყოფ მსხვერპლს აწყვეტინებდა საუბარს და მოუწოდებდა დასრულებისკენ, ასევე განმარტებებისგან თავის შეკავებისკენ. უფრო მეტიც, მოსამართლემ არაერთხელ გააჯღერა დამცინავი და დამამცირებელი რეპლიკა დაზარალებულის მიმართ.

საქართველოს სამართლებრივი რეალობა და არსებული ნორმატიული ბაზა, სამწუხაროდ, მოსამართლეების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციის საპასუხოდ ეფექტიან მექანიზმებს არ ითვალისწინებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველომ“ გამოიყენა ერთადერთი შესაძლებლობა - საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს. ამ სტრატეგიული საჩივრით, ორგანიზაცია ითხოვდა მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, რადგან მის ქმედებაში ვლინდებოდა თანასწორობის პრინციპის დარღვევა და ძალადობის

მსხვერპლის მიმართ დისკურიმინაციული მიდგომა, ასევე დაზარალებულისადმი დამამცირებელი და დამცინავი დამოკიდებულება, რაც არ შეესაბამებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს და ზიანს აყენებდა სასამართლოს ავტორიტეტს. თავის მხრივ, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საჩივარზე დაასრულა მოკვლევა, მოამზადა დასკვნა და გადაუგზავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ანალიტიკურ დოკუმენტზე მუშაობის დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღნიშნული განხილული. თავად დასკვნის შინაარსი „უფლებები საქართველოსთვის“ უცნობია, რადგან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა უარი განაცხადა მის მოწოდებაზე.<sup>113</sup> საბოლოოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, პრაქტიკაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ასეთი სტრატეგიული სამართალწარმოების ეფექტიანობა. თუმცა მოსამართლეების დამოკიდებულებებზე და შემდგომ ქმედებებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის მიმართვას და დისციპლინური სამართალწარმოების ინიციირებას, ნამდვილად აქვს ე.წ. „მსუსხავი“ ეფექტი მოსამართლეთა ქცევაზე და დადებითად აისახება სასამართლო განხილვისას გენდერულად მგრძნობიარე და დაზარალებულის ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნის მხრივ.

<sup>113</sup> „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა ინსპექტორის უარი დასკვნის ორგანიზაციისთვის გადაცემაზე გაასაჩივრეს სასამართლოში. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე არ მიიღო წარმოებაში, თუმცა სააპელაციო საჩივრის შედეგად, საკითხი განსახილველად კვლავ დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად. 2023 წლის 17 ნოემბრის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლომ შეწყვიტა საქმისწარმოება იმ მოტივით, რომ ამ ტიპის დავები არ ხვდებოდა საერთო სასამართლოების იურისდიქციაში.

## 10. ობახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვები

ბავშვთა მიმართ ძალადობა თანამედროვე რეალობაში ჯერ კიდევ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს არამხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულმა ცალკეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კვლევამდე ერთი წლის განმავლობაში, 2-დან 17 წლამდე ბავშვების ნახევარზე მეტი გახდა ემოციური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.<sup>114</sup> ამასთან, ბავშვები თავისთავად უკვე მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, რასაც მოძალადეებიც აქტიურად იყენებენ თავის სასარგებლოდ და დანაშაულის დასაფარად. სწორედ ამიტომ, ბავშვთა მიმართ ძალადობა გამოვლენის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. მაგალითისთვის, გლობალური მონაცემების მეტაანალიზის შესაბამისად, ბავშვების მიერ გაცხადებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევები 75-ჯერ, ხოლო სექსუალური ძალადობის შემთხვევები 30-ჯერ აღემატება ოფიციალურ ანგარიშებში დაფიქსირებულ მონაცემებს.<sup>115</sup>

ბავშვთა მიმართ ძალადობის დაფარული და შეუმჩნეველი ხასიათი კიდევ უფრო მწვავედ ჩანს ოჯახში ძალადობის საქმეებში. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული სოციალური კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახებში, სადაც ადგილი აქვს ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ბავშვები ასევე ექვემდებარებიან არასათანადო მოპყრობას.<sup>116</sup> თავის მხრივ, არასათანადო მოპყრობა (მათ შორის ძალადობრივი დასჯა) მოიცავს ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ/ემოციურ ძალადობას; მშობლების, მზრუნველების და სხვა ავტორიტეტული პირების მიერ ჩვილების,

<sup>114</sup> Hillis S., Mercy J., Amobi A., Kress H., Global Prevalence of Past-year Violence Against Children: A Systematic Review and Minimum Estimates, *Pediatrics* (Evanston), 2016-03, Vol.137 (3), p.e20154079-e20154079.

<sup>115</sup> Stoltenborgh M., van IJzendoorn M.H., Euser E., Bakermans-Kranenburg M. J., A Global Perspective on Child Sexual Abuse: Meta-Analysis of Prevalence Around the World, *Child Maltreatment*, 2011, 16(2), 79-101. Stoltenborgh, M., Bakermans-Kranenburg, M. J., Van IJzendoorn, M. H., & Alink, L. R., Cultural-geographical differences in the occurrence of child physical abuse? A meta-analysis of global prevalence, *International Journal of Psychology*, 2013, 48(2), 81-94.

<sup>116</sup> მაგალითისთვის იხილეთ: Brigitte Gilbert, Anna Stewart, Emily Hurren, Simon Little, and Troy Allard, Dual-system Involvement: Exploring the Overlap Between Domestic and Family Violence and Child Maltreatment Perpetration, *Journal of Interpersonal Violence*, Volume 37, Issue 9-10, May 2022, 6733-6759.

ბავშვებისა და მოზარდების უგულებელყოფას, რაც ყველაზე ხშირად ხდება სახლში, თუმცა, ხშირია უგულებელყოფის შემთხვევები სკოლებსა და თავშესაფრებში.<sup>117</sup>

გარდა იმისა, რომ ბავშვები შეიძლება გახდნენ პირდაპირი ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი, მათზე არაპირდაპირ გავლენას ახდენს ოჯახის წევრების ურთიერთ ძალადობაც.<sup>118</sup> მეტიც, ძალადობის ფაქტის შესწრება, როდესაც ბავშვი ძალადატანებით ან შემთხვევით გახდება ორ ან მეტ პირს შორის ძალადობის თვითმხილველი, უნდა შეფასდეს, როგორც ემოციური ან ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა.<sup>119</sup>

ამ მხრივ, საქართველოში არსებული რეალობა განსაკუთრებით მწვავეა, რადგან საზოგადოებაში ბავშვებზე ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების წილი მაღალია. მეტიც, მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი დისციპლინური მეთოდების გამოყენება, არაძალადობრივ მეთოდებთან შედარებით, უფრო კარგ შედეგს იძლევა.<sup>120</sup> მოცემულობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ არასრულწლოვანის მიმართ ოჯახში განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს შიდა ოჯახურ და პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა თავშეკავებით ეკიდება ოჯახის საქმეებში უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების ჩარევის შესაძლებლობას, ოჯახში ძალადობის შემთხვევაშიც კი.<sup>121</sup>

განსაკუთრებით საგანგაშოა, საზოგადოების უნდობლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მიმართ: მოსახლეობის 90%-ზე მეტს არ სჯერა, რომ ბავშვებზე

<sup>117</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად, 2016, თარგმნილია ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის (ISC) მიერ, 2019, 14. ხელმისაწვდომია: <https://inspire-strategies.org/sites/default/files/2020-06/Georgian.pdf> ნანახია: 23.05.2024.

<sup>118</sup> მარინა მესხი, ბავშვის მიმართ ძალადობა, საჭიროებების კვლევა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018, 9.

<sup>119</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად, 2016, თარგმნილია ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის (ISC) მიერ, 2019, 14. ხელმისაწვდომია: <https://inspire-strategies.org/sites/default/files/2020-06/Georgian.pdf> ნანახია: 23.05.2024.

<sup>120</sup> ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013, 12-13.

<sup>121</sup> იგივე, 13.

სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები შეიძლება იყვნენ მშობლები ან ოჯახის წევრები.<sup>122</sup> ამგვარი მიდგომა კი კიდევ უფრო ართულებს, ოჯახში ბავშვებზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის გამოვლენის შესაძლებლობას და შემდგომ ეტაპზე მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს ქმნის.

ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობა მწვავედ აისახება მის შემდგომ ცხოვრებაზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. ადრეულ ასაკში მიღებულმა ძალადობის გამოცდილებამ შეიძლება დააზიანოს ტვინის განვითარება და ნერვული სისტემის სხვა ნაწილები, ასევე, ენდოკრინული, სისხლის მიმოქცევის, ძვალ-კუნთოვანი და რეპროდუქციული, რესპირატორული და იმუნური სისტემები. ჯანმრთელობის ეს პრობლემები, შესაძლოა, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდეს. არსებობს მტკიცებულებები, რომ ბავშვებზე ძალადობა ზრდის სხეულის დაზიანების, აივ-ინფექციის და სექსუალური გზით გადამდები სხვა ინფექციების, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, კოგნიტური განვითარების შეფერხების, დაბალი აკადემიური მოსწრების, სკოლიდან გარიცხვის, ადრეული ორსულობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების, გადამდები და არაგადამდები დაავადებების განვითარების რისკს.<sup>123</sup>

ამ შედეგების და რისკების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის, შემთხვევების იდენტიფიცირების და შემდგომი რეაგირების კუთხით. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას, პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ ასპექტზე როგორიცაა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, რაც შემდგომში მათი უფლებების და ინტერესების დაცვის ეფექტიან ბაზისად უნდა იქცეს. ცალკე საკითხია, მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანი დაზარალებულების დაცვა მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან, რადგან

<sup>122</sup> იგივე.

<sup>123</sup> ციტირებულია: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად, 2016, თარგმნილია ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის (ISC) მიერ, 2019, 15. ხელმისაწვდომია: <https://inspire-strategies.org/sites/default/files/2020-06/Georgian.pdf> ნანახია: 23.05.2024.

ისინი ისედაც მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, რაც კიდევ უფრო დამძიმებულია მიღებული ტრავმის გათვალისწინებით.

#### 10.1. ძალადობის/ფემიციდის თვითმხილველი ბავშვების დაზარალებულად ცნობა

ბავშვებზე მძიმედ აისახება მათი მშობლების ან/და ოჯახის სხვა წევრების ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ურთიერთ ძალადობის ხილვა. ეს ზრდის შიშის განცდას, იწვევს ტრავმირებას და უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე.<sup>124</sup> შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები არიან ის ბავშვებიც, რომლებიც, მართალია, უშუალოდ არ წარმოადგენდნენ ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის ობიექტებს, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლებად იქცნენ ასეთი ფაქტების ხილვით. სწორედ ამიტომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოებმა ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას უნდა მიმართონ, რათა მსხვერპლისთვის დაცვისა და დახმარების მომსახურების გაწევისას სათანადო იყოს გათვალისწინებული ყველა ფორმის ძალადობის მოწმე ბავშვების უფლებები და საჭიროებები.<sup>125</sup> კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი „მოწმე ბავშვები“ გულისხმობს არამარტო ძალადობის შემთხვევის შემსწრე ბავშვებს, იგი მოიცავს მათაც, რომლებსაც ესმით ძალადობით გამოწვეული ყვირილი და სხვა ხმები, როდესაც ახლომახლო იმაღებიან. ტერმინი ასევე აერთიანებს ამგვარი ძალადობის გრძელვადიანი შედეგების მსხვერპლ ბავშვებს. სახელმწიფოებს კი მოეთხოვებათ, რომ დროულად გადაწყვიტონ ასეთი ბავშვების დაზარალებულად ცნობის პრობლემა და უზრუნველყონ მათი მხარდაჭერა.<sup>126</sup> ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ასეთ ბავშვებს

<sup>124</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, para 143.

<sup>125</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 26, para 1.

<sup>126</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, para 144.

მომავალში ძალადობის საფრთხე ემუქრებათ, რაც განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს, როდესაც ოჯახში ძალადობის საქმე მართლმსაჯულების სისტემაში აღმოჩნდება. ამ დროს იზრდება რისკი, რომ მომალადემ გაამძაფროს ძალადობა ან მიმართოს ბავშვებისკენ.<sup>127</sup>

საქართველოს სახალხო დამცველი ფემიციდის საქმეების მონიტორინგის 2020 წლის სპეციალურ ანგარიშში საქართველოს პროკურატურის მხრიდან წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს მოკლული ქალების იმ მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი შვილების დაზარალებულად ცნობას, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის შემთხვევას ან გაიგონეს მსხვერპლის ხმა.<sup>128</sup> თუმცა ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად წინსვლისა და განვითარებისა, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებული ცალკეული სტრატეგიული საქმეების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ საქართველოს პროკურატურა თავს იკავებდა ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანების დაზარალებულად ცნობისგან. მაგალითად, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ბოდბეში მომხდარი ფემიციდის საქმეზე, სადაც არასრულწლოვანი შვილი ფაქტობრივად შეესწრო მამის მიერ დედის მკვლელობის ფაქტს. საქართველოს პროკურატურა თავს იკავებდა ბავშვის დაზარალებულად ცნობისგან. უწყებამ არასრულწლოვან შვილს დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ მას შემდეგ მიანიჭა, რაც საქმეში „უფლებები საქართველოს“ ადვოკატები ჩაერთნენ და არაერთგზის მოითხოვეს აღნიშნული. სხვა საქმეში საქართველოს პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსი არ მიანიჭა არასრულწლოვან შვილებს, რომლებიც დედასთან ერთად საზოგადოებრივ ტრანსპორტში იმყოფებოდნენ, როდესაც მამამ ის ცივი იარაღით მოკლა. სამწუხაროდ, ს.კ.-ის ფემიციდის საქმეში ორგანიზაციის ადვოკატები მოგვიანებით,

<sup>127</sup> ჩონდრი შ., ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისთვის, 2018, 40. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/methodology-womens-access-to-justice-geo-pgg/16809c8285> ნანახია: 18.02.2024.

<sup>128</sup> ამის მაგალითად საქართველოს სახალხო დამცველს მოაქვს გორის რაიონული სასამართლოს ცალკეული საქმეები, მათ შორის, იმ ბავშვების დაზარალებულად ცნობის შესახებ, რომლებიც არათუ შეესწრნენ დანაშაულს, არამედ შორიდან გაიგეს ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმა, როდესაც მამამ დედა მოკლათ. იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2021, 40.

ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf> ნანახია: 23.05.2024.

სააპელაციო ეტაპზე ჩაერთნენ და ამ კუთხით სტრატეგიული მხარდაჭერის განხორციელება პროცესუალურად დაგვიანებული იყო.

ნიშანდობლივია, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანი შვილების დაზარალებულად ცნობა არსებითად მნიშვნელოვანია, როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინტერესებისათვის, ასევე მომავალში ზიანის ანაზღაურების მიზნით სამოქალაქო დავის საწარმოებლად. ერთი მხრივ, არასრულწლოვანების დაზარალებულად ცნობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებრივი გარანტიებით აღჭურვასთან ერთად, მნიშვნელოვან ბაზისს ქმნის ბავშვის დასაცავად პროცესის დროს მეორეული ვიქტიმიზაციისგან. ამასთან, ეს შეიძლება გახდეს საფუძველი არასრულწლოვანისთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად მიყენებული ზიანის განსასაზღვრად. მეორე მხრივ, საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება და დაზარალებულის სტატუსი, არასრულწლოვანს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოოს საქმე მიყენებული ზიანის სამოქალაქო წესით ასანაზღაურებლად.

## 10.2. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპზე

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში უმთავრეს საერთაშორისო სტანდარტს აფუძნებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომლის ძირითად პრინციპად მე-3 მუხლში განსაზღვრულია, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.<sup>129</sup> ეს პრინციპი მიმართულია, მათ შორის, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართულ არასრულწლოვანებზე, როგორც ბრალდებულებზე/მსჯავრდებულებზე, ისე დაზარალებულებსა და მოწმეებზე. ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში ასახა არასრულწლოვანი მსხვერპლების

<sup>129</sup> UN Convention on the Rights of the Child, General Assembly resolution 44/25, 20 November 1989, article 3, para 1.

მართლმსაჯულების პროცესში მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დაცვის გარანტიები. აღსანიშნავია გაეროს 2005 წლის რეზოლუციით დამტკიცებული სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით განხორციელებული მართლმსაჯულების შესახებ.<sup>130</sup> მსხვერპლი ბავშვების მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის სტანდარტი, როგორც პრინციპების, ისე გარანტიების დონეზე აისახა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სტანდარტების დონეზე განმტკიცებული არასრულწლოვანი დაზარალებულების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვისთვის აუცილებელი ყურადღება უნდა მიექცეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელების გარემოს და არსებულ ინფრასტრუქტურას. მეტიც, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ბავშვის უფლება, რომ მოუსმინონ მას, დაკავშირებულია გარემოსთან. კერძოდ, ბავშვს ეფექტიანად ვერ მოუსმენენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელ გარემოში. ხელმისაწვდომი და ბავშვზე მორგებული პროცესის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო დარბაზების დიზაინს, მოსამართლეებისა და ადვოკატების ჩაცმულობას, ეკრანებსა და განცალკევებულ მოსაცდელ ოთხებს.<sup>131</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ სამეფო სასამართლოს ოფიციალური და რიტუალური გარემო შემაშინებელი და ბუნდოვანი იყო ბავშვისთვის, რის გამოც მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით.<sup>132</sup> გარდა ამისა, კვლევებმა აჩვენა, რომ გარემო, სადაც ბავშვი იკითხება, გავლენას ახდენს

<sup>130</sup> UN Economic and Social Council (ECOSOC) Resolution 2005/20, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime.

<sup>131</sup> Committee on the Right of the Child, General Comment No. 12 (2009), The right of the child to be heard, CRC/C/GC/12, 20 July 2009, para. 34.

<sup>132</sup> T. v. The United Kingdom, European Court of Human Rights, Application no. [24724/94](#), 16 December 1999, para. 86.

კომუნიკაციაზე, კონცენტრაციასა და მებსიერებაზე, განსაკუთრებით კი სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე.<sup>133</sup>

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა ჩატარდეს კომფორტულ, მოსახერხებელ და დაცულ სივრცეში, მისი ასაკის, სიმწიფის და კოგნიტიური შესაძლებლობების გათვალისწინებით. აღნიშნული სივრცე უნდა იყოს ცალკე მოწყობილი, იზოლირებული და დამატებით ხმაურს მოკლებული, რათა გამოკითხვის დროს არავინ შეაწუხოს ბავშვი, არავინ ჩაერიოს პროცესში და თავიდან იყოს აცილებული დამატებითი, გაუთვალისწინებელი კონტაქტი. სივრცე თავისუფალი უნდა იყოს ოფიციალური და რიტუალური კომპონენტებისგან, რომ არ გამოიწვიოს ბავშვის დაშინება და არ შეუქმნას მას ბუნდოვანი გარემო. ამის საპირისპიროდ, სპეციალური გამოსაკითხი/დასაკითხი სივრცე უნდა იყოს ბავშვზე მორგებული და არ უნდა იპყრობდეს ზედმეტ ყურადღებას. ოთახში შეიძლება იყოს ბავშვის ასაკის და სქესის შესაბამისი ნივთების მცირე რაოდენობა, მაგალითად, სახატავი ფურცლები და ფანქრები. თუმცა მათი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ბავშვის დაძაბულობის მოსახსნელად და დასამშვიდებლად.<sup>134</sup>

სამწუხაროდ, საქართველოში უკვე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ვერც საგამოძიებო ორგანოები და ვერც სასამართლო სისტემა<sup>135</sup> ვერ უზრუნველყოფს სპეციალურ ინფრასტრუქტურულ გარემოს, რომელიც მიმართული იქნება ბავშვთა ინტერესების დაცვაზე და ასევე მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციაზე.<sup>136</sup> ამის

<sup>133</sup> ციტირებულია: ნათაძე მარიამი, ქელბაქიანი ანტონ, ფსიქოლოგთა როლი გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას, ანგარიში, 2020, 42.

<sup>134</sup> ასევე იხილეთ: მომიყევი რა მოხდა, დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა, სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2014, 72. ხელმისაწვდომია:

[https://elfiles.emis.ge/uploads/34385/conversions/Momiyevi\\_Ra\\_-Moxda-compressed.pdf](https://elfiles.emis.ge/uploads/34385/conversions/Momiyevi_Ra_-Moxda-compressed.pdf) ნანახია: 23.05.2024.

<sup>135</sup> გამონაკლისს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო, სადაც UNICEF-ის მხარდაჭერით მოწყობ ბავშვთა ინტერესების დაცვაზე მორგებული სპეციალური დასაკითხი ოთახი, რომელიც ასევე გამოიყენება ბავშვთა მოსაცდელ სივრცედ.

<sup>136</sup> იხილეთ: ნათაძე მარიამი, ქელბაქიანი ანტონ, ფსიქოლოგთა როლი გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას, ანგარიში, 2020, 42-44. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა, მომზადებულია ერთობლივად ორგანიზაციასთან - „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, 2020.

გათვალისწინებით პროცესში ჩართულ ადვოკატებს და პროფესიონალებს უწევთ დამატებითი ძალისხმევის გაწევა ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად. ამ კუთხით კი მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ განხორციელებული ცალკეული სტრატეგიული აქტივობების მიმოხილვა.

ერთ-ერთი სტრატეგიული საქმე შეეხებოდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ბოდბეში მომხდარ ფემიციდს, რომელსაც ფაქტობრივად შეესწრნენ მსხვერპლის არასრულწლოვანი შვილები. ორგანიზაციის ადვოკატების საქმეში ჩართვისთანავე, ნათელი გახდა, რომ ბავშვები იმყოფებოდნენ მძიმე ტრავმულ მდგომარეობაში და მათ მიმართ აუცილებელი იყო ფრთხილი და ყურადღებიანი მიდგომა მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად. გამოძიების ამ ეტაპზე ბავშვები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოკითხულები, თუმცა მათ ჰქონდათ სურვილი და მზაობა მიეწოდებინათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამართალდამცავი უწყებისთვის, მაგრამ არ უნდოდათ უშუალოდ პოლიციის განყოფილებაში მისვლა. აღნიშნულის და პოლიციის შენობებში არსებული ინფრასტრუქტურული გარემოს გათვალისწინებით, ორგანიზაციის ადვოკატებმა მიმართეს საგამოძიებო ორგანოს და მოითხოვეს ბავშვების გამოკითხვა შესაბამის სენსიტიურ და ნაკლებად მატრავმირებელ სივრცეში, „უფლებები საქართველოს“ ოფისში. საგამოძიებო ორგანომ მხედველობაში მიიღო ეს მოთხოვნა და გაითვალისწინა, რომ ორგანიზაციის სამუშაო სივრცე ბავშვებისთვის ნაცნობი იყო და ისინი არაერთხელ ნამყოფები იყვნენ ოფისში. შესაბამისად, არასრულწლოვანების პირველადი გამოკითხვა განხორციელდა „უფლებები საქართველოს“ ოფისში, მათ ინტერესებზე მორგებულ ინფრასტრუქტურულად და პროფესიონალურად დაცულ გარემოში. ადვოკატების მოთხოვნის საფუძველზე, გამოკითხვის პროცესს ასევე ესწრებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლები, კერძოდ, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. გარდა ამისა, ამავე საქმეში აუცილებელი გახდა მსხვერპლის ერთ-ერთი არასრულწლოვანი შვილის მობილურიდან მიმოწერის ამოღება, რადგან მოკლული ქალი დედამთილთან და ქმართან კომუნიკაციის დროს ასევე იყენებდა ამ ტელეფონს. „უფლებები საქართველოს“ ადვოკატების ჩართულობით და

ორგანიზებით, მობილური ტელეფონიდან კორესპონდენციის ამოღება განხორციელდა ასევე ორგანიზაციის ოფისში, ბავშვისათვის ნაკლებად მატრავმირებელ და მშვიდ გარემოში, რამაც ასევე ხელი შეუწყო ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.

ამავე საქმეში, ასევე ნიშანდობლივია, ერთი გარემოება, რომელიც უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატების სტრატეგიული მუშობის ეფექტიანი შედეგი. კერძოდ, ბავშვებმა, შეხვედრის და მათი ტელეფონებიდან მიმოწერის ამოღების შემდეგ, განაცხადეს, რომ სასამართლოში მისვლა, იმავე საკითხებზე კიდევ ერთხელ საუბარი და მამის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მათთვის იქნებოდა ძალიან რთული და მტკივნეული. აქვე, გასათვალისწინებელი იყო საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მაგალითად, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციით დადგენილი წესი, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვებისგან მტკიცებულებების შეგროვების ისეთი პროცედურების რაოდენობა, როგორიცაა, გამოკითხვა, დაკითხვა, მოსმენა და, ასევე, მართლმსაჯულების პროცესთან ნებისმიერი არააუცილებელი შეხება.<sup>137</sup> შესაბამისად, ამ საკითხზე ორგანიზაციის ადვოკატებმა კონსულტაციები გამართეს საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებთან, რომელთა შემდგომმა რეაგირებამ და ბრალდებულის ადვოკატთან კომუნიკაციამ შესაძლებელი გახადა, რომ მათ ბავშვების ჩვენებები უდავოდ გახადეს და, შესაბამისად, ფემიციდის მსხვერპლის შვილების სასამართლოში დაკითხვა აღარ გახდა საჭირო.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანი დაზარალებულების გამოსაკითხი მეგობრული და სენსიტიური სივრცით უზრუნველყოფის გამოწვევების წინაშე დგას არამხოლოდ საპოლიციო, არამედ სასამართლო სისტემაც. არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ ერთ-ერთ სტრატეგიულ საქმეში უზრუნველყოფდა არასრულწლოვანი გოგოს ე.ვ.-ის სამართლებრივ მხარდაჭერას.

<sup>137</sup> UN Economic and Social Council (ECOSOC) Resolution 2005/20, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, para. 31 (a).

გამოძიება მიმდინარეობდა ორ ნაწილად. ერთ შემთხვევაში, საქმე შეეხებოდა დედის მიერ არასრულწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. ხოლო, მეორე შემთხვევაში გამოძიება მიმდინარეობდა გოგოს მიმართ სექსუალური ძალადობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით. საქმეში გამოიკვეთა 9 წლის ბავშვის მძიმე ტრავმული მდგომარეობა, რომელიც, ფსიქოლოგების შეფასებით, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა მის გამოკითხვას სექსუალური ძალადობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით. გოგოს წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ასევე შეუძლებელი გახდა მის მიმართ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. არსებულ ვითარებაში, ასევე კრიტიკულად მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, სათუო იყო მის მიერ დედის წინააღმდეგ სასამართლო განხილვისას ჩვენების მიცემა. ამის გათვალისწინებით, „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა მიმართეს საქმის განმხილველ მოსამართლეს და მოითხოვეს, რომ არასრულწლოვანის დაკითხვა მომხდარიყო დისტანციურად, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის შექმნილი ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრიდან,<sup>138</sup> ფსიქოლოგის და სხვა შესაბამისი სპეციალისტების მხარდაჭერით. ფსიქოლოგი ადრევე ჩაერთო საქმეში და ორგანიზაციის ადვოკატებთან ერთად დაკითხვამდე უზრუნველყო ბავშვის მომზადება სასამართლო განხილვისთვის და, ასევე, შესაბამის სივრცესთან ადაპტაციის მიზნით, წინასწარ განახორციელა ეფექტიანი მოქმედებები. „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა, ასევე, სასამართლოს წარუდგინეს არასრულწლოვანის მშობლების სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი მასალები, რომლითაც დასტურდებოდა დედის უარყოფითი დამოკიდებულება შვილისადმი. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზარალებული ბავშვის ადვოკატების ინიციატივით და საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებული დედის დარბაზიდან გაყვანის და დაკითხვის მისი

---

<sup>138</sup> იხილეთ: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 სექტემბრის N1825 განკარგულებით მოწონებული „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია“.

დასწრების გარეშე განხორციელების შესახებ.<sup>139</sup> ზემოთ აღნიშნულმა მოქმედებებმა ერთობლიობაში გამოიღო შედეგი და, ერთი მხრივ, 9 წლის ბავშვმა შეძლო, სასამართლოსთვის მიეცა ჩვენება და, მეორე მხრივ, მოხერხდა მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს მოწმე/დაზარალებული ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის ისეთ მექანიზმებს, როგორიც არის დისტანციური დაკითხვა და ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაყვანა. თუმცა სტრატეგიული სამართალწარმოების განსაკუთრებულ მონაპოვრად უნდა შეფასდეს ის პრაქტიკა, რომლითაც შესაძლებელი გახდა ბავშვების გამოვითხვა პოლიციის მატრავმირებელი ინფრასტრუქტურის გარეთ, უსაფრთხო და სენსიტიურ სივრცეში (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში) და სასამართლო დაკითხვის განხორციელება ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის შექმნილი ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრიდან (ე.წ. „ბარნაჟუსიდან (Barnahus)).

<sup>139</sup> საქართველოს კანონის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 24-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები ითვალისწინებს, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი დისტანციური დაკითხვის, ასევე, ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესაძლებლობას. თუმცა სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად უნდა შეფასდეს სპეციალური ცენტრიდან ბავშვის დაკითხვის განხორციელება, ფსიქოლოგების და სხვა სპეციალისტების აქტიური ჩართულობით.

## 11. მამობის დადგენა

მამობის დადგენა ერთი მხრივ, მიმართულია ბავშვის პიროვნული თვითგამორკვევისკენ და ვინაობის ძირითად ასპექტს წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ქალებისთვის/დედებისთვის, რადგან საფუძველს ქმნის შემდგომი სამართალწარმოებისთვის, მამისგან მიიღონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა ალიმენტის სახით. ბავშვის უფლება, იცოდეს მისი ბიოლოგიური მამის შესახებ ინფორმაცია, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლში, თავისუფალი განვითარების უფლების სახით. ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აღნიშნულ უფლებას მოიაზრებს მე-8 მუხლში. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ ბავშვის სამართლებრივი კავშირის დადგენა ბიოლოგიურ მშობელთან წარმოადგენს პიროვნული იდენტობის თვითგამორკვევას და პირადი ცხოვრების უფლების ნაწილს.<sup>140</sup> თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის თვითგამორკვევის საპირისპიროდ, სავარაუდო და პოტენციურ მამას აქვს უფლება, რომ მიეცეს შესაძლებლობა, უარყოს ბავშვის მშობლობა შესაბამისი სამეცნიერო მტკიცებულების წარდგენის საშუალებით.<sup>141</sup>

მამობის დადგენის და ალიმენტის დაწესების საკითხი განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ძალადობაგამოვლილ ურთიერთობებში. კაცები, როგორც წესი, მათ მიმართ ადმინისტრაციული შემაკავებელი მექანიზმების გამოყენების, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ, ჯერ უარს ამბობენ შვილების აღიარებაზე და შემდგომ, ასევე, მათ აღზრდა-განვითარებაში მონაწილეობასა და ალიმენტის გადახდაზე. საკითხის პრობლემურობა კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოში აქტიურად დგას ქალებზე ეკონომიკური ძალადობის პრობლემა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ქალები ვერ ახერხებენ მართლმსაჯულების პროცესის ინიციირებას მოძალადე ქმრების/პარტნიორების წინააღმდეგ, სწორედ მათზე ეკონომიკური

<sup>140</sup> Mennesson v. France, European Court of Human Rights, Application no. 65192/11, 26 June 2014, para. 96.

<sup>141</sup> Mizzi v. Malta, European Court of Human Rights, Application no. 26111/02, 12 January 2006, para. 112.

დამოკიდებულებით და შემდგომი ფინანსური პრობლემების შიშით არის განპირობებული.

ამის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოში ყველა ქალისთვის ხელმისაწვდომი იყოს პრაქტიკული და ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები, ერთი მხრივ, მამობის დასადგენად და, მეორე მხრივ, შვილების აღზრდისთვის ალიმენტის დაწესებისა და აღსრულებისთვის.

საქართველოში მამობის დადგენას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1189-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ხოლო 1190-ე მუხლში მითითებულია, რომ ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით. ხოლო მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს. თუ ამით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

ნიშანდობლივია, რომ არსებული რეგულირება, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის მამობის დადგენას სასამართლოს მეშვეობით, ბიოლოგიური ან ანთროპოლოგიური ექსპერტიზის გამოყენებით, ქალებს მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. კერძოდ, სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში ჩასატარებელი სასამართლო ექსპერტიზის ხარჯები წარმოადგენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს,<sup>142</sup> რომლის ოდენობაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით, დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური მშობლობის (ცოცხალი პირის მიმართ) დადგენისას, განისაზღვრება 2000 ლარის ოდენობით.<sup>143</sup> პრაქტიკაში, როგორც წესი, ამ ხარჯების გადახდა უწევთ იმ ქალებს, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ მამობის დასადგენად. ხოლო საქართველოს კანონმდებლობა კი მხოლოდ ბაჟის მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს. უკეთეს შემთხვევაში, სასამართლო განხილვის წარმატებით დასრულების შემდგომ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საპროცესო ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება მეორე მხარეს, ბავშვის მამას.<sup>144</sup> თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ვლინდება არაერთი პრაქტიკული გამოწვევა, რომელიც უკავშირდება ზემოთ აღნიშნულის აღსრულების საკითხს.<sup>145</sup>

კვლევებმა აჩვენა, რომ ქალებისთვის მართლმსაჯულების პროცესზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა მამობის დადგენის მიზნით ჩასატარებელი საექსპერტო მოსაკრებლის გადახდა. მმიმე ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალები ხშირად უარს ამბობენ მამობის დადგენის მიზნით სასამართლოსთვის მიმართვაზე ან ამისთვის იღებენ დამატებით სასესხო ვალდებულებას, ან დროით შუალედს დამატებითი სამუშაოს შესასრულებლად და თანხების მოსაგროვებლად.<sup>146</sup>

<sup>142</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>143</sup> საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №14 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები“.

<sup>144</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>145</sup> იხილეთ: სიჭინავა ელენე, ნუცუბიძე მაკა, ჩუთლაშვილი ქეთი, საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება განქორწინებისა და მამობის დადგენის საქმეებზე, ილიას სამართლის სახლი (ილიასი), 2023, 26.

<sup>146</sup> იგივე, 21-29.

„უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებული ორი სტრატეგიული საქმიდან, ერთ შემთხვევაში, სავარაუდო მამამ აღიარა ბავშვის ბიოლოგიური მშობლობა და შესაბამისად, ექსპერტიზის ჩატარება არ გახდა საჭირო. მეორე საქმეში, რომელიც შეეხებოდა ქ.მ.-ის შვილის ბიოლოგიური მამის დადგენას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ გაითვალისწინა ორგანიზაციის ადვოკატების არგუმენტაცია და მამობის დასადგენად საჭირო საექსპერტო ხარჯების წინასწარ გაღება განჩინებით დაავალა სავარაუდო და პოტენციურ მამას.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამ განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ შექმნა უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი, რომლის თანახმადაც, მამობის დადგენის საქმეში, როდესაც სავარაუდო და პოტენციური მამა არ ცნობს სარჩელს და საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, მანვე უნდა გაიღოს ხარჯი იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც მისი რწმენით უზრუნველყოფს გენეტიკური მშობლობის არ არსებობის დადასტურებას. ასეთ შემთხვევაში კი სავარაუდო მამას, როგორც თავად მტკიცებულების წარდგენის ინიციატორს, დაეკისრება ექსპერტიზისთვის საჭირო თანხების გადახდევინების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

## **12. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა შვილების საგანმანათლებლო მიზრაცია**

ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი შვილები მოძალადეების მხრიდან ხშირად ხდებიან განგრძობადი დევნის, ფსიქოლოგიური, მორალური თუ ეკონომიკური შევიწროების ობიექტები. ადმინისტრაციული თუ სისხლისამართლებრივი სამართალწარმოების ინიციირების საპასუხოდ მოძალადე კაცები ხშირად იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს და მექანიზმს ქალებზე შურისძიებისთვის. მათ შორის ხშირია მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდაც კი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და ახალ, უსაფრთხო ადგილას გადასვლა. იმ პირობებში, როდესაც აუცილებელი ხდება მოძალადე მშობლისგან ბავშვების გარიდებაც, ისინი დედასთან ერთად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. საცხოვრებელი ადგილის ცვლილებას კი თან სდევს სკოლის შეცვლის საჭიროებაც. ეს ხშირად პრობლემას წარმოადგენს, რადგან ამისთვის საჭიროა მოძალადე მშობლის თანხმობა.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ ადვოკატების ჩართულობით წარმოებული ს.კ.-ის სტრატეგიული საქმე. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ს.კ. წლების განმავლობაში საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო წასული სამუშაოდ, ხოლო შვილი მეუღლესთან, ბავშვის მამასთან ჰყავდა დატოვებული. ამ პერიოდში ის სისტემატურად განიცდიდა ქმრის მხრიდან ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. მამა ასევე არ ახორციელებდა ბავშვის მოვლისა და ზრუნვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათ შორის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რასაც მუდმივად თან სდევდა ბავშვის ინტერესების დაცვის უგულებელყოფა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ს.კ. დაბრუნდა ემიგრაციიდან, შვილი წამოიყვანა მეუღლის ოჯახიდან და ისინი საცხოვრებლად კახეთის რეგიონიდან იმერეთში გადავიდნენ. ქმრის მხრიდან მომდინარე ძალადობის აღსაკვეთად, ქალის

ინიციატივით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ასევე, გამოიცა შემაკავებელი ორდერი.

ნიშანდობლივია, რომ მამასთან ცხოვრების დროს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან ერთად, ასევე უგულებელყოფილი იყო ბავშვის საგანმანათლებლო უფლების განხორციელება. არასრულწლოვანი ხშირად აცდენდა სკოლას და ჩამორჩებოდა სასწავლო პროგრამას. დედასთან გადასვლის და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა არასრულწლოვანის იმერეთის რეგიონის ერთ-ერთ სკოლაში გადაყვანის საკითხიც. თუმცა დედამ ვერ შეძლო ამის განხორციელება, რადგან სკოლის დირექტორი უარს ამბობდა ბავშვის სკოლიდან გადაყვანაზე, მამის თანხმობის არ არსებობის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა აღნიშნული საკითხი გაასაჩივრეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, საკითხის დადებითად გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

არსებულ ვითარებაში, ერთი მხრივ, არასრულწლოვანი განიცდიდა სტრესს, რომ ვერ დადიოდა სკოლაში და ვერ ახერხებდა ყოველდღიურ სოციალიზაციას თანატოლებთან. მეორე მხრივ, არსებითად იზღუდებოდა მისი განათლების უფლება. მეტიც, გაცდენების რაოდენობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მალე დადგებოდა ბავშვის კახეთის რეგიონის სკოლიდან გარიცხვის საკითხი. ამის გათვალისწინებით, „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებმა მიმართეს რაიონულ სასამართლოს მშობლის უფლების შეზღუდვის მოთხოვნით. თუმცა სამართალწარმოების დროში სავარაუდოდ გახანგრძლივების და ბავშვის საგანმანათლებლო უფლების შეზღუდვით გამოწვეული ყოველდღიური ზიანის გათვალისწინებით, ადვოკატებმა შეიმუშავეს სტრატეგია, სასარჩელო მოთხოვნის განხილვის ფარგლებში შუამდგომლობით მიმართეს რაიონული სასამართლოს მოსამართლეს და მოითხოვეს დროებითი განკარგულების გამოცემა, განათლების მიღების ნაწილში მშობლის უფლების შეზღუდვის მიზნით. შუამდგომლობის განხილვისას, მოსამართლემ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბავშვის უფლების შეზღუდვაზე სწრაფად და ეფექტურად რეაგირების მიზნით. მოსამართლემ

გაითვალისწინა ბავშვის საუკეთესო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მამის კატეგორიული წინააღმდეგობა სკოლის შეცვლაზე, ასევე მოცემულობა, რომ ბავშვი სკოლას უკვე ერთი თვის განმავლობაში აცდენდა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მამას დროებით შეუზღუდა მშობლობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განათლების მიღების ნაწილში.

მოგვიანებით ამავე მოსამართლემ, გაითვალისწინა მოძალადე კაცის მიერ მშობლობის უგულებელყოფის წინარე პრაქტიკა, ბავშვის საგანმანათლებლო უფლების სრულიად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ყოველგვარი გამართლების გარეშე. მან, ასევე, იხელმძღვანელა ბავშვის უფლებათა კონვენციით და საქართველოს კანონის, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში ორივე მშობლის საერთო და თანაბარი მონაწილეობის პრინციპით, გაითვალისწინა უშუალოდ ბავშვის მოსაზრება და სურვილი და, საბოლოოდ, მამას შეუზღუდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლება შვილის მიმართ განათლების მიღების (მობილობის) ნაწილში.

აღნიშნული სამართალწარმოება სტრატეგიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, დროებითი განვარგულების მეშვეობით, მშობლის უფლების შეჩერების ნაწილში. ნიშანდობლივია, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის მიზნით შეტანილ სარჩელზე სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო განჩინებით უფლების დროებით შეზღუდვიდან თითქმის 10 თვის შემდეგ. შესაბამისად, ამ ეფექტიანი მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვის გარეშე, ფაქტობრივად ბავშვის საგანმანათლებლო უფლება ისეთი ინტენსივობით შეიზღუდებოდა, რომ დააზიანებდა არამხოლოდ უშუალოდ ბავშვის შესაძლებლობას განათლების მიღებაზე და პიროვნულ განვითარებაზე, არამედ ასევე გამოიწვევდა მის მორალურ და ფსიქოლოგიურ ტრავმირებას.

### 13. 802ნის ანაზღაურება

დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შემდეგ, როგორც წესი, ყველა დაზარალებულისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულები მიისწრაფვიან რესტიტუციისკენ, დანაშაულების დიდი ნაწილი ხშირად წარუშლელ კვალს ტოვებს მსხვერპლის ცხოვრებაზე, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური და მენტალური ჯანმრთელობის მხრივ და მორალური კუთხითაც. ასეთ შემთხვევაში მსხვერპლის მდგომარეობის დასაბალანსებლად, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი ფინანსური კომპენსაციის მიღებაა.

დაზარალებულისთვის კომპენსაცია შეიძლება, უკავშირდებოდეს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას. თუმცა გარდა სამართლებრივი და ეკონომიკური მიზნებისა, კომპენსაციას წმინდად ვიქტიმოლოგიური დანიშნულებაც აქვს. დამნაშავისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, მსხვერპლისთვის წარმოადგენს მისთვის მიყენებული არამხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური ზიანის არსებობის აღიარებასაც. ამის შემდეგ დაზარალებულს აღარ უწევს თავის მართლება და მსხვერპლად გახდომის მიზეზების თუ შე-დეგების მტკიცება. ერთი მხრივ, აღიარება და, მეორე მხრივ, ზიანის ანაზღაურება აძლიერებს დანაშაულის მსხვერპლს და ეხმარება ფსიქო-ემოციური ტრავმების დაძლევაში, მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაში.

თანამედროვე და განვითარებული მსოფლიო იცნობს დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას როგორც უშუალოდ დამნაშავისგან, ასევე - სახელმწიფოს მხრიდანაც. რა თქმა უნდა, კომპენსაციის მოთხოვნის უპირველეს ადრესატს უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი პირი წარმოადგენს, რადგან სწორედ ის არის მატერიალური თუ არამატერიალური ზიანის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი. თუმცა, პრაქტიკაში შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება დამნაშავის იდენტიფიცირება და მისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ან არასაკმარისი

მტკიცებულებების, თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ ადასტურებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბრალდებული გადახდისუუნაროა და შეუძლებელი ხდება მისთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების პრაქტიკული აღსრულება.<sup>147</sup> ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზიანის ანაზღაურების პროცესში შემოვიდეს სახელმწიფო, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას.

### 13.1. გიანის ანაზღაურება დანაშაულის ჩამოენი პირისგან

დანაშაულის შედეგები უმეტესად მძიმედ აისახება დაზარალებულთა მდგომარეობაზე. ფიზიკური დაზიანებები თუ ფსიქოლოგიური ტრავმები ხშირ შემთხვევაში შეიძლება, უკავშირდებოდეს შემდგომში ხანგრძლივადიანი და ძვირადლირებული მკურნალობის საჭიროებას, ასევე შრომითი ქმედუნარიანობის შეზღუდვას ან დაკარგვას, ან ტრავმული გამოცდილების გამო სამსახურებრივი საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობას. ამიტომ დაზარალებულის მიერ კომპენსაციის მიღება ღირსეული ცხოვრების შესანარჩუნებლად აუცილებელ წინაპირობად უნდა შეფასდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზარალებულის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე აისახა სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებში. დანაშაულისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ 1985 წლის გაეროს დეკლარაციის მე-8 პარაგრაფში განისაზღვრა, რომ დამნაშავემ დაზარალებულს, მის ოჯახსა ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს უნდა აუნაზღაუროს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი. ეს შეიძლება მოიცავდეს წართმეული ქონების უკან დაბრუნებას, მიყენებული ფიზიკური ზიანისთვის ან ზარალისთვის ფულად გადახდევინებას, ვიქტიმიზაციის შედეგების გამო გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, მომსახურების გაწევას და

<sup>147</sup> ციტირებულია: თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021, 39. ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.05.2024.

უფლებების აღდგენას.<sup>148</sup> უფრო მეტიც, დეკლარაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ გადახედონ კანონმდებლობას და პრაქტიკას, განიხილონ სისხლის სამართლის საქმეებზე უკვე არსებულ სანქციებზე კომპენსაციის სასჯელის სახით დამატების საკითხი.<sup>149</sup> სისხლის სამართლისა და პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის რეკომენდაციაშიც მითითებულია, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა შეეძლოს დამნაშავისთვის დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრება.<sup>150</sup> ამასთან, კანონმდებლობით კომპენსაცია შეიძლება წარმოადგენდეს სასჯელს, სისხლის სამართლებრივი სასჯელის შემცვლელს ან მის დამატებას.<sup>151</sup> თუ კომპენსაცია განისაზღვრება როგორც სასჯელი, მაშინ მისი გადახდევინება უნდა მოხდეს ჯარიმის მსგავსად და მის აღსრულებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბრალდებულისთვის დაკისრებულ სხვა ფინანსურ სანქციებთან მიმართებით.<sup>152</sup> დამნაშავის მიერ კომპენსაციის გადახდაზე ასევე საუბრობს ევროპის საბჭოს რეკომენდაცია დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, სერვისების და მხარდაჭერის შესახებ, რომლის თანახმადაც, წევრმა სახელმწიფოებმა დანაშაულის მსხვერპლი უნდა უზრუნველყონ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გონივრულ ვადაში მსჯავრდებულისგან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობით. ხოლო თუ სისხლის სამართლის პროცესი ვერ უზრუნველყოფს ამას, მაშინ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი უნდა იყოს სხვა სამართალწარმოების საშუალებით.<sup>153</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია სტამბოლის კონვენცია, რომელიც ჯერ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრავს, რომ მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან

<sup>148</sup> Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Adopted by General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985, para 8.

ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/sites/default/files/victims.pdf> ნანახია: 23.05.2024.

<sup>149</sup> იგივე, პარა. 9.

<sup>150</sup> Council of Europe, Recommendation No. R (85) 11 of the Committee of Ministers to Member States on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure (Adopted by the Committee of Ministers on 28 June 1985 at the 387th meeting of the Ministers' Deputies), para. 10.

<sup>151</sup> იგივე, პარა. 11.

<sup>152</sup> იგივე, პარა. 14.

<sup>153</sup> Recommendation CM/Rec(2023)2 of the Committee of Ministers to member States on rights, services and support for victims of crime, Council of Europe, 15 March 2023, article 13, para. 1.

სხვა ზომას სათანადო ყურადღების გამოსაჩენად, რათა გაითვალისწინონ კომპენსაცია არასახელმწიფო პირების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აქტების ჩადენისთვის.<sup>154</sup> ხოლო შემდეგ 30-ე მუხლის პირველ ნაწილში აზუსტებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომით უნდა უზრუნველყონ, რათა მსხვერპლს ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია ძალადობის აქტების ჩამდენი პირებისგან კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის გამო.<sup>155</sup> ეს პუნქტი ადგენს პრინციპს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და რესტიტუციაზე, პირველ რიგში, პასუხისმგებელია დამნაშავე.<sup>156</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სტანდარტები მიუთითებენ დაზარალებულისთვის კომპენსაციის მინიჭების შესაძლებლობაზე, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მიდგომა დაზარალებულის მდგომარეობას არსებითად აუმჯობესებს, რადგან, ერთი მხრივ, ის თავისუფლდება მართლმსაჯულების სისტემასთან დამატებითი შემხებლობისგან, დამატებითი ხარჯებისგან და ბიუროკრატიისგან, მეორე მხრივ, მას უწევს ნაკლები შიშის, ტკივილის და რეტრავმატიზაციის გავლა. საერთო ჯამში, კომპენსაციის სისტემის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ინტეგრაცია არსებითად ამცირებს მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკებს. 2013 წელს საქართველოს პარლამენტს ჰქონდა მცდელობა შეექმნა საკანონმდებლო რეგულაცია, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა მსჯავრდებისას დამნაშავისათვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სასარგებლოდ კომპენსაციის დამატებით დაკისრება.<sup>157</sup> თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტის ეს ნაწილი არ დაამტკიცა. ხოლო 2010 წლიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში სამოქალაქო

<sup>154</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 5, para. 2.

<sup>155</sup> იგივე, მუხლი 30, პუნქტი 1

<sup>156</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, para 165.

<sup>157</sup> საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ - დაზარალებულის უფლებები, პირველი მუხლის მე-4 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0> ნანახია: 23.05.2024.

სარჩელის წარდგენის და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაც აღარ არსებობს. შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლს ერთადერთი შესაძლებლობა დარჩა მოძალადისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ცალკე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, სამართალწარმოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ არსებული მოდელი ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. დაზარალებულები, როგორც წესი, არ მიმართავენ სასამართლოს,<sup>158</sup> რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს დამატებითი საადვოკატო მომსახურების ფინანსების არ ქონა, დროში გაწელილი და ემოციურად დატვირთული სამართალწარმოება, არაინფორმირებულობა, მოძალადესთან დამატებითი კომუნიკაციის შიში და მეორეული ვიქტიმიზაციის სხვა საფრთხეები.<sup>159</sup>

პრეცედენტების ნაკლებობის ან არ არსებობის ფონზე და სამოსამართლო პრაქტიკის სიმწირის პირობებში, განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლების მიერ მოძალადების წინააღმდეგ სამოქალაქო დავის წარმოება და დანაშაულის შედეგად მიყენებული არამატერიალური ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიღება. ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ წარმოებულ საქმეებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ამ მხრივ

<sup>158</sup> ხატია თანდილაშვილს თავის სადისერტაციო ნაშრომში მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც, 2016-2019 წელს რეგისტრირებული იყო 196476 დანაშაული, რომელთაგან სამართალდამცავმა უწყებამ გახსნა 83926 დანაშაული. ხოლო 2010 წლიდან 2020 წლის 22 იანვრის ჩათვლით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს 8 სასამართლოში შეტანილ იყო მხოლოდ 171 სარჩელი, რომელთაგანაც დაზარალებულის სასარგებლოდ 102 საქმე გადაწყდა: 75 სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, 16 - ნაწილობრივ, ხოლო 11 საქმე დამთავრდა მორიგებით. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მკვლევარის მიერ მოყვანილი მონაცემები შეეხებოდა ყველა კატეგორიის დანაშაულს. ხოლო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეს მონაცემები კიდევ უფრო მინიმალისტურად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. იხილეთ:თანდილაშვილი ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 226-227.

ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia\\_Tandilashvili.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi3/Khatia_Tandilashvili.pdf) ნანახია: 23.05.2024.

<sup>159</sup> იგივე, 228-230.

სტრატეგიული სამართალწარმოების უზრუნველყოფა. შედეგად, ორგანიზაციის ადვოკატების მუშაობის საფუძველზე შეიქმნა მნიშვნელოვანი სასამართლო პრეცედენტები, რომლებიც უკავშირდება ქალების მიერ მოძალადე ოჯახის წევრებისგან არამატერიალური ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და მიღების შესაძლებლობას.

პირველ რიგში გამოსარჩევია ა.ი.-ის და მისი არასრულწლოვანი შვილის, ე.ქ.-ის სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებული ა.ი., არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, არაერთხელ გახდა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის და, ასევე, მუქარის მსხვერპლი. ეს დადასტურდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, რომელზეც ქალი და მისი არასრულწლოვანი შვილი დაზარალებულად იყვნენ ცნობილი. აღსანიშნავია, რომ, მართალია, დაზარალებულებს არ ჰქონდათ დანაშაულის შედეგად მიღებული ისეთი ფიზიკური დაზიანება, რომელიც არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდებოდა, თუმცა მნიშვნელოვანი იყო ის ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც ა.ი.-ის და მის არასრულწლოვან შვილს ქმრის ძალადობრივმა ქმედებებმა დაუტოვა. კერძოდ, ფსიქოლოგიური დასკვნის თანახმად, ა.ი. მეუღლესთან თანაცხოვრების დროს განიცდიდა ქრონიკულ სტრესს. საწყის ეტაპზე აღენიშნებოდა წარსულში არსებულ ძალადობასთან ან საფრთხესთან დაკავშირებული ემოციური გახევება, სტრესის ფონზე საკუთარი გრძნობების და შფოთის გაცნობიერების უნარის დაკარგვა. ინტენსიურად იყო გამოხატული ემოციური ფონი, ცრემლიანობა. ხოლო არასრულწლოვანი შვილი საუბრობდა ტრავმულ გამოცდილებაზე, იკვეთებოდა ტრავმული სტრესი და ტრავმული გამოცდილების შედეგად საფრთხის განცდა, ასევე შფოთვითი განრიდებული მიჯაჭვულობა.

აღნიშნულ საქმეში საქალაქო სასამართლო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობისას დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც<sup>160</sup> სასამართლო სამოტივაციო ნაწილში დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებს და მიუთითა, რომ სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორიცაა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, ნერვული დამაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.<sup>161</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი არის ნორმით დაცული სიკეთის, ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს. სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში კი, უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს დაზარალებულის სხეულს ან მისი ორგანიზმის შინაგან პროცესებს.<sup>161</sup> სასამართლომ მიუთითა, რომ ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მაგრამ ის ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, განვითარებასა და სოციალიზაციას. ძალადობის მყისიერ შედეგებს მიეკუთვნება: მწვავე ფსიქოლოგიური პრობლემები – ჭარბი აგრესია, შიშები, დეპრესიული მდგომარეობა, საკუთარი უმწეობის და არასრულფასოვნების განცდა და სხვა.

სასამართლოს განმარტებით, თუ ქონებრივი ზიანი შეიძლება, გამოიხატოს პირადი ქონების დაზიანებაში, ან განადგურებაში, ანდა ისეთ ქმედებაში, როდესაც პირი კარგავს მის კუთვნილ ქონებას, მორალური ზიანი ის ზიანია, რაც პირის ფსიქიკური ტანჯვით, სულიერი ტკივილით, ემოციური დანაკლისით გამოიხატება. ამ დანაკლისის ზუსტი შეფასება, სულიერი ტკივილის ეკვივალენტის განსაზღვრა

<sup>160</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1232- 2021წ.

<sup>161</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება №ას-1156-1176-2011.

შეუძლებელია, სწორედ ამიტომ სასამართლო მას აფასებს საკუთარი შეფასებითი კატეგორიებით.

ამ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოძალადის ქმედებები აისახა ორივე მოსარჩელის ემოციურ მდგომარეობაზე. არასრულწლოვანის განვითარებასა და სოციალიზაციაზე. ასეთი ქმედების ზემოქმედებამ გავლენა მოახდინა განვითარების პროცესში მყოფი არასრულწლოვანის ტვინზე. საყურადღებო იყო, ქმედების განხორციელების დროს ბავშვის ასაკი და ის ფაქტი, რომ მისი დედის მიმართ, ოჯახის წევრმა - მეუღლემ განახორციელა ეს ქმედებები, რასაც ერთჯერადი ხასიათი არ ჰქონდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ა.ი.-ის მიმართ, ფიზიკური ტკივილის მიყენების შედეგად, არამართლზომიერი ძალადობრივი მოპყრობითა და მუქარით, მოპასუხემ ზიანი მიაყენა მეუღლეს და მისი არასრულწლოვანის შვილის ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც ამ შემთხვევაში უნდა გაიგივებულიყო სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან. ამის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დაზარალებულების სასარგებლოდ მსჯავრდებულს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დააკისრა 7000-7000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქ.ვ.-ის სტრატეგიულ სამართალწარმოების საქმეში. კერძოდ, სასამართლომ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების საქმიდან გამომდინარე, პრეიუდიციულად დადგენილად მიიჩნია ქ.ვ.-ისთვის სხეულის მსუბუქი დაზიანებების მიყენების და ფსიქოლოგიური ტანჯვის ფაქტი. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 992-ე მუხლებით და მოძალადეს დაავალა 10000 ლარის ოდენობის მორალური ზიანის ანაზღაურება. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე სამართლებრივი საფუძვლებით, ამბროლაურის რაიონულმა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოძალადეს დააკისრა ყოფილი პარტნიორის და არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება 15000 ლარის ოდენობით ფ.ჯ.-ის და მისი არასრულწლოვანი შვილების ბ.რ.-ის და ნ.რ.-ის სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეებში.

### 13.2. ქალთა მიმართ და ობიექტი ქალადობის მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ

დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა როგორც მატერიალური, ასევე მორალური და ვიქტიმოლოგიური თვალსაზრისითაც. თუმცა ხშირ შემთხვევაში დანაშაულის მსხვერპლები ვერ ახერხებენ ზიანის ანაზღაურების მიღებას უშუალოდ დამნაშავისგან, რადგან არსებული სამართალწარმოების პროცესი მძიმე ტვირთს იწვევს დაზარალებულისთვის, დამნაშავე გადახდისუუნაროვა ან სხვა მიზეზით. ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში დადგა კომპენსაციის მიღების ალტერნატიული გზების გამოძებნის საჭიროება.

დანაშაულის მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურების გამოწვევა უმეტეს ქვეყნებში საკუთარ თავზე აიღო უშუალოდ სახელმწიფომ და დღესდღეობით უკვე არაერთი ქვეყანა ითვალისწინებს დაზარალებულებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა. ასეთი ხედვა ეფუძნება ორ ძირითად სამართლებრივ საფუძველს და პრინციპს: 1. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს აქვს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მონოპოლია, მანვე უნდა იკისროს საკუთარ თავზე ის ვალდებულებები, რაც შედეგად მოყვა სახელმწიფოს წარუმატებლობას ადამიანის დანაშაულისგან დაცვის თვალსაზრისით. ერთ-ერთ ასეთ ვალდებულებას შეიძლება, წარმოადგენდეს მიყენებული ზიანის კომპენსაციაც.<sup>162</sup> 2. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და სოციალური სოლიდარობის იდეა მთლიან საზოგადოებას ავალდებულებს, გარკვეული პასუხისმგებლობა აიღოს და კომპენსაცია გადაუხადოს დანაშაულის მსხვერპლებს, როგორც შედარებით მოწყვლად და მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს.<sup>163</sup>

<sup>162</sup> Buck, K., State Compensation to Crime Victims and the Principle of Social Solidarity, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 13, Iss. 2, 2005, 150.

<sup>163</sup> Buck, K., State Compensation to Crime Victims and the Principle of Social Solidarity, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 13, Iss. 2, 2005, 151. Katsoris, N.C., The European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes: A Decade of Frustration, Fordham Int. Law J., Vol. 14, Iss. 1, 1990, 189.

დანაშაულით დაზარალებულებისთვის სახელმწიფოს კომპენსაციის გაცემის იდეა სწრაფად აისახა ასევე საერთაშორისო სტანდარტებში. 1983 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წელს.<sup>164</sup> აღნიშნული კონვენცია სახელმწიფო კომპენსაციის კოდიფიკაციის და შემდგომი ჰარმონიზაციის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელშიც განისაზღვრა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები. კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურება წარმოდგენილია, როგორც ბოლო ალტერნატივა, როდესაც კომპენსაციის მიღება სხვა წყაროებიდან შეუძლებელია.<sup>165</sup> ის ვრცელდება მხოლოდ განზრახ ჩადენილ ისეთ ძალადობრივ დანაშაულებზე, რომელსაც შედეგად მოყვა სხეულებრივი დაზიანება, ჯანმრთელობის გაუარესება ან გარდაცვალება.<sup>166</sup> კონვენციით ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია მსხვერპლის მიერ შემოსავლის დაკარგვისთვის, სამედიცინო ან/და დასაფლავების დანახარჯებისთვის. გარდაცვლილ მსხვერპლზე დამოკიდებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს გარდაცვლილის შემოსავლების დანაკარგების კომპენსაციაც.<sup>167</sup>

ევროპის საბჭოს კონვენციის მიღების შემდეგ სახელმწიფოს მიერ დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის საკითხი განმტკიცდა დანაშაულისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ 1985 წლის გაეროს დეკლარაციაშიც.<sup>168</sup> ხოლო 2004 წელს, ევროპის საბჭოს და გაეროს შემდეგ, ევროკავშირმაც გამოსცა დირექტივა დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ.<sup>169</sup>

ამ ანალიტიკური ნაშრომის მიზნებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტამბოლის კონვენციით დადგენილი სტანდარტი, რომელიც საქართველოსთვის

<sup>164</sup> European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes, Strasbourg, 24.XI.1983.

<sup>165</sup> იგივე, მუხლი 2.

<sup>166</sup> იგივე.

<sup>167</sup> იგივე, მუხლი 4.

<sup>168</sup> Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Adopted by General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985, para. 12-13.

<sup>169</sup> Council Directive 2004/80/EC of 29 April 2004 relating to Compensation to Crime Victims.

შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა. კერძოდ, 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია გადაეცემა მათ, ვინც დაზარალდა სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობის შერყევის გამო იმ შემთხვევებში, თუ მიყენებული ზარალი ვერ ანაზღაურდება მოძალადის მიერ, დაზღვევით ან სახელმწიფო სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფით ან სხვა წყაროებიდან. აღნიშნული პირობა ხელს არ უშლის სახელმწიფოს მოითხოვოს დამნაშავისგან მიღებული კომპენსაციის რეგრესის წესით დაბრუნება, თუ ამით რისკის ქვეშ არ დგება მსხვერპლის უსაფრთხოება.<sup>170</sup>

ეს რეგულირება ადგენს სახელმწიფოს სუბსიდიარულ ვალდებულებას კომპენსაციის დაფარვასთან დაკავშირებით. კომპენსაციის მიღების თაობაზე განაცხადის წარდგენის პირობები შეიძლება განისაზღვროს შიდა კანონმდებლობით, როგორიცაა დათქმა, რომ დაზარალებულმა პირველ რიგში მოითხოვოს კომპენსაცია დამნაშავისგან. კონვენციის ავტორებმა ხაზი გაუსვეს, რომ კომპენსაცია უნდა მიეკუთვნოს ისეთ შემთხვევებში, როცა პირი სხეულის სერიოზულ დაზიანებას მიიღებს, ან ჯანმრთელობა შეერყევა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სხეულის დაზიანება“ მოიცავს დაზიანებებს, რომლებმაც გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება, ხოლო „ჯანმრთელობის დაზიანება“ ითვალისწინებს სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზიანსაც, გამოწვეულს ფსიქოლოგიური ძალადობით, რაც ასახულია 33-ე მუხლში.<sup>171</sup>

მიუხედავად, საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი ვალდებულებისა, საქართველომ მხოლოდ 2022 წლის მიწურულს უზრუნველყო ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, როდესაც საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის N523 დადგენილებით დაამტკიცა „ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის

<sup>170</sup> The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (Istanbul Convention), Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, article 30, para. 2.

<sup>171</sup> Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series - No. 210, Istanbul, 11.V.2011, para 166.

მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი“.

აღნიშნული წესის თანახმად, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო,<sup>172</sup> რომელიც სახელმწიფო კომპენსაციას გასცემს ორ შემთხვევაში. ერთი მხრივ, წესი ითვალისწინებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში, ფემიციდის მსხვერპლთა შვილებისთვის 10000 ლარის ოდენობის კომპენსაციას,<sup>173</sup> რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვთ დანაშაულის ჩადენის დროისათვის მის არასრულწლოვან შვილებს, როგორც არასრულწლოვანობის პერიოდში, ისე სრულწლოვანების მიღწევიდან 3 წლის განმავლობაში.<sup>174</sup> მეორე მხრივ, წესი ითვალისწინებს კომპენსაციას იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლმა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვა მოძალადისგან არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება 40%-ით მაინც ვერ მოხერხდა სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 6 თვის ვადაში.<sup>175</sup> ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მიერ გასაცემი კომპენსაციის ლიმიტი განისაზღვრება 10000 ლარის ოდენობით.<sup>176</sup>

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ იყო მოწინავე, რომელმაც სტრატეგიული სამართალწარმოების ფარგლებში მიმართა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს და ფემიციდის მსხვერპლთა არასრულწლოვანი შვილებისთვის მოითხოვა 10000 ლარიანი კომპენსაცია. გარდა იმისა, რომ ყველა ეს ადმინისტრაციული წარმოება წარმატებით დასრულდა, სტრატეგიული კუთხით

<sup>172</sup> საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის N523 დადგენილებით დამტკიცებული „ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>173</sup> ერთზე მეტი შვილის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა განაწილდება პროპორციულად და კომპენსაციის მოთხოვნით მომმართველ შვილზე გაიცემა შესაბამისი წილი.

<sup>174</sup> საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის N523 დადგენილებით დამტკიცებული „ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>175</sup> იგივე, მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.

<sup>176</sup> იგივე, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, კომპენსაცია გაიცა წესის მიღებამდე და ამოქმედებამდე მომხდარი ფემიციდის მსხვერპლთა არასრულწლოვან შვილებზე, რომლებიც ისევ არასრულწლოვანების ასაკში იყვნენ ან სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ არ იყო გასული სამი წელი.